

# ამძღვანი 2.2016



ISSN 2346-8416

# აქტუალი

საგარეოაღმოსავლური ჟურნალი

გამოცემის ორ თვეში ერთხელ

2

მარტი – აპრილი

თბილისი

2016

„არმატანი – შორით მოსულისაგან მოღებული  
მის თემის ძღვენი“ (საბა).

ჟურნალი დაარსებულია 2016 წ.

მაგალი თოდუას

მიერ

რედაქტორი

მზია ბურჯანაძე

სწავლული მდივანი

ნანა ჯანაშია

დამკაბადონებელი

ნანა ყანდაშვილი

მომკაზმველი

ირაკლი უშვერიძე



არაბული ლიტერატურა

## ჯიბრან ხალილ ჯიბრანი (1883-1931)

მარონიტი ლიბანელი ჯიბრან ხალილ ჯიბრანი ის არაბი მწერალია, რომელმაც ახალ არაბულ ლიტერატურას არნახული პოპულარობა შესძინა არამხოლოდ არაბულ სამყაროში, არამედ დასავლეთში. დიდი ლიტერატორი და მხატვარი, სირიულ-ამერიკული ლიტერატურულ-ფილოსოფიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი იმ იშვიათ ორენოვან მწერალთაგანია, რომელთა მხატვრული შემოქმედება ორივე ენაზე ერთნაირ სიმაღლეებს აღწევს. მას ბედმა არგუნა ლიბანსა და ამერიკას, – აღმოსავლეთსა და დასავლეთს, – შორის ცხოვრების გზა, რამაც მის მსოფლმხედველობას, მის სულიერ სამყაროს წარუშლელი კვალი დაატყო და იგი ორი კულტურის – აღმოსავლურისა და დასავლურის – ჭეშმარიტ შვილად ჩამოაყალიბა.

### ამპარტავანი ია

ერთი განცალკევებული ბალის შუაგულში ია ამოსულიყო. ლამაზად გადაშლილი და საამო სურნელის მფრქვეველი, ცხოვრობდა კმაყოფილი თავის მეგობრებთან ერთად და ბედნიერად ირხეოდა ბალახებში.

ერთ დილას, როცა ცვრით დანამულმა თავი მაღლა ასწია და გარშემო მიმოიხედა, დაინახა ვარდი, რომელიც მაღლა აზიდულიყო, თავი ამაყად ეჭირა, თითქოს ზურმუხტის ჩირაღდანზე ანთებული ცეცხლის ალი ყოფილიყო.

იამ გახსნა თავისი ლურჯი ბაგეები და ოხვრით თქვა: „რა უიღბლო ვარ სურნელოვან მცენარეთა შორის და რა მოკრძალებული აღნაგობა მაქვს ყვავილთა შორის! ბუნებამ პატარად და არარაობად შემქმნა. მიწის ზედაპირზე გართხმული ვცხოვრობ, არ შემიძლია ტანი მაღლა, ცის ლაჟვარდისკენ მოვიღწერო და მზეს სახე ისე მივაპყრო, როგორც ეს ვარდს შეუძლია“.

ვარდმა გაიგონა თავისი მეზობელი იის ნათქვამი, გულიანად გაიცინა და უთხრა: „რა სულელი ყვავილი ხარ, არ იცი შენი ბედნიერების ფასი! ბუნებამ დაგაჯილდოვა იმ კეთილსურნელებით, სინაზითა და სილამაზით, რაც ბევრი სხვა სურნელოვანი მცენარისთვის არ უბოძებია. უარი თქვი უკულმართ მისწრაფებებსა და ცრუ იმედებზე, იყავი კმაყოფილი შენი ხვედრით და იცოდე, რომ ვინც თავი დახარა, ღირსება აიმაღლა, ხოლო ვინც მეტი მოითხოვა, მან ღირსება დაიმცრო!“

იამ უპასუხა: „ვარდო, შენ მანუგეშებ, რადგან ყველაფერი გაქვს, რაზეც კი მიოცნებია! ჩემს უბადრუკობას შენი სიბრძნით ფარავ, შენ ხომ დიდებული ხარ! რა მწარეა უბედურთათვის ბედნიერთა შეგონებანი და რა დაუნდობელია ძლიერი, სუსტთა შორის ქადაგად რომ ჩადგება!“

\* \* \*

ბუნებამ გაიგონა ვარდსა და იას შორის გამართული საუბარი, გაოცებული შეირხა და შემდეგ ხმამაღლა თქვა:

– რა დაგემართა, ჩემო ასულო ია! მე შენ თავაზიანსა და მოკრძალებულს გიცნობდი, შენი სიპატარავით ტკბილს

და შენი სისაწყლით კეთილშობილს! ნუ-  
თუ ქვენა გრძნობები და ამბიციები და-  
გეუფლა და ქედმაღლობამ და ფუჭმა  
განდიდებამ გონება წაგართვა?!

ია შეევედრა გულის მომაღობე-  
ლი და შეწყალების მოხოვარი ხმით:

– ო, ყოვლისშემძლე და დიდებუ-  
ლო დედავ, უზომოდ გულმონყალევ,  
მთელი სულით და გულით, სასოებით  
გემუდარები, რომ შეისმინო ჩემი თხოვ-  
ნა და ვარდად მაქციო, თუნდაც მხო-  
ლოდ ერთი დღით!

ბუნებამ უპასუხა:

– შენ ვერც კი ხვდები, რას მოხოვ  
და არ იცი, რა უბედურებანი იმალება  
გარეგნული სიამაყისა და ქედმაღლო-  
ბის უკან! თუ ტანად აგამაღლებ, შე-  
გიცვლი გარეგნობას და ვარდად გაქ-  
ცევ, ინანებ და სინანული აღარაფერს  
გარგებს!

იამ კი უთხრა:

– ოლონდ იიდან ტანაშოლტილ და  
თავანუღ ვარდად მაქციე და ამის შემ-  
დეგ რაც მომივა, მხოლოდ ჩემი სურვი-  
ლებისა და მისწრაფებების ბრალი იქნე-  
ბა!

ბუნებამ უთხრა: შეგისრულებ თხო-  
ვნას, უმეცარო და დაუმორჩილებელო  
ია და, თუ უბედურება და განსაცდელი  
დაგატყდა, შენს თავს დააბრალებ!

ბუნებამ თავისი ჯადოსნური და  
იდუმალი თითები გაინვდინა, იის ძირებს  
შეეხო და ერთ წამში აყვავებულ ვარდად  
აქცია, ყვავილებსა და სურნელოვან მცე-  
ნარეებს ზემოდან რომ დაჰყურებდა.

როდესაც დღე მიიწურა და მოსა-  
ლამოვდა, ცა ქარიშხლის მომასწავებე-  
ლი შავი ღრუბლებით დაიფარა. შემდეგ  
სამყაროს თავს დაესხა, იელვა, იქუხა და  
წვიმისა და ქარის ურიცხვი და უთვალა-  
ვი ჯარით შეებრძოლა ბალებსა და ბოს-  
ტნებს. დაამტვრია მცენარეთა რტოები,  
დაგრიხა ღეროები და მიწიდან ამოძირ-

კვა ქედმაღალი, ამაყი ყვავილები, მხო-  
ლოდ მიწაზე გართხმული ან დიდ ქვებში  
მიმაღული პატარა, სურნელოვანი მცე-  
ნარეები გადარჩნენ.

ხოლო ის განმარტოებული ბალი  
აბობოქრებული ბუნებისგან სხვა ბა-  
ლებთან შედარებით ბევრად უფრო და-  
ზარალდა.

როგორც კი ქარიშხალი ჩანყნარდა  
და ღრუბლები გაიფანტა, გამოჩნდა  
ბაღში აქეთ-იქით მიმოფანტული ყვავი-  
ლები. ამ საშინელ ორომტრიალს ვერც  
ერთი მათგანი ვერ გადაურჩა, ბალის  
კედელს ამოფარებული ერთი მუჭა იე-  
ბის გარდა.

ერთმა ნორჩმა იამ თავი მაღლა ას-  
ნია და დაინახა, რაც ბალის ყვავილებს  
და ხეებს დამართნოდათ. სიხარულის  
ლიმილით გადასცახა თავის მეგობრებს:  
„ხედავთ, რა დღეში ჩააგდო ქარიშხალ-  
მა ამპარტავანი და თავმომწონე მცენა-  
რეები!“ „ჩვენ მიწას კი ვართ გართხმუ-  
ლები, მაგრამ, სამაგიეროდ, ქარიშხლე-  
ბისა და თავსხმა წვიმების რისხვას უვ-  
ნებლად ვაღწევთ თავს!“ – თქვა მეო-  
რემ. „ტანით კი უმნიშვნელონი ვართ და  
შეუმჩნეველები, მაგრამ ქარიშხლები  
ჩვენ ვერ გვერევა!“ – თქვა მესამემ.

ამ დროს იათა გუნდის დედოფალ-  
მა გარშემო მიმოიხედა და თავისთან  
ახლოს დაინახა – ის ვარდი, რომელიც  
ჯერ კიდევ გუშინ ია იყო, ქარიშხალს  
ძირფესვიანად ამოეგლიჯა, მისი ფურ-  
ცლები ქარს სველ ბალახზე აქეთ-იქით  
მიმოეფანტა და ისე ეგდო, როგორც  
მტრის ისრით განგმირული მეომარი.

იების დედოფალმა ტანი შემართა,  
ფოთლები გაშალა და მეგობარ იებს შე-  
უძახა: „ერთი შეხედეთ, ასულნო, ამ იას,  
რომელიც თავისმა ამბიციურმა სურვი-  
ლებმა აცდუნა და ვარდად გადაიქცა,  
რომ ცოტა ხნით ზემოდან ამაყად გად-  
მოეხედა, ამის შემდეგ კი ძირს გდია.“



დაე, რასაც შეესწარით, მაგალითი იყოს თქვენთვის!“ მაგრამ ამ დროს ის მომაკვდავი ვარდი შეირხა, დასუსტებული ძალები მოიკრიბა და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმით თქვა: „მისმინეთ, უმეცრებო, მცირედით კმაყოფილნო და ქარიშხლების მოშიშარნო! გუშინ მეც თქვენსავით ჩემს მწვანე ფოთლებში ვიყავი ჩამჯდარი, ჩემი ხვედრით კმაყოფილი. ეს კმაყოფილება იყო დამცავი ზღუდე, ბარიერი, რომელიც ცხოვრების ქარებისა და ქარიშხლებისგან მმიჯნავდა და ჩემს არსებას თავისი მშვიდობით გარემოცავდა, უკიდურესი სიმშვიდითა და აუზღვრეველობით მოსავდა. შემეძლო, მეცხოვრა თქვენსავით მიწის პირზე გართხმულს, სანამ ზამთარი თოვლს არ წამაყრიდა და წავიდოდი, როგორც ჩემამდე წასულან სიკვდილისა და არყოფნის სიჩუმეში ისე, რომ ყოფნის საიდუმლოებისა იმაზე მეტი არაფერი მეცოდინებოდა, რაც იებმა იციან მიწის პირზე მათი ამოსვლის შემდეგ. შემეძლო, უარი მეთქვა ჩემს ამბიციურ სურვილებზე და თავი შემეკავებინა იმ რამეთაგან, რომლებიც უფრო მაღლა დგანან თავიანთი ბუნებით, ვიდრე ჩემი ბუნებაა, მაგრამ ერთხელ, ღამის სიჩუმეში, გავიგონე, როგორ ეუბნებოდა ზენა სამყარო ამ სამყაროს: „ცხოვრების მიზანია ლტოლვა იმისკენ, რაც ცხოვრებას სცდება!“ ავუმხედრდი საკუთარ თავს და ჩემმა ცნობიერებამ უგონოდ შეიყვარა ის საფეხური, რომელიც მასზე უფრო მაღლაა. ასე გრძელდებოდა ჩემი შინაგანი ამბოხი და დაუოკებელი სურ-

ვილი იმისა, რაც მე არ მეკუთვნოდა, სანამ ეს ჯანყი ქმედით ძალად არ იქცა, ჩემი წადილი კი – შემოქმედებით ნებად და ვთხოვე ბუნებას, – და ბუნება კი სხვა რა არის, თუ არა ჩვენი ფარული ოცნებების გარეგანი გამოვლინება! – რომ ვექციე ვარდად და მან შემისრულა თხოვნა. რა ხშირად იცვლის ბუნება საკუთარ სახეს და იერს თავისი წარმტაცი, ნაზი თითებით!“

ვარდი ცოტა ხნით გაჩუმდა, შემდეგ სიამაყითა და უპირატესობით აღსავსე ხმით წარმოთქვა: „ცოტა ხანს მაინც ვიცხოვრე დედოფალივით! ვუყურე სამყაროს ვარდის თვალებით, ვუსმინე ნიავის ჩურჩულს ვარდის ყურებით და შევეხე სინათლის სხივებს ვარდის ფოთლებით. აბა, რომელ თქვენგანს რგებია ეს პატივი?!“

შემდეგ კისერი მოსწყდა და ძლივს გასაგონი სუნთქვით ჩუმად აღმოხდა: „ახლა მე ვკვდები, ვკვდები და ჩემს სულში არის ის, რაც ჩემამდე არც ერთი სხვა იის სულში არ ყოფილა! ვკვდები, მაგრამ ვიცი, რა არის იმ შეზღუდული სამყაროს მიღმა, სადაც დავიბადე. აი, ეს არის სწორედ სიცოცხლის მიზანი! ესაა დღეთა და ღამეთა არაარსებითი შემთხვევითობების მიღმა არსებული არსი!“

ვარდმა ფურცლები დაკეცა, ოდნავ შეთრთოლდა და სული დალია, სახეზე კი ზეციური ღიმილი შერჩა, – ღიმილი იმისა, ვისაც ცხოვრებამ ოცნებები აუხდინა, ძღვევისა და გამარჯვების ღიმილი – ღმერთის ღიმილი.

არაბულიდან თარგმნა  
გოგა ასლამაზიშვილმა

## ნაჯიბ მაჰფუზი (1911–2006)

ნობელიანტი ეგვიპტელი პროზაიკოსი ნაჯიბ მაჰფუზი ახალი არაბული ლიტერატურის წარმომადგენელი მწერლებიდან ერთ-ერთი ყველაზე უფრო კარგად ნაცნობია ქართველი მკითხველისთვის მისი ნოველებისა და რომანების ქართული თარგმანებით.

რელიგიური თემატიკის თავისუფალი ინტერპრეტაცია მწერლის შემოქმედებითი ფანტაზიის შთაგონება მის არაერთ ნაწარმოებში გამხდარა. წარმოდგენილი ნოველაც სწორედ ამითაა მნიშვნელოვანი, რომ მასში სუფიური თემებისა და მოტივების თავისუფალი ინტერპრეტაცია იკითხება.

### ზაბალავი

ბოლოს და ბოლოს დავრწმუნდი, რომ შეიხი ზაბალავი უნდა მეპოვნა. მისი სახელი პირველად სიმღერაში გავიცოგონე:

*„ეს რა სჭირს ამ წუთისოფელს, ზაბალავი!*

*თავდაყირა რომ ამოატრიალეს და ბედის ანაბარად დატოვეს!“*

ეს სიმღერა ცნობილი იყო ჩემს ბავშვობაში. ერთ დღესაც თავში მომივიდა, მამაჩემისთვის მეკითხა მასზე, როგორც ბავშვებს სჩვევიათ კითხვები ყველაფერზე. ვკითხე:

– მამა, ვინაა ზაბალავი?

ორჭოფული მზერით ჩამაშტერდა, თითქოს ეჭვი ეპარებოდა ჩემს მზაობაში, გამეგო მისი პასუხი, თუმცა მაინც მითხრა:

– მისი წყალობა გქონოდე!.. ის, ჭეშმარიტად, ალაჰის ნამდვილ რჩეულთაგანია, წმინდანი, დარდისა და სანუხარის გამქარვებელი! ის რომ არა, სანუხარი მომკლავდა...

მომდევნო წლებშიც ბევრჯერ მსმენია მისგან, როგორ აქებდა და ხოტბა-დიდებას ასხამდა ამ კეთილწმინდანს და მის სასწაულებს!

გავიდა დრო და დავსწეულდი, ბევ-

რი ავადმყოფობა შემეყარა. დაულალავად ვექებდი ყოველი დაავადებისთვის წამალს, შესაძლებლობის ფარგლებში ხარჯებს არ ვიშურებდი, სანამ ისეთი სენი არ შემეყარა, მისი წამალი არავის რომ არ მოეძევებოდა. ჩემ წინ ყველა გზა ჩაიკეტა და სასონარკვეთამ შემიპყრო. გამახსენდა, რაც ბავშვობაში მსმენოდა და საკუთარ თავს ჩავეკითხე: რატომ არ მომეძებნა შეიხი ზაბალავი?!.. უეცრად მომაგონდა, მამაჩემმა მითხრა, რომ იგი შეიხ კამართან გაიცნო, ხან ჯაფარის უბანში. ის შეიხი შარიათის ადვოკატურაში მომუშავე სასულიერო პირთაგანი იყო. მისი სახლისაკენ გავემართე, მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ ისევ იქ ცხოვრობდა. სახლთან, ქვემოთ, ლობიოს გამყიდველს ვკითხე. კაცმა გაკვირვებით შემომხედა და მითხრა:

– შეიხი კამარი? ის ხომ დიდი ხანია, ამ უბნიდან გადავიდა! ამბობენ, ახლა გარდენ სითიში ცხოვრობსო, მისი ოფისი ალ-აზჰარის მოედანზეაო...

ოფისის მისამართი ტელეფონების ნიგნში ვიპოვე. მაშინვე წავედი სავაჭრო პალატის შენობაში. შესვლის ნებართვა ვითხოვე, მერე მის ოთახში შევაბი-

ჯე, როგორც კი იქიდან მშვენიერი ქალბატონი გამოვიდა, რომელმაც მათობელა, ჯადოსნური, მძაფრი სურნელით გამაბრუა. შეიხი ღიმილით შემომეგება და მანიშნა, დავმჯდარიყავი. ჩავჯექი ტყავის მდიდრულ სავარძელში. ჩემმა ფეხებმა, ფეხსაცმლის მსხვილი ლანჩის მიუხედავად, სქელი, მდიდრული ხალიჩა შეიგრძნეს. კაცს თანამედროვე კოსტიუმი ეცვა, სიგარეტს ეწეოდა. საკუთარი თავითა და ფულით თავმომნონე კაცის მანერით იჯდა. ისე გულთბილად შემომაჩერდა, ეჭვიც არ შემპარვია, რომ კლიენტად ჩამთვალა. უხერხულობამ და დანაშაულის გრძნობამ შემიპყრო, დაუპატიჟებლად რომ მივადექი და ძვირფას დროს ვაკარგვინებდი. ისე მითხრა, თითქოს ასალაპარაკებლად ნამაქეზაო:

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება?!

ჩემი უხერხული მდგომარეობისთვის ბოლო რომ მომელო, ვთქვი:

– შენი ძველი მეგობრის, შეიხ ალი ათ-თაგავის შვილი ვარ!

მის მზერაში აპათია გაკრთა, მაგრამ არა სრული გულგრილობა, რადგან იმედი ბოლომდე არ დაეკარგა. მითხრა:

– ალაჰიმც შეინყალებს! კარგი კაცი იყო...

ძლიერმა ტკივილმა, რომელსაც იქ მივეყვანე, შემაგულიანა, დავრჩენილიყავი და ვუთხარი:

– ის მიაბობდა ღვთისმოსავ წმინდანზე, სახელად ზაბალავიზე, თქვენს უწმინდესობასთან რომ შეხვედრია. ბატონო ჩემო, მე ის მჭირდება, თუ, რასაკვირველია, ჯერ კიდევ ცოცხალია.

მის თვალეში აპათია გამეფდა. სულ არ გამიკვირდებოდა, თუ მეც და მამაჩემის ხსოვნასაც ერთად მიგვაბრძანებდა გარეთ. ისეთი კილოთი მომიჭრა, საუბრის დამთავრება რომ გადაენწყვიტა:

– ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო, დღეს უკვე თითქმის აღარც მახსოვს...

ნამოვდექი, რომ დამემშვიდებინა და დარწმუნებულიყო, ნასვლა მქონდა გადანყვეტილი და ისე ვუთხარი:

– მართლა წმინდანი იყო?

– ჩვენ მას სასწაულად მივიჩნევდით...

უკვე დაძრულმა ვკითხე, ჩემს ნასვლაში კიდევ მეტად რომ დამერწმუნებინა:

– დღეს სად შევძლებ მის ნახვას?..

– რამდენადაც ვიცი, ის ალ-აზჰარის უბანში, ალ-ბირგავის რეზიდენციაში ცხოვრობდა... – მითხრა და თავის საწერ მაგიდაზე გაშლილ ფურცლებში თავი ისე სწრაფად, ისეთი მკვეთრი მოძრაობით ჩარგო, რომ კრინტის დაძვრას აღარ აპირებდა. მაღლობის ნიშნად თავი დავუკარი, შეწუხებისთვის არაერთხელ მოვუბოდიშე და მისი ოფისი დავტოვე. აღარაფერი მესმოდა უხერხულობისგან მოგუგუნე თავში.

წავედი ალ-ბირგავის რეზიდენციაში, რომელიც ძალიან მჭიდროდ დასახლებულ უბანში მდებარეობდა. ჟამთა სიძველისგან ისეთი გამოჭმული დამხვდა, მისგან მხოლოდ ისტორიული ფასადი და ეზოლა დარჩენილიყო, რომელიც, ნომინალური დაცვის მიუხედავად, სანაგვედ ექციათ. მისი გადახურული შესასვლელი ვიღაც კაცს ძველი, რელიგიურ-სუფიური წიგნების გასაყიდ ფარდულად ექცია. ისეთი დაბალი და უღიმღამო, შეუმჩნეველი იყო, კაცს ვერც იტყოდი მასზე. ზაბალავიზე რომ ვკითხე, თავისი ვინრო, მოწირპლული თვალეებით მომაშტერდა და გაკვირვებით მითხრა:

– ზაბალავი?! ო, ღმერთო! რა დრო გასულა! მართლაც ამ რეზიდენციაში ცხოვრობდა, როცა ეს ჯერ კიდევ საცხოვრებლად ვარგისი იყო. ბევრჯერ მჯდარა ჩემთან და გარდასულ დღეებ-

ზე უსაუბრია. მისი აქ ყოფნით კურთხევა მაქვს მიღებული! მაგრამ სადღაა ახლა ზაბალავი!..

მხრები აიჩეჩა ნუხილით და მალევე დამტოვა, ახალმოსულ კლიენტს მიაშურა. უბნის მედუქნეების გამოკითხვა დავიწყე. გამოიკვია, რომ მათ დიდ ნაწილს არც კი სმენოდა რამე ზაბალავიზე. სხვები მის ტკბილ დროს მისტიროდნენ, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი არ იცოდნენ. ზოგიც თავშეუკავებელი დაცინვით მოიხსენიებდა და შარლატანობაში სდებდა ბრალს, მე კი მიჩივებოდა, ექიმთან მივსულიყავი გასასინჯად, თითქოს ეს მანამდე უკვე არ გამეკეთებინა. იმედგაცრუებულს შინ დაბრუნების მეტი სხვა გამოსავალი აღარ დამრჩენოდა.

დღეები ისე მიჰქროდა, როგორც ნიაფი მტვერი და ჩემი ტკივილი კი ძლიერდებოდა. დავრწმუნდი, ასე დიდხანს ვეღარ გავძლებდი. კვლავ ზაბალავის შესახებ დავიწყე გამოკითხვა და იმ დღეებს ვებლაუჭებოდი, მისი ძველისძველი სახელი რომ აღძრავდა ჩემში. ამასთან, თავში ერთი აზრი მომივიდა – უბნის ცოცხალი შეიხისთვის მიმემართა. მართალი გითხრათ, გაცოცხლებული ვარ, ეს თავიდანვე როგორ ვერ მოვიფიქრე. მისი ოფისი ერთი პატარა დუქანი აღმოჩნდა, ოღონდ საწერი მაგიდითა და ტელეფონით. ზოლიან გალაბებაზე<sup>1</sup> პიჯაკი მოეცვა და ასე იჯდა საწერ მაგიდასთან. ჩემს შესვლას მისთვის საუბარი არ გაუწყვეტინებია ვიღაც კაცთან, გვერდით რომ ეჯდა. ვიდექი და ველოდი, სანამ ის კაცი წავიდოდა. შემდეგ მანაც გამომხედა თავის მხრივ. საკუთარ თავს ვუთხარი, რომ საყოველთაოდ მიღებული ზრდილობის წესებით ვუპოვიდი მას გასაღებს და მართლაც,

მალე გაეხსნა სახე ღიმილით, დასაჯდომად მიმიპატიჟა და რა საკითხზე ვიყავი მისული, მკითხა.

– მე შეიხი ზაბალავი მჭირდება...

ისეთივე გაკვირვებით დამაცქერდა, როგორც მანამდე სხვები მიცქერდნენ. ოქროს კბილებით გაიღიმა და მითხრა:

– ასეა თუ ისე, ის ცოცხალია, არ მომკვდარა. მას საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნია და ბედის ირონია ისაა, რომ შეიძლება, აქედან გასული მოულოდნელად გადააწყდე მას, წინასწარ შეუთანხმებლად და დაუგეგმავად და შესაძლოა, დღეები და თვეები გალიო მის ძებნაში და სულ უშედეგოდ...

– შენც კი არ შეგიძლია, რომ იპოვო იგი?!

– მეც კი! ეს ის კაცია, თავგზას რომ მიბნევს, მაგრამ ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ის ჯერ ისევ ცოცხალია!..

კარგა ხანს მიყურა, შემდეგ გაურკვეველად წაილაპარაკა:

– ჩანს, მძიმე დღეში ხარ!..

– ძალიან...

– ალაჰიმც იყოს შენი შემწე, მაგრამ რატომ გონებას არ უხმობ საშველად?! – მითხრა და თავის საწერ მაგიდაზე ქაღალდი გაშალა. მოულოდნელი სისწრაფითა და ოსტატობით იწყო ზედხაზვა, სანამ მთელი უბნის სრული რუკა არ დახატა თავისი კვარტლებით, ჩიხებით, პატარა ქუჩებითა და მოედნებით, მოწონებით შეათვალიერა და თქვა:

– ეს საცხოვრებელი სახლებია, ეს კი მენელსაცხებლეთა უბანი, ეს მესპილენძეთა, ეს ხან ალ-ხალილი<sup>2</sup>, ეს ცეცხლფარეშთა კვარტალი. ნახაზი ყველაზე კარგი მეგზურია. ყურადღებით დაიარე კაფეები, დერვიშთა ზიქრის<sup>3</sup> წრეე-

1. გალაბება – მამაკაცის ფართო ხალათი.

2. ხან ალ-ხალილი – ძველი კაიროს ცნობილი ბაზარი, ალ-აზჰარის უბანში.

3. ზიქრი – უფლის ხსენება სუფიურ ორდენტა სარიტუალო მსახურებაში.

ბი, მეჩეთები, კუთხის სამლოცველო ოთახები, მწვანე კარიბჭე<sup>1</sup>... შესაძლოა, მონყალების მთხოვნელთა შორის იყოს გარეული და მათგან არ გამოირჩეოდეს. სიმართლე რომ გითხრა, წლებია, აღარ მინახავს... ამქვეყნიურმა საზრუნავ-საფიქრალმა მომწყვიტა მას და ყურადღება სხვა რამეებზე გადამატანინა... შენმა შეკითხვამ მასზე ახალგაზრდობის ულამაზეს წლებში დამაბრუნა...

შეცბუნებული დავაცქერდი რუკას. ამასობაში, ტელეფონმა დარეკა. ის ყურმილს დასწვდა და თან მე სულგრძელად მითხრა:

– ნაილე! შენს სამსახურში გვიგულე...

დავტოვე იგი და რუკა დავკეცი. დავინყე უბნის დავლა – მოედნიდან ქუჩა-ქუჩა და მისახვევ-მოსახვევამდე. ყველას ვეკითხებოდი მასზე, ვისაც კი შევატყობდი, რომ ადგილობრივი იყო, სანამ ერთმა იქაურმა საუთოებლის მეპატრონემ არ მითხრა:

– კალიგრაფ ჰასანეინთან მიდი, უმალ-ლულამის უბანში, ის იყო მისი მეგობარი...

წავედი უმალ-ლულამში, ვიპოვე ყამ<sup>2</sup> ჰასანეინი, ერთ ვინრო, სიღრმეში გრძლად შეჭრილ, ტილოებითა და ფერადი საღებავების კოლოფებით სავესე დუქანში მომუშავე. დუქნის კუთხეებიდან უცნაური სუნი გცემდა – ნებოსა და პარფიუმის სუნის ნაზავი. ყამ ჰასანეინს კედელზე მიყუდებული ტილოს წინ ბენვის ხალიჩაზე მუხლი მოერთხა. ტილოს შუაგულში ვერცხლისფერი საღებავით ალაჰის სახელი უკვე გამოეყვანა. ასოთა ორნამენტირებას ისეთი გულმოდგინებითა და ყურადღებით ჩაღრმავებოდა, რაც პატივისცემას იმსახურებდა. მის უკან ვიდექი და მერიდებოდა, შემეწუხებინა და მოწოლილი შთაგონების

ძაფი გამეწყვიტა თავის სტიქიაში ჩაძირული მისი მსუბუქად მოსრიალე ხელისთვის. დიდხანს გაგრძელდა ჩემი მოლოდინი და შფოთვა და აი, უცებ მან იქაურებისთვის დამახასიათებელი გულღია თავაზიანობით მომმართა:

– დიახ...

მივხვდი, ჩემი იქ ყოფნა ცნობილი იყო მისთვის და თავი წარვუდგინე.

– მითხრეს, შეიხი ზაბალავი შენი მეგობარი ყოფილა. მე მას ვეძებ...

სამუშაოს ხელი უშვა და გაოცებულმა შემათვალაიერა. შემდეგ ამოოხვრის კილოთი თქვა:

– ზაბალავი!.. დიდება უფალს!..

მოუთმენლად ჩავეკითხე:

– ის შენი მეგობარია, ხომ? ასე არ არის?!

– ეჰ, იყო და არა იყო რა... ნამდვილი კაცი-გამოცანა იყო! ისე გესტუმრებოდა ხოლმე, ხალხი იფიქრებდა, შენი ახლობელიაო. მერე ისე გაუჩინარდებოდა, თითქოს არც ყოფილაო... მაგრამ წმინდანებს არ კიცხავენ!

იმედი ისე ჩამიქრა, როგორც ნათურა ქრება, უეცრად დენი რომ გამოირთვება.

– კარგა ხანს ისე განუყრელი იყო ჩემგან, რომ მეჩვენებოდა, რაც არ უნდა მომეხატა, შიგ მას ვხატავდი, მაგრამ სადღაა ის დღეს?!.. – მითხრა კაცმა.

– იქნებ ცოცხალი აღარცაა...

– ის ცოცხალია, ეს უეჭველია! მას უზადო გემოვნება ჰქონდა! მისი წყალობით შევქმენი ჩემი ყველაზე ლამაზი ტილოები...

თითქმის უიმედო ხმით ვთქვი:

– ალაჰმა უწყის, როგორ ძალიან მჭირდება იგი! და შენ კი ყველაზე უკეთ მოგეხსენება, რა გასაჭირის გამო მიაშურებენ ხოლმე მას!

– დიახ, დიახ... ალაჰიმც იქნება შე-

<sup>1</sup> მწვანე კარიბჭე – ქ. კაიროს ერთ-ერთი ისტორიული კარიბჭე.

<sup>2</sup> ყამ – ბიძია, მიმართვის ფორმა ხანშიშესული კაცებისთვის.

ნი მკურნალი! მართალია, მასზე რომ ამბობენ, რომ ის კაცია, მეტიც...

ლიმილმა სახე გაუცისკროვნა და დაამატა:

– მის სახეს დაუვინყარი მშვენება აქვს! მაგრამ სადაა იგი?..

ფეხები ძალისძალად გადავდგი, კალიგრაფს ხელი ჩამოვართვი და წავედი. გავაგრძელე უბანში აღმა-დაღმა სიარული და ზაბალავიზე ვეკითხებოდი ყველას, ვინც კი ხანშიშესულად და გამოცდილად მეჩვენებოდა, სანამ ერთმა ხანჭკოლის<sup>1</sup> გამყიდველმა არ მითხრა, რომ ცნობილი კომპოზიტორის, შეიხ გადის სახლში შეხვედრია მას არცთუ დიდი ხნის წინ. წავედი ამ მუსიკოსის სახლში თამბაქშიაზე<sup>2</sup>, სადაც ვნახე ის კომპოზიტორი ადგილობრივი სტილის, გემოვნებით მოწყობილ ოთახში, სადაც ყოველი მხრიდან წარსულის სიო ქროდა. ის დივანზე იჯდა და თავისი ცნობილი უდი<sup>3</sup>, რომელიც ჩვენი დროის ულამაზეს მელოდიებს ინახავდა, გვერდით მოედო. უეცრად შიგნიდან გრგვინვა და ბავშვების ხმაური გაისმა. როგორც კი მივესალმე და თავი წარვუდგინე, ტკბილად მიმიღო და თავისი განუმეორებელი ბუნებით მის სახლში ყოფნის თავისუფლება მაგრძნობინა. არც სიტყვით, არც მინიშნებით არ უკითხავს, რამ მიმიყვანა მასთან. არც პირფერობა მიგრძენია მისგან, რომ ამ კითხვას და ცნობისმოყვარეობას შეფარვით მალავდა და გამაოცა მისმა თავაზიანობამ და ადამიანურობამ. კარგის მოლოდინში გახარებულმა ვუთხარი:

– შეიხო გად! შენი ხელოვნების თავყანისმცემელთაგანი ვარ! დიდი ხანია, აღტაცებაში მოვყავარ მას მომღერალი ქალებისა თუ კაცების შესრულებით...

ლიმილთ მომიგო:

– მადლობელი ვარ...

დარცხვენილმა ვუთხარი:

– ნუ გამკიცხავ შენი ასეთი შენუხებისთვის, მაგრამ მითხრეს, რომ ზაბალავი შენი მეგობარი ყოფილა, მე კი ის, მეტი რომ არ შეიძლება, ისე მჭირდება...

შეფიქრიანებულმა შუბლი შეიჭმუხნა:

– ზაბალავი!.. და შენ ის გჭირდება?! ალაჰიმც იქნება შენი შემწე! საკითხავია, სად ხარ შენ, ზაბალავი?!..

დამნუხრებული ჩავეკითხე:

– განა ის არ გინახავს?

– მის სახეზე დაუვინყარი სილამაზეა აღბეჭდილი!

– მაგრამ სადაა ის?

– დიდი ხნის წინ მომინახულა. შეიძლება, ახლაც კი მოვიდეს, მაგრამ შეიძლება, სიკვდილამდე ველარც ვნახო!

ხმამალლა ამოვიოხრე და ვკითხე:

– ასე რატომ ხდება?!

უდს დასწვდა სიცილით და მითხრა:

– წმინდანები ასეთები არიან, თუ არადა, წმინდანებიც არ იქნებოდნენ!..

– ვისაც ის სჭირდება, ნუთუ ჩემსავით იტანჯება?!

– ეს ტანჯვაც მკურნალობაში შედის!

ხემს ხელი წამოავლო და სიმებს გაეთამაშა, ტკბილ მელოდიად აამეტყველა. ფიქრებში წასული და დაბნეული გულში ავყევი. შემდეგ, თითქოს საკუთარ თავს ვესაუბრებოდი, ისე ვთქვი:

– ამრიგად, ჩემმა ვიზიტმა სულ ტყუილად ჩაიარა...

მას გაელიმა, ლოყით უდის გვერდს მიეკრა და თქვა:

– ალაჰიმც მოგიტევებს! განა ეს ითქმის ვიზიტზე, რომელმაც ჩვენ ერ-

<sup>1</sup> ხანჭკოლა (Lupinus) პარკოსანთა ოჯახის მრავალწლიანი მცენარე, საკვებად გამოსადეგი.

<sup>2</sup> თამბაქშია – ადგილი ძვ. კაიროში.

<sup>3</sup> უდი – ტრადიციული არაბული მუსიკალური ინსტრუმენტი.

თმანეთის გაცნობის საშუალება მოგ-  
ვცა?!..

ძალიან შემრცხვა და მობოდიშე-  
ბით ვუთხარი:

– ნუ გამკიცხავ!.. სასონარკვეთამ  
ზრდილობის ნორმებს გადამაბიჯები-  
ნა...

– უიმედობას ნუ დანებდები!.. ამ  
საოცარ კაცს უჭიანურდება მისვლა  
ყველასთან, ვისაც კი ის სჭირდება!  
ძველ დროში ეს საქმე უფრო ადვილი  
იყო, როცა ის სადმე ნაცნობ ადგილას  
სახლობდა. დღეს დუნია შეცვლილია!  
მას მერე, რაც მან ისეთ გამორჩეულ  
მდგომარეობას მიაღწია, მმართველებს  
რომ არ ხვდომიათ წილად, პოლიციამ  
დაუნყო დევნა შარლატანობის ბრალ-  
დებით. მასთან მიღწევა იოლი აღარაა,  
მაგრამ მოთმინება იქონიე და გჯერო-  
დეს, რომ მიხვალ მასთან...

თავი უდიდან აიღო და დაკვრას  
შეუდგა, სანამ ცხადი მუსიკალური შე-  
სავალი არ ააწყო და აი, უცებ ამღერდა:

*"განუწყვეტლივ ვახსენებ მას,  
ვინც მიყვარს, მიუხედავად იმისა, რომ  
თან თავს ვკიცხავ;*

*მართლაც საყვარლის ნაუბარი  
ღვინოსავით მათრობს..."*

მიუხედავად ლამაზი მელოდიისა  
და სიმღერისა, ყურადღებაგაფანტული  
და გამოფიტული ვადევნებდი თვალ-  
ყურს. როცა შესრულება დაამთავრა,  
მითხრა:

– ეს ლექსი ერთ ლამეში ავამღერე.  
მახსოვს, ალ-ფიტრის<sup>1</sup> დღესასწაულის  
ლამე იყო და ის ჩემი სტუმარი იყო მთე-  
ლი ლამით. ეს მან შემირჩია ლექსი და  
ხან შენსავით მეჯდა აქ და ხანაც ჩემს  
ბავშვებს ისე ეთამაშებოდა, თითქოს  
თავადაც ბავშვი იყო. როგორც კი მოვ-  
დუნდებოდი, ან შთაგონება აღარ მომ-

დიოდა, ხუმრობით მკერდში მუჯლუ-  
გუნს წამკრავდა და გამაცინებდა. მეც  
გული ამენტებოდა და მელოდიად ილ-  
ვრებოდა. მუშაობას ვაგრძელებდი, სა-  
ნამ არ დავასრულე ეს ერთ-ერთი ულა-  
მაზესი მელოდია, რომელიც კი შემიქ-  
მნია...

გაოცებულმა ვკითხე:

– მუსიკასთან მას რა კავშირი  
აქვს?!

– ის თავად მუსიკაა! მისი ხმა სა-  
უბრისას ძალზე ლამაზია! საკმარისია  
მოისმინო, რომ მაშინვე მღერა გინდება.  
შემოქმედებით განწყობას გიღვიძებს...

– იმ სწეულებებს როგორ მკურნა-  
ლობს, რომელთა განკურნებაც ადამია-  
ნებს არ ძალუძთ?!..

– ეს მისი საიდუმლოა. ამ საიდუმ-  
ლოს, ალბათ, მაშინ ჩასწვდები, როცა  
მას შეხვდები.

მაგრამ როდის დადგება ამ შეხ-  
ვედრის დრო?!.. დავდუმდით და ოთახი  
კვლავ ბავშვების ჟივილ-ხივილმა აავ-  
სო. შეიხი კვლავ სიმღერაში ჩაიძირა,  
იმეორებდა და იმეორებდა სხვადასხვა  
მშვენიერი მელოდიური ვარიაციით  
სიტყვებს: *"მე სატრფოს ვახსენებ..."* სა-  
ნამ კედლებიც კი არ აცეკვდა ამ მათ-  
რობელა სიმღერაზე... სულითა და გუ-  
ლით ჩემი აღტაცება გამოვხატე და მა-  
ნაც ტკბილი ღიმილით მადლობა გადა-  
მიხადა. შემდეგ წამოვდექი და წასვლის  
ნებართვა ვითხოვე. გარეთა კარამდე  
გამაცილა და, ხელი რომ ჩამოვართვი,  
მითხრა:

– გავიგე, ამ დღეებში ის ჰაგ<sup>2</sup> ვანას  
ად-დამანჭურის შემოუვლის სტუმრად.  
იცნობ მას?

უარის ნიშნად თავი გავაქნიე.  
გულში იმედის ახალი ნაპერწკალი ამენ-  
თო. მან კი მითხრა:

<sup>1</sup> ალ-ფიტრის დღესასწაული – გახსნილების დღესასწაული რამადანის თვის მარხვის შემდეგ.

<sup>2</sup> ჰაგ – პატისაცემი მიმართვის ფორმა სახელის წინ მათთვის, ვისაც წმინდა ადგილები მოუ-  
ლოცავს.

– ჰაგ ვანას ად-დამანჰური მემ-კვიდრეობაზე ცხოვრობს, კაიროს დროდადრო სტუმრობს ხოლმე, რომელიმე სასტუმროში ჩერდება, მაგრამ ყოველ ღამეს ალფის ქუჩაზე ან-ნაგმას სამიკიტნოში ათენებს.

მოსალამოებას დაველოდე და ან-ნაგმას ბარში წავედი. ოფიციალტს ჰაგ ვანასზე ვკითხე და იმანაც უზარმაზარი, კვადრატული, ოთხმხრივ სარკეებით შემინული სვეტის უკან თითქმის იზოლირებულ კუთხეზე მიმანიშნა. იქ მაგიდასთან მარტო მჯდომი კაცი დავინახე, წინ, მაგიდაზე ერთი მესამედამდე დაყვანილი ბოთლი ედგა და მეორე – მთლად დაცლილი, სხვა არაფერი, არც საჭმელი, არც მისაყოლებელი. დავრწმუნდი, რომ სერიოზული ლოთის პირისპირ აღმოვჩნდი. განიერი აბრეშუმის გალაბეა ეცვა და საგულდაგულოდ დახვეული ჩალმა, ფეხები სვეტის ძირამდე გაეშვირა და კმაყოფილებითა და განცხრომით სარკეში ყურებით იყო გართული. მისი მრგვალი, სიბერის ასაკთან მიახლოების მიუხედავად, მიმზიდველი სახე ღვინოს წითლად აელაჟლაჟებინა. ფრთხილად მივუახლოვდი და მისი სკამიდან ორი ადლის მანძილზე გავჩერდი. ჩემკენ არ მოტრიალებულა და არც შესტყობია რამე, რომ ჩემი იქ ყოფნა იგრძნო. თავაზიანად და კეთილგანწყობით მივმართე:

– სალამო მშვიდობისა, ბატონო ვანას!..

ისე მკვეთრად მობრუნდა ჩემკენ, თითქოს ჩემმა ხმამ ლეთარგიული ძილიდან გამოაფხიზლაო. უსიამოდ და არაკეთილგანწყობით მომაშტერდა. თავი წარვუდგინე და შენუხებისთვის მოვუბოდიშე. ჩემი მასთან მისვლის მიზეზის განმარტება დავაპირე, მაგრამ ლამის მბრძანებლური ტონით შემანწყვეტინა, რომელსაც თან გასაოცარი თავაზიანობა შერჩენოდა:

– ჯერ დაბრძანდი, გეთაყვა და მერე კი დალიე!

პირი გავაღე თუ არა მოსაბოდიშებლად, მან ყურებში თითები გაიკეთა და მითხრა:

– არც ერთი სიტყვა, სანამ იმას არ იზამ, რაც მე გითხარი!..

მივხვდი, რომ ჭირვეულ ლოთთან მქონდა საქმე და ჩემს თავს ვუთხარი, რომ ცოტათი მაინც უნდა ავყოლოდი. ჩამოვჯექი, გავუღიმე და ვუთხარი:

– ნება მიბოძეთ, ერთი შეკითხვა დაგისვათ...

თითები ყურებიდან არ გამოუღია, ბოთლზე მანიშნა და მითხრა:

– ისეთ ადგილას, სადაც ახლა მე ვზივარ, ვერ დავუშვებ ვინმესთან საუბრის გაბმას, თუ ისიც ჩემსავით მთვრალი არ იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში თანამესუფრეობა ლაზათს კარგავს და ურთიერთგაგებაც შეუძლებელი ხდება.

ჟესტებით გავაგებინე, რომ არ ვსვამდი, იმან კი გულგრილად მომიგო:

– ეგ შენი საქმეა, ეს კი – ჩემი პირობა!

ჭიქა შემივსო. მორჩილად დავწვდი და დავლიე. სასმელი გადავუშვი თუ არა შიგანში, ცეცხლი წამეკიდა. მოვითმინე, სანამ სასმელის სიმძაფრეს შევეგუებოდი და მერე ვუთხარი:

– მართლაც მაგარია! ვფიქრობ, ახლა კი დროა, გკითხო...

მაგრამ მას თითები კვლავ ყურებში ჰქონდა, ისე მითხრა:

– არ მოგისმენ, სანამ არ დათვრები!..

და ჭიქა მეორედ შემივსო. ყოყმანით მივაჩერდი, მაგრამ მერე შინაგანი პროტესტი დავძლიე და ერთბაშად გადავკარი. როგორც კი სასმელმა გულმუცელს მიაღწია, ნებელობა დავკარგე, მესამე ჭიქაზე – მახსოვრობა, მეოთხე ჭიქის შემდეგ მომავალი გამიქრა, ყველაფერი დატრიალდა და მეც წამიღო.



დამავინყდა, იქ რამ მიმიყვანა. ის კაცი მოსასმენად მოემზადა, მაგრამ მე მას მხოლოდ უშინაარსო, ფერად-ფერად ადგილებად ვხედავდი და სხვა ყველაფერიც ასე მეჩვენებოდა. არ ვიცი, რა დრო გავიდა. თავი სავარძლის სახელურისკენ კანტურით მივარდებოდა. ღრმა ძილში წავედი და ისეთი ლამაზი სიზმარი მესიზმრა, მანამდე მსგავსი რომ არ მენახა! მეზმანა, უკიდევანო ბაღში ვიყავი, აქეთ-იქიდან ხშირი ხეებით აყვავებულში. ხეთა გაბარჯლულ ტოტებში ცა არ ჩანდა, ისე იყო ვარსკვლავებით მოჭედილი. ისეთი გარემო იყო, თითქოს ან მზის ჩასვლის დრო იყო, ან მოღრუბლული ამინდი. გარშემო წვიმასავით ცვიოდა ჟასმინი. ჩამოცვენილი ჟასმინის გროვაზე ვიყავი წამოწოლილი. კამკამა შადრევნის შხეფები განუწყვეტლივ დამდიოდა ზედ და თავსა და შუბლს მიგრილებდა. უსაზღვრო შვებალხენასა და სიამოვნებაში ვიყავი, ღულუნი, ჭიკჭიკი და მღერა-გალობა ორკესტრით ჩამესმოდა ყურში. გასაოცარი ჰარმონია იყო ჩემსა და ჩემს სულს შორის, ჩვენ ორსა და მთელ ღუნას შორის, სადაც ყველაფერი უნდა ყოფილიყო უთანხმოებისა და ბოროტმოქმედების, უსწორობისა და ცდომილების გარეშე. არ იყო ქვეყნად არავითარი მიზეზი საუბრისა და მოძრაობისა, ქვეყნიერებაზე ექსტაზი და მხიარული განწყობა სუფევდა. ამ ყველაფერმა მხოლოდ ცოტა ხანს გასტანა და ამის შემდეგ თვალები გავახილე. ცნობიერებამ პოლიციელის მუშტივით მითავაზა და გონს მომიყვანა. დავინახე, ვანას ადამანპური სიბრაღულით მომჩერებოდა. ბარში მხოლოდ რამდენიმე მთვლემარე კაციღა დარჩენილიყო.

– ისე ღრმად გეძინა, უეჭველია, ძილი გაკლია...

დამძიმებული თავი ხელისგულს ჩამოვაყრდენი, მაგრამ ხელი მაშინვე

უკან გამოვნიე გოცებით, ხელისგულზე დავიხედე და დავინახე, ზედ წყლის წვეთები ელავდა. თავის მართლების კილოთი ვთქვი:

– თავი სველი მაქვს...

წყნარად მომიგო:

– დიახ, ჩემი მეგობარი შენს გამოღვიძებას ცდილობდა...

– როგორ, ვინმემ მნახა ამ მდგომარეობაში?!

– ნუ სწუხხარ, ის კეთილი კაცია, განა შეიხ ზაბალავიზე არაფერი გსმენია?!

ფეხზე წამოვვარდი და ვიყვირე:

– ზაბალავი?!

გოცებულმა მითხრა:

– დიახ, რა დაგემართა?!

– სადაა ის?

– არ ვიცი, ახლა სადაა. აქ იყო, მერე წავიდა...

გაქცევა დავაპირე, მაგრამ ისე ვიყავი დასუსტებული, ეს ჩემს ძალებს აღემატებოდა. მალევე სკამზე დავეხეთქე და სასონარკვეთილმა ვიყვირე:

– მე მხოლოდ მასთან შესახვედრად ვიყავი მოსული! დამეხმარე, რომ მას დავეწიო, ან ვინმე გაგზავნე, რომ მოძებნოს...

კაცმა კრევეტების გამყიდველი მონხმო და შეიხის მოძებნა და მოყვანა დაავალა, შემდეგ მე გადმომხედა და მითხრა:

– არ ვიცოდი, რომ შეჭირვებული იყავი, ძალიან ვწუხვარ...

განრისხებული შევეპასუხე:

– არ მომეცი საშუალება, რომ მეთქვა...

– რა დასანანია!.. ამ სკამზე იჯდა, შენ გვერდით, ერთ-ერთი თაყვანისმცემლის მიერ ნაჩუქარი ჟასმინის აცმა ეკიდა ყელზე და მთელი ამ დროის მანძილზე იმას ეთამაშებოდა, მერე შეებრალე, შენკენ გადმოიხარა და წყალს გაპკურებდა თავზე, რომ იქნებ გამოეფხიზლებინე და გონში ჩაეგდე...

ისე ვკითხე, რომ თან თვალი იმ კარისთვის არ მომიცილებია, საიდანაც კრევეტების გამყიდველი გავიდა:

– აქ მას ყოველდღე ხვდები?

– ამაღამ იყო ჩემთან, ნუხელაც, გუშინნინაც... მანამდე ერთი თვე არ მენახა!

ამოვიკვნესე:

– იქნებ ხვალაც მოვიდეს?!..

– იქნებ...

– მზად ვარ, რა თანხასაც ისურვეს, მივცე...

ვანასმა თანაგრძნობით მითხრა:

– საკვირველია, მაგრამ ამგვარი საცდუნებლით მას ვერ აცდუნებ... მაგრამ გინამლებს, თუკი შეხვდები...

– სანაცვლოს გარეშე?!

– მხოლოდ იმის გამო, რომ იგრძნოს, რომ გიყვარს იგი...

კრევეტების გამყიდველი განბილებული დაბრუნდა. ძალები მოვიკრიბე და ბანცალ-ბანცალით დავტოვე სამიკიტნო. ყოველ მოსახვევში ვიძახდი: „ჰეი, ზაბალავი!“ იმ იმედით, რომ ეგებ სასწაული მომხდარიყო და გამომხმაურებოდა, მაგრამ ძახილმა არ მიშველა. ქუჩის ბიჭბუჭობის ყურადღება მივიპყარი და დამცინავად მომაჩერდნენ, სანამ თავი პირველივე შემხვედრ ტაქსის არ შევაფარე...

მეორე ღამე ვანას ად-დამანჰურისთან ერთად ვათიე განთიადამდე, მაგრამ შეიხი აღარ მოსულა. ვანასმა

მაცნობა, რომ სოფელში უნდა გამგზავრებულიყო და კაიროში აღარ დაბრუნდებოდა, სანამ ბამბას არ გაყიდდა. ჩემს თავს ვუთხარი, რომ უნდა მომეცადა და საკუთარი თავი მოთმინებაში გამომეწვრთნა. ჩემთვის ისიც საკმარისი იყო, რომ ზაბალავის არსებობაში დავრწმუნდი და მეტიც, მისი ჩემდამი თანაგრძნობა ჩემი განკურნებისთვის მისი მზაობის ნიშნად მივიღე, თუკი ჩვენი შეხვედრა მოხდებოდა. ამის მიუხედავად, დროდადრო გულს მინვრილებდა ხანგრძლივი მოლოდინი და უიმედობა შემიპყრობდა ხოლმე. ვცდილობდი თავის დარწმუნებას იმაში, რომ ზაბალავიზე ფიქრისთვის თავი საბოლოოდ უნდა დამენებებინა. რამდენი ცხოვრებისგან შეჭირვებული არც კი იცნობდა მას და არც მითიურ არსებად მიიჩნევდა! მაშ მე რატომ ვიტანჯავდი თავს ასერიგად?!

თუმცა, როგორც კი ტკივილები შემომიტევდა, მაშინვე ვუბრუნდებოდი ფიქრს ზაბალავიზე და თავს ვეკითხებოდი, როდის მეღირსებოდა მასთან შეხვედრა. ამ ჩემს განზრახვაზე ხელი ვერც იმან ამაღებინა, რომ ვანასის შესახებ ამბები შეწყდა. როგორც მითხრეს, ის საზღვარგარეთ გაემგზავრა საცხოვრებლად. ჭეშმარიტება ისაა, რომ მე სრულიად დაბეჯითებით ვირწმუნე, რომ მე უნდა მომეძებნა ზაბალავი.

ღიას, მე უნდა მეპოვნა ზაბალავი...

არაბულიდან თარგმნა  
დარეჯან გარდავაძემ

## ლასან ქანაფანი (1936–1972)

ცნობილი პალესტინელი ლიტერატორის, მწერლის, პალესტინური პროზის ლიდერის, პოლიტიკოსის, პალესტინის გათავისუფლების მოძრაობის აქტივისტის, ლასან ქანაფანის ერთ-ერთი ადრეული პატარა მოთხრობა „სევდიანი ფორთოხლების მიწა“ (1963) პალესტინის პრობლემას ეხება. ამჯერად მწერლის რაკურსი პატარა ბიჭის თვალთ დაგვანახებს ამ დიდ პრობლემას. ის სისასტიკე და უღმერთობა, რასაც დევნილი ადამიანები აწყდებიან, პატარა ბიჭს აფიქრებინებს, რომ პალესტინიდან ლტოლვილად ქცეულ ადამიანებთან ერთად ლტოლვილად ქცეულა უფალიც...

ახალი არაფერია იმაში, რომ ხსოვნა მატერიალიზებულია და ადამიანები ხსოვნას გარკვეული სიმბოლოებისა და საგნების მეშვეობით ეჯაჭვებიან; მოთხრობაში ასეთ სიმბოლოდაა ქცეული ფორთოხალი, რომელიც ბიჭის მესიერებას მშობლიურის და ძვირფასის აღმნიშვნელად ჩაებეჭდა.

ქანაფანის ამ მოთხრობის პოპულარობის წყალობით პალესტინას – ლაზას, იაფას, ძირძველ პალესტინურ დასახლებებს სევდიანი ფორთოხლების მიწად მოიხსენიებენ ხოლმე; ასეა ბეირუთში 2009 წ-ს გადაღებულ მოკლემეტრაჟიან ფილმშიც, რომელიც პალესტინის პრობლემასა და იქ დატრიალებულ სისასტიკეს ეხება.

## სევდიანი ფორთოხლების მიწა

როდესაც იაფადან გავედით აქას მიმართულებით, ამაში არაფერი ყოფილა ტრაგიკული... ვიყავით იმათნაირები, ვინც ყოველ წელს გადის ქალაქიდან, რათა დღესასწაულს სხვა ქალაქში შეხვდეს. აქაში ჩვენი დღეები ჩვეულებრივ მიედინებოდა, არაფერი იყო უცხო და უცნაური! მეტიც, ალბათ იმიტომ, რომ იმ დროისთვის პატარა ვიყავი, იმ დღეებით ვტკბებოდი, სკოლაში წასვლამდე სწორედ ის დროდა მქონდა დარჩენილი... როგორც არ უნდა ყოფილიყო, აქაში დიდი შემოჭრის ღამეს სიტუაცია სულ უფრო და უფრო ნათელი გახდა... ეს ღამე, სასტიკი და მწარე, კაცების მოღუშულობა-დაღვრემილობასა და ქალების მოთქმა-უფლის ხმობაში გავიდა. მეც, შენც და ჩვენი თაობის ყველა ბავშვი პატარები ვიყავით საიმი-

სოდ, რომ თავიდან ბოლომდე მივმხვდარიყავით, რას ნიშნავდა ეს ისტორია... მაგრამ იმ ღამით გორგალს ძაფი გამოეშალა... დილით, როცა გამძვინვარებული ებრაელები მუქარით გავიდნენ, დიდი სატვირთო მანქანა გაჩერდა ჩვენი სახლის კართან... სანოლი ოთახის უბრალო ნივთების გროვა აქეთ-იქიდან სწრაფი, გამალეებული მოძრაობით ცვიოდა მის საბარგულზე... სახლის ძველ კედელზე ზურგით მიყრდნობილი ვიდექი, როცა დავინახე, დედაშენი როგორ ადიოდა მანქანაზე... შემდეგ დედაშენი, შემდეგ პატარები... მამაშენმა შენ და შენი ძმები მანქანაზე დახვავებულ ბარგზე ზემოდან შემოგისროლათ, შემდეგ მე ჩემი კუნჭულიდან გამომათრია, ზემოთ ამწია და მძღოლის კაბინის ჭერში, რკინის ცხაურებიან გალიაში შემსვა,

სადაც ჩემი ძმა რიადი დამხვდა გატრუნული... სანამ შესაფერის პოზაში მოვენყობოდი და თავს მოვიმაგრებდი, მანქანა დაიძრა. საყვარელი აქა ნელ-ნელა ქრებოდა რა'ს ან-ნაკურასკენ ამა-ვალი გზების ხვეულებში...

ამინდი, ცოტა არ იყოს, მოღრუბლული იყო და სიცივის შეგრძნება სხეულში მომდებოდა. რიადი მეტისმეტად წყნარად იჯდა, ფეხები გალიის კიდეზე, ზემოთ შემოეწყო, ზურგით ბარგს მიყრდნობოდა და მზერა ცისტოვის მიეშტერებინა... მე უხმოდ ვიჯექი, ნიკაპი აკეცილ მუხლებშორის მქონდა ჩამოყრდნობილი. ფორთოხლის პლანტაციები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ გზაზე... შიშის გრძნობა ერთიანად გვჭამდა... მანქანა ქშენა-ქშენით შეჰყოლოდა ფერდობის ნოტიო მიწას და შორეული სროლები გამოსამშვიდობებელი სალუტივით ისმოდა.

როდესაც ცისფერ ჰორიზონტზე შორიდან გამოჩნდა რა'ს ან-ნაკურას ნისლში გახვეული სილუეტი, მანქანა გაჩერდა... ქალებმა ბარგი მისწი-მოსწიეს და ძირს ჩავიდნენ, იმ გლახისკენ გაემართნენ, გზის პირას ჩაცუცქულს ზედ თავის წინ ფორთოხლის კალათი რომ ედგა... ქალებმა ფორთოხალი აიღეს და მათი ქვითინის ხმა მოგვწვდა... და სწორედ იმ წამს ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ფორთოხალი იყო რაღაც მშობლიური... ეს მსხვილი, კრიალა ნაყოფი იყო რაღაც ძვირფასი რამ ჩვენთვის... ქალებმა იყიდეს ფორთოხალი და თან წამოიღეს მანქანაში. მძღოლის გვერდზე მჯდარი მამაშენი ძირს ჩავიდა, ხელი გაიწვდინა და ფორთოხალი გამოართვა ქალებს... ჩუმად უყურა, შემდეგ იფეთქა და ატირდა უბედური ბავშვივით...

რა'ს ან-ნაკურაში ჩვენი მანქანა ბევრი სხვა მანქანის გვერდით გაჩერდა... კაცებმა დაიწყეს იარაღის ჩაბარება ამ მიზნით მდგარი პოლიციელების-

თვის... ჩვენი ჯერი რომ მოვიდა, დავინახე მაგიდაზე დაყრილი შაშხანები და ავტომატები... დავინახე, დიდი მანქანების მწკრივი კლაკნილი გზების ხვეულებით როგორ შედიოდა ლიბანში და სწრაფად შორდებოდა ფორთოხლების მიწას... მე ვიქეცი სხვად და მწარედ ავტირდი... დედაშენი ისევ ფორთოხალს დასჩერებოდა მდუმარედ... მამაშენის თვალეში ფორთოხლის ყველა ის ხე ელავდა, რომლებიც კი ებრაელებს დაუტოვა... ყველა ის კრიალა ფორთოხლის ხე, რომლებიც სულ სათითაოდ ჰქონდა ნაყიდი... ყველაფერი სახეზე ეხატა... ეხატა და მის ცრემლებში ირეკლებოდა, საგუშაგოს ოფიცრის წინ რომ ვერ იკავებდა...

მოსალამოებულს, როცა საიდას მივალწიეთ, ჩვენ უკვე ლტოლვილებად ვიყავით ქცეულნი.

\*\*\*

გზამ ისე გაგვთელა, როგორც სხვები. მამაშენი თვალსა და ხელს შუა დაბერდა. ისე გამოიყურებოდა, თითქოს ძალიან დიდი ხანია, არ უძინიაო... ქუჩაში, გზაზე დაყრილი ბარგის წინ იდგა. ცხადად მქონდა წარმოდგენილი, რომ მივსულიყავი მასთან და რამე მეთქვა, ჩემ თვალწინ იფეთქებდა – მამაშენი ინყევლებოდა და შეაჩვენებდა... ეს წყევლა და ლანძღვა-გინება მის სახეზე ნათლად ჩანდა; მეტიც, მეც, მკაცრ რელიგიურ სკოლაში აღზრდილი ბავშვი, იმ წუთას დავეჭვდი იმაში, რომ უფალს ადამიანთა ბედნიერება წამდვილად სურდა... ეჭვი შემეპარა იმაში, რომ ის ყოვლისმსმენელი და ყოვლისმხილველი იყო!.. მეჩვენებოდა, რომ ის ფერადი ხატები, რომელთაც სკოლის ეკლესიაში გვირიგებდნენ და რომლებზეც მონყალე, ბავშვთა შემწყნარებელი და მომღიმარე უფალი იყო გამოსახული, კიდევ ერთი მორიგი ტყუილი იყო მათი, ვინც

პროვინციულ სკოლებს ხსნიდა, რათა მეტი გადასახადი მოეხვეჭა... უკვე ეჭვი აღარ მეპარებოდა იმაში, რომ ღმერთს, რომელსაც ჩვენ პალესტინაში ვიცნობდით, უკვე დაეტოვებინა იგი და ისიც ლტოლვილად ქცეულიყო, არ კი ვიცი, სად... ლტოლვილ ღმერთს ძალა არ შესწევდა ამ პრობლემის თავად გადაჭრისა და ჩვენ, ადამიანი-ლტოლვილები, ტროტუარზე მსხდარნი, ველოდით ახალ ბედისწერას, რომელიც იტვირთებდა რამენაირი გამოსავლის მოძებნას... ჩვენ გვეკისრებოდა პასუხისმგებლობა, მოგვენახა ჭერი, რომლის ქვეშაც ღამეს ვათევდით და პატარა ბავშვის გულბრყვილო გონებას ტკივილმა შემოუტია...

ღამე საშიში რამაა!.. ღამის უკუნი სიბნელე, ნელ-ნელა რომ ჩამოგვანვა თავზე, გულში შიშს მინერგავდა. მხოლოდ იმის გაფიქრებაც კი, რომ ღამეს ტროტუარზე გავატარებდი, სულში სხვადასხვა ხიფათის შეგრძნებას აღმიძრავდა... ეს იყო სასტიკი, მშრალი შიში... არავინ იყო, ვინც შემიბრალებდა... კაციშვილი არ მეგულებოდა, ვისთანაც თავს შევაფარებდი... მღუშარე მამაშენის მზერა ხელახლა მცემდა თავზარს... დედაშენის ხელში ფორთოხალი თავში ცეცხლს მიკიდებდა... ყველანი უსიტყვოდ მიშტერებოდნენ შავ გზას, საოცარი სურვილით შეპყრობილები, რომ მოსახვევს იქიდან გამოჩნდებოდა ბედისწერა და ჩვენი პრობლემების მოგვარების გასაღებებს ჩამოგვირიგებდა, რომ მას გავყვებოდით სადმე თავის შესაფარებლად... და აი, უეცრად ბედისწერაც მოვიდა!.. ის ბიძაშენი იყო, რომელიც დასახლებაში ჩვენზე ადრე ჩამოსულიყო. სწორედ ის მოგვევლინა ბედისწერად!..

ბიძაშენს ზნეობისა და მორალის არსებობა დიდად მანამდეც არ სჯეროდა, მაგრამ როცა ჩვენსავით ტროტუარზე აღმოჩნდა დარჩენილი, მორალი

და ზნეობა საერთოდ აღარ იწამა, პირი იქცია იმ სახლისკენ, სადაც ებრაული ოჯახი ცხოვრობდა, კარი შეაღო და თავისი ბარგი შიგ სახლში მოისროლა, მათ კი მზაკვრული სახით და გასაგები ენით ნიშანი მისცა: „ნადით პალესტინაში!..“ რასაკვირველია, სახლის პატრონები პალესტინაში არ წასულან, მაგრამ ბიძაშენის სასონარკვეთილებამ დააფრთხო ისინი და მეზობელ ოთახში გადაბარგდნენ, დაუტოვეს მას ჭერთა და იატაკით ტკბობის საშუალება...

ბიძაშენმა იმ თავის ოთახში წაგვიყვანა და თავის ოჯახსა და ბარგთან ერთად დაგვახვავა... ის ღამე იატაკზე გვეძინა, რომელიც ჩვენს პატარა სხეულებს აევსო და საბნად დიდების გრძობები გვეხურა. დილით ამდგრებმა აღმოვაჩინეთ, რომ კაცებს ის ღამე სკამებზე მსხდომებს გაეთენებინათ... ტრაგედიამ იწყო გზის გაკვლევა და ადვილად შეაღწია ჩვენი სხეულების ყველა უჯრედში...

საიდაში დიდხანს არ გვიცხოვრია. ბიძაშენის ოთახი ჩვენს ნახევარსაც კი ვერ იტევდა, ამის მიუხედავად, სამი ღამე შეგვიფარა... ამის შემდეგ დედაშენმა მამაშენს ან რამე სამსახურის მონახვა მოსთხოვა, ან ფორთოხლის ბალებში დაბრუნება!.. მამაშენმა დედაშენს ბოლმითა და ჯავრით აკანკალებული ხმით უყვირა. დედაშენი გაჩუმდა... და დაიწყო ჩვენი ოჯახური პრობლემები... ბედნიერი, შეკრული ოჯახიდან მხოლოდ იატაკი, საცხოვრებელი ადგილი და ბრძოლაში დაღუპულები დაგვრჩა...

არ ვიცი, საიდან, მაგრამ მამაშენი ფულით მოვიდა... ვიცი, რომ მან ოქროულობა გაყიდა, რომელიც დედაშენს უყიდა მაშინ, როცა სურდა, იგი გაეხედნიერებინა და ამაყი გაეხადა იმით, რომ მისი ცოლი იყო... თუმცა ეს ოქრო იმდენს არაფერს მისცემდა, ჩვენი პრობლემების გადაჭრა რომ შესძლებოდა!..

უდავოდ რაღაც სხვა წყაროც უნდა ყოფილიყო – ან ვალი აიღო, ან სხვა რამე გაყიდა, რომელიც ისე გაიტანა, რომ ჩვენ არ დაგვინახავს... არ ვიცი... მაგრამ მახსოვს, რომ საიდას გარეუბანში მდებარე სოფელში გადავედით... და იქ, მაღალ, ქვის აივანზე მჯდარმა მამაშენმა პირველად გაიღიმა... 15 მაისის მოლოდინში იყო, რათა გამარჯვებული ჯარის კვალდაკვალ დაბრუნებულიყო პალესტინაში...

მტანჯველი მოლოდინის შემდეგ 15 მაისიც მოვიდა... ზუსტად 12 საათზე მამაშენმა ღრმა ძილიდან ფეხის წაკვრით გამომალვიდა თავგანწირული, უშიშარი იმედით აღვსილი ხმით: „ადექი და პალესტინაში არაბული ჯარების შესვლის მოწმე გახდი!“ ფეთიანივით წამოვვარდი... ბორცვებზე ფეხშიშველები დავეშვით შუაღამისას, სოფლიდან მთელი კილომეტრით დაშორებული გზისკენ... ყველანი იქ ვიყავით, დიდიან-პატარიანად, ვქოშინებდით და გულამოვარდნილები გიჟებივით მივრბოდით... შორიდან მანქანების სინათლე გამოჩნდა, რა'ს ან-ნაკურას აღმართს შემოსდგომოდნენ. გზას რომ მივალწით, სიცივე ვიგრძენით, მაგრამ მამაშენის ყვირილი გვმართავდა... პატარა ბავშვივით სირბილით ასდევნებოდა მანქანებს... მისძახოდა მათ... ჩახრინწული ხმით ყვიროდა, სუნთქვა ეკვროდა, მაგრამ მაინც მანქანების კოლონას მისდევდა სირბილით, პატარა ბიჭივით... მის გვერდით გავრბოდით და მასთან ერთად ვყვიროდით... კეთილგანწყობილი ჯარისკაცები თავიანთი ჩაფხუტების ქვემოდან გვიმზრდნენ უძრავად და უხმოდ. ჩვენ მივრბოდით... მამაშენი, თავისი ორმოცდაათი წლის კვალობაზე, ყმანვილივით გარბოდა, სირბილში ჯიბიდან პაპიროსის ღერებს იღებდა და ჯარისკაცებს ესროდა, თან გაუჩერებლად ყვიროდა... ჩვენ მის

გვერდით მივრბოდით, როგორც თხების პატარა ფარა...

მოულოდნელად მანქანების მწკრივი დამთავრდა... არაქათგამოცლილები გავბრუნდით შინ, მოგუდული სტვენით მძიმედ ვსუნთქავდით და ძლივს ვითქვამდით სულს... მამაშენი დუმდა, არ საუბრობდა. ჩვენც აღარ გვექონდა ლაპარაკის თავი... და, როდესაც ჩავლილი მანქანის შუქმა მამაშენს სახე გაუნათა, ლოყები ერთიანად ცრემლით ჰქონდა სველი...

ამის შემდეგ ამბები საშინლად გაიწეა... ჯერ რიტორიკით გაგვბერეს და გაგვაბრუნეს და მერე – მწარე სინამდვილით... სახეებს ისევ დაუბრუნდა დაღვრემილობა... მამაშენს უკვე ძალიან უჭირდა პალესტინაზე, მის ფორთოხლის ბაღებსა და მშობლიურ სახლში გატარებულ ბედნიერ წარსულზე საუბარი... ჩვენც გავისიგრძეგანეთ იმ უზარმაზარი ტრაგედიის მასშტაბები, მის ახალ ცხოვრებას რომ დაუფლებოდა... ჩვენც, პატარა ეშმაკუნები, უკვე ძალიან ადვილად ვხვდებოდით, რომ მამაშენის დირექტივებით დილაუთენია მთის მწვერვალზე ასვლა სხვა არაფერი იყო, თუ არა ჩვენი გატყუება, საუზმე რომ არ მოგვეთხოვა...

საქმეები გართულდა... ყველაზე უმნიშვნელო რამესაც კი მამაშენის საოცარი გამძვინვარება შეეძლო... კარგად მახსოვს, ერთხელ ვიღაცამ რაღაც სთხოვა, არ ვიცი და არ მახსოვს, რა... მამაშენი შეტოკდა და შემდეგ ისეთი კანკალი დააწყებინა, თითქოს მეხი დასცემიაო... თვალები უელავდა და მისი მზერა ჩვენს სახეებზე მიმოდოდა... წყეული აზრი შესჯდომოდა თავში... მერე ისე წამოხტა, თითქოს სასურველი გამოსავალი იპოვაო... თითქოს ადამიანურ გრძობათა მორევში თავისი პრობლემების გადაწყვეტის ძალა მოეცაო... იმ კაცს ჰგავდა, სახიფათო ნაბიჯის გა-

დადგმის წინ ძრწოლას რომ შეუპყრია და აბოდებს... დაინყო თავის გარშემო ტრიალი რალაცის ძებნაში, რასაც ჩვენ ვერ ვხედავდით... შემდეგ სკივრს ეცა, რომელიც აქადან გვქონდა ნამოღებული, შემაშინებლად ნერვული მოძრაობით დაინყო შიგ ქექვა... დედაშენი ნამში მიხვდა ყველაფერს... მღელვარებით შეპყრობილმა, ძალით, რაც დედას მაშინ ეძლევა, როცა მისი შვილები საფრთხის წინაშე არიან, ოთახიდან გარეთ გამოგვრეკა და გვთხოვდა, მთებში გავქცეულიყავით... მაგრამ ჩვენ ფანჯარას არ მოვცილებივართ, პატარა ყურებით ფანჯრის ჩარჩოს ავეკარით და დიდი შიშით ვისმენდით მამაშენის ხმას: „მინდა, დავხოცო ისინი და თავიც მოვიკლა... მინდა, დავასრულო... მინდა...“

მამაშენი დადუმდა... როდესაც დავბრუნდით, რომ კარის ღრიჭობიდან ოთახში შეგვეხედა, დავინახეთ, იატაკზე ეგდო და ხმამალლა, მძიმედ სუნთავდა, კბილებს აკრაჭუნებდა და ტიროდა... ხოლო დედაშენი კუთხეში მიმჯდარიყო და მწუხარებით უცქერდა ქმარს...

ბევრი არაფერი გვესმოდა, მაგრამ მახსოვს, როცა მის გვერდით, იატაკზე დაგდებული შავი რევოლვერი დავინახე, ყველაფერს მივხვდი... მომაკვდინებელი შიშით ძალამოცემული, რომელიც ბავშვს ავსულის მოულოდნელ დანახვაზე იპყრობს, მთებში გავიქეცი... სახლიდან შორს...

და როდესაც სახლს დავშორდი, იმავდროულად დავშორდი ჩემს ბავშვობასაც... ვგრძნობდი, ჩვენი სიცოცხლე აღარ იყო ტკბილი და სასიამოვნო, სადაც იოლად შეგვეძლო მშვიდი ცხოვრება... საქმე იმ ზღვრამდე მისულიყო, როცა გამოსავალი და საშველი მხოლოდ

შუბლში ტყვია იყო თითოეული ჩვენგანისთვის... ამრიგად, ყურადღებები უნდა ვყოფილიყავით ჩვენს ქმედებებში, რათა სიტუაციის შესაფერისად გვჭეროდა თავი... საჭმელი აღარ უნდა მოგვეთხოვა, თუნდაც მშვირები ვყოფილიყავით... ხმა არ უნდა ამოგვეღო, როცა მამა თავის პრობლემებზე ლაპარაკობდა და ღიმილით უნდა დაგვეკრა თავი, როცა გვეტყოდა: „ადით მთაზე და შუადღემდე ნუ დაბრუნდებით!..“

სალამოს, როცა სიბნელე ჩამონვა, სახლში დავბრუნდი. მამაშენი ისევ ავად იყო. დედაშენი გვერდით ეჯდა. თქვენ ყველას თვალები კატებივით გიელვარებდათ, ტუჩები კი ისე გქონდათ მოკუმული, თითქოს აღარასოდეს გაიხსნებინო... ძველი, წესიერად შეუხორცებელი ჭრილობის ნაწიბურივით...

შექურებულები იყავით იქ, ბავშვობას ისე დაშორებულნი, როგორც ფორთოხლების მინას... იმ ფორთოხლებისა, რომელზეც გლახმა, რომელსაც ისინი მოჰყავდა და გასაყიდად გამოჰქონდა, გვითხრა: „ფორთოხალი ჭკნება, თუკი შეეცვალა ხელი, რომლისგან მორწყვასაც ის მიჩვეულია...“

მამაშენი ისევ ავად იყო და სახლში იწვა. დედაშენი სიმწრის ცრემლებს ყლაპავდა, დღემდე რომ არ შემრობია მის თვალებს...

ოთახში ისე უჩუმრად შევიპარე, თითქოს გარიყული და განდევნილი ვიყავი... როდესაც ჩემი მზერა მსხვერპლად შესანიერი, დასაკლავი ცხოველივით მოცახცახე მამაშენის სახეს მოხვდა, იმავე მომენტში დავინახე შავი რევოლვერი დაბალ მაგიდაზე... და მის გვერდით ფორთოხალი...

ფორთოხალი იყო გამომშრალი და დამჭკნარი...

არაბულიდან თარგმნა  
დარეჯან გარდავაძემ

## იბრაჰიმ ალ-ქუნი (1948 –)

დაიბადა ლიბიის ქ. ლადამესში. წარმოშობით ტუარეგია. 1977 წელს დაამთავრა მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი ქ. მოსკოვში. 60-ზე მეტი წიგნის ავტორია: ესაა რომანები, ნოველები, პუბლიცისტიკა, რომელიც ეძღვნება ტუარეგთა ცხოვრებას უდაბნოში. ცხოვრობდა ყოფილ სსრკ-ში და მისი დაშლის შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა შვეიცარიაში (1993 წელს).

მიღებული აქვს მრავალი საერთაშორისო ლიტერატურული პრემია, რომელთა შორისაა შვეიცარიის მთავრობის სახელმწიფო პრემია გერმანულ ენაზე ნათარგმნი რომანებისათვის. ფრანგულმა ჟურნალმა „Lire“ იგი დაასახელა XXI საუკუნის ლიტერატურის 50 თანამედროვე გამოჩენილ მსოფლიო რომანისტს შორის, რომლებსაც „ხვალინდელი დღის მწერლები“ უწოდა. 2005 წელს მიიღო მუჰამედ ზეფზაფის სახელობის მაროკოს პრესტიჟული ლიტერატურული პრემია. 2008 წელს მიენიჭა არაბული სამყაროს უდიდესი – შეიხ ზაიადის – ლიტერატურული პრემია რომანისტის „ძახილი“. იბრაჰიმ ალ-ქუნის ნაწარმოებები ნათარგმნია მსოფლიოს მრავალ ენაზე.

## ერთი ყლუპი სისხლი

*„წყლისგან შევქმენით ყველაფერი ცოცხალი“  
ყურანის აია...*

პატარა ვანისმა ველარ გაუძლო წყურვილს და თავის უმცროს დას – თანისს შესჩივლა, როგორ დარჩა ამულეტები იქ, სადაც ქურციკების ფარას მწყემსავდა. თანისი ატირდა და სთხოვა, არ დაეღია ქურციკის შარდი, მაგრამ ვანისმა ველარ შეძლო წყურვილის ატანა. წავიდა, თავისი ამულეტები მოხვეტა, ქურციკს პირში ქვა ჩასჩარა და მისი შარდი დაღია. დაბრუნდა თავის დასთან – თანისთან. ბიჭი წელს ზემოთ ქურციკად ქცეულიყო, რქებზე კი ამულეტები ეკიდა.

*„ტუარეგების ლეგენდიდან“.*

### ხალხი და ზღვა

მზემ თავისი მენამული ფერი დაკარგა და მასთან ერთად დღეც მიიღია. სამდღიანი პაპანაქებისა და სამხრეთის ქარების შემდეგ პირველად დაუბერა

ნესტითა და სიცოცხლით გაჯერებულმა ჩრდილოეთის ნიავმა, მთელი მკერდით ღრმად რომ ჩაისუნთქა კაცმა და იგრძნო, როგორ გამოცოცხლდა და აღივსო ენერგიით. უეჭველია, რომ ალაჰის სამოთხიდანაა ეს ნიავი... შორეული



ზღვებიდან უბერავს... იქიდან, სადაც გრძნეული ხალხი დიდ ქალაქებში ცხოვრობს... დიდი ხანი არაა, რაც ერთმა კაცმა ქალაქის მონახულების შემდეგ უამბო, რომ ზღვის წყალი ქანოდან<sup>1</sup> ჩამოტანილ ტუარეგთა სამოსივით ლურჯი ფერისაა. მისი სივრცე კი უკიდუგანოა... უკიდუგანოა საჰარასავით. რა ბედნიერია ეს ხალხი! ალაჰმა უხვი წყლით დაასაჩუქრა ისინი... პირდაპირ ფეხებთან უღივლივებთ ზღვა და მეტი რაღა უნდათ?! მაგრამ იმ კაცმა უთხრა, რომ ისინი, მიუხედავად ზღვისა, ურცხვები და ბოროტები არიან. ქურდობენ, ჩხუბობენ და ერთმანეთს კლავენ. როგორ ბედავენ, რომ ფეხით გათელონ ალაჰის წყალობა, უბედურებაში ჩააგდონ და ხოცონ ერთმანეთი, სიავე თესონ, მიუხედავად იმ უხვი წყლისა, მათ ფეხქვეშ რომ მოედინება?! რომელ ადამიანსა აქვს უფლება, ღვთის მაღლი შეურაცხოს, უმადური იყოს ამ წყლის – თუ არა წყეულ სატანას?!

#### გველი ფეხდაფეხ მისდევს თავის მკვლელს

მოულოდნელად ჩამონვა წყვილი და დღემაც ადგილი დაუთმო. კაცი აქლემიდან ჩამოქვეითდა და ცხოველს ველურ, გამხმარ ბალახებში წინ გაუძღვა, რომ შესაფერი ღამის გასათევი ადგილი მოეძებნა. ლოტუსის დიდ ხესთან მუხლებზე დააჩოქა. უნაგირი, თოფი, სანოვაგე, წყლით სავსე ტიკი და სხვა ბარგი ჩამოხსნა. მერე ზონარი მუხლზე შემოახვია, მიაბა და შეშის მოსაძებნად წავიდა.

დიდი გამხმარი ხის ტოტების მტვრევა დაიწყო... ხის, რომლისთვისაც გვალვას სული და სიცოცხლე წაერ-

თმია, მზეს კი საბოლოოდ მოელო ბოლო. მიმოზნეული ფიჩხის შეგროვება დააპირა თუ არა, ის საძულველი სისინი მოესმა, ჟრუანტელივით რომ დაუვლიდა ხოლმე მთელ ტანში და ყოველგვარ ბოროტებას ჩაადენინებდა... დიდი ხის ძირში ფრინველების ერთ-ერთ ბუდე-სთან დაგრაგნილიყო და თავისი ენით საფრთხეს უქმნიდა მათ.

გაახსენდა, რომ თოფის წამოღება დავიწყებოდა და თავდაცვის გიჟური ინსტინქტით ტოტებით შეუტია. მისი საზიზღარი გარეგნობა არასდროს აძლევდა დაფიქრების საშუალებას. მუცელი გაჰბეროდა. მიხვდა, რომ ჩიტი გადაეყლაპა. ბუდეში სამი კვერცხი იდო. ორი დიდი ქვა მოძებნა და... თავი წააცალა. ტოტებით პატარა ორმო ამოთხარა და თავი ჩამარხა. აუცილებელი იყო, ეს გაეკეთებინა... თუ გველს მოკლავ და თავს არ წააცლი, როგორც კი წახვალ, სხვა გველები მოვლენ, გააცოცხლებენ და ისიც მაშინვე კვალდაკვალ დაგედვენება, რომ მოგკლას, სადაც უნდა იყო... – ასე ამბობენ ტუარეგები. მას კი ისე არაფრის სჯეროდა, როგორც გველის ძალის – დასდევნობდა თავის მკვლელს და შური ეძია, თუ თავს ზედ შეატოვებდა. ალბათ, ყველაფერზე მეტად გველის ეშინია... უფრო მეტად, ვიდრე ჩაგვრის, მოჩვენებების, უდაბნოსი და ყველა მტრის.

#### ახალგაზრდობა და წყალი ღვთის წყალობაა

ცეცხლი გააჩაღა. ტყავის ტომრიდან ფქვილი ამოიღო... გობზე ტიკიდან წყალი დაასხა და ცეცხლის ჩაქრობის მოლოდინში ცომის მოზელა დაიწყო. წყალმა საგრძნობლად იკლო ტიკში.

<sup>1</sup> ქანო – ქალაქი ნიგერიაში.

ორი დღეა, უშედეგოდ დაძრწის ღია ცის ქვეშ... სამი თვეა, ხორცის გემო არ გაუსინჯავთ ბავშვებს. თხები გვალვამ იმსხვერპლა. რაც გადარჩა, ისეთი გამხდრები არიან, მგელიც კი არ გაჰკრავთ კბილს. ორი დღის მანძილზე მხოლოდ ერთ ქურციკს გადაეყარა და ისიც ვერ მოკლა. სად გაქრა ის დღეები, ერთი გასროლით რომ კლავდა ქურციკს?! სად გაქრა ის დღეები, როცა, მორბენალ აქლემზე ამხედრებული, კამარაშეკრული ქურციკის მოკვლაზე ნიძლავს დება?! ახალგაზრდობის დღეები... ახალგაზრდის ხელი რკინასავითაა – ჰაერში გაფრენილ ქურციკს კლავს, მორბენალ მაჰრულ<sup>1</sup> აქლემზე ამხედრებულს რომ იყოს... ტყვია ყოველთვის მიზანს აღწევს. ბერიკაცის ხელი კი... უმიზნოდ თრთის... თრთის მაშინაც, როცა მიწაზეა განოლილი და გორაკის წვერს ამოფარებული უმიზნებს. ქურციკების ჯგუფი მშვიდად ძოვს მის თვალწინ და, მიუხედავად ამისა, მიზანს აცილებს.

ახალგაზრდობა... ახალგაზრდობა, როგორც წყალი, ღვთის წყალობაა... ვისაც სურს, იმას მოუვლენს და როცა სურს, მაშინ ართმევს.

### პური და მარილი

ნალვერდლები გვერდზე გახვეტა და გავარვარებულ სილას ცომი დააკრა. ზემოდან ნაცარი მოაყარა და ნაკვერცხლებით დაფარა. ჩაიდანში წყალი ჩაასხა და ზედ შემოდგა. წყალს უნდა გაუფრთხილდეს. თუ ხვალ ალაჰი არ მოგვივლენს ზღვის ნიავსა და ჩრდილოეთის ღრუბლებს, მზის მცხუნვარებას რომ შეარბილებს და ნესტით გააჯერებს ჰაერს, ამ ცოტა წყლით ერთი

დღეც ვერ გაუმკლავდება სამხრეთის ქარებს.

ნაცრიდან პური ამოაძრო და დაბერტყა, რომ ფერფლი და მიკრული ნახშირის პატარა ნატეხები მოეშორებინა. მტვერი ჩამობერტყა. ჩვეულები-სამებრ, წყლის გადავლებას აპირებდა, რომ გონს მოეგო. ჩანთიდან დანა ამოიღო და პური შუაზე გაჭრა... ისე დაიწყო ჭამა, რომ მარილი არც გახსენებია... არა უშავს... თვითონ მიწამ დაამარილა... მინის მარილი უფრო გემრიელია. ო, ღმერთო! რა სჯობს მინის მარილს! გავარვარებულ სილაში გამომცხვარ პურზე გემრიელი არაფერია, სამოთხის სურნელს რომ აფრქვევს... ეს ღვთიური პურია, რომლის გემო შორეული ჩრდილოეთიდან, უდაბნოსავით უკიდევანო ზღვიდან მონაბერი ნოტიო ნიავევითაა.

### ბრძნული აზრი

პური შეჭამა და ჩაი დალია. სილით განიბანა და მექისკენ მიბრუნდა, რომ ყოველდღიური ხუთჯერადი სავალდებულო ლოცვა ერთი ლოცვით შეესრულებინა.

დასაძინებლად გამზადებულს უცებ თავისი „ნითურა“ გაახსენდა. სულ გადაავიწყდა... ისიც კი დაავიწყდა, რომ ძილის წინ, წესისამებრ, ეჭმია მისთვის. მიუახლოვდა. აქლემმა ცოხნა შეწყვიტა... პატრონის ხელების ლოკვა დაიწყო ბალახის ან მუჭა ხორბლის ძებნაში. როცა მიხვდა, რომ ცარიელი ხელებით იყო მოსული, თავი ტანზე გაუხახუნა, კისერი ნაიგრძელა და მოთმინებით განაგრძო ცოხნა.

ეს სხვა აქლემებს არ ჰგავს. მაჰრულის მსგავსს არათუ დიდ საჰარაში, მთელ ქვეყანაზეც ვერ იპოვი. სათუთი

<sup>1</sup> მაჰრული – ჯიშიანი აქლემი. წარმომავლობის სახელი უკავშირდება ერთ-ერთ იემენურ ტომს.

სული აქვს და მეგობრობა იცის. თავისი ხელით ზრდიდა პატარაობიდან: სულში ადამიანურ სითბოს უნერგავდა, რათა მისი თავიდან ბოროტება გამოედევნა. დიახ, ბოროტება, რომელიც იმ აქლემებმა უჩვენეს, უცხოელები რომ ყიდდნენ. დიახ, ღამის ვარსკვლავები უჩვენეს შუადღის ცაზე. ერთი აქლემი ამლადების ტომის ბედუინმა მიჰყიდა. თავისი პატრონიდან მემკვიდრეობით მიეღო ორგულობა და ყველა ის ბინიერება, ამ უზნეო ტომს რომ გააჩნდა. ერთ-ერთი მოგზაურობის დროს შეეცადა ზემოდან დასწოლოდა მძინარე პატრონს, რომ გაეჭეჭყა. მეორე აქლემი კი ხუთ ცხვარში გაუცვალა ადგილობრივი აქოთებული სუნამოებით მოვაჭრე ჩადელს. ჩანს, რომ მან თავის აქლემს ასწავლა ის გრძნეული ჩვევები, რომლითაც ასეთი ვაჭრები სარჩოს შოულობენ უცხო ქვეყნებში წონილის დროს. თავიდან ცდილობდა, აქლემის უაზრო და სულელური ქცევები მისი გენეტიკური წარმომავლობით გაემართლებინა, მაგრამ მალევე მიხვდა მისი საზიზღარი თვისებების მიზეზს. ამ წყეულმა ცხოველმა, როდესაც მისი პატრონი, სეზონური უხვი წვიმების შემდეგ, გუთნით მიწას ამუშავებდა ალ-ჯუაფარის ხეობაში, დრო იხელთა, მარჯვენა მკლავში სწვდა და ლეჭვა დაუნყო... პატრონმა მარცხენა ხელით მუშტები დაუშინა, მაგრამ უშედეგოდ... რა შეეძლო მარცხენა ხელს, როცა მისი ტყუპისცალი მარჯვენა ისეთი გახელებული აქლემის ყბებში იყო მოქცეული, როგორიც ეს აქლემია. გადაარჩინა კაცმა, მის მახლობლად მიწას რომ ხნავდა. თოფის კონდახით ჩაუმტვრია ყბები გაცოფებულ ცხოველს. იმ დღეს დარწმუნდა და დღემდე სჯერა, რომ ეს აქლემი იმ შეთქმულების შედეგი იყო, მის მარჯვენა ხელს რომ მო-

უნყვეს მტრებმა. დიახ, სახელი ჰქონდა გავარდნილი, როგორც უბადლო მსროლელს იტალიელებსა და მომტრო ტომებთან ომებში.

იგივე დაადასტურა ლადამესელმა ფაკიჰმაც<sup>1</sup>. ამ ამბის შემდეგ ერთხელ მოინახულა იგი... მის თავზე ყურანის რამდენიმე აია და შელოცვა წაიკითხა, აბანოში საკმევლით გააბრუა და შეუმჩნევლად ძველ ამულეტებს შორის ახალი ჩაუდო და არ მოეშვა, ვიდრე ათი ფრანგული ფრანკით არ შეუმსუბუქა ჯიბე. სამაგიეროდ, ტუარეგმა უკვე იცოდა, როგორ ეძია შური ამ მოჯადოებულ აქლემზე, მტრებმა რომ შეაჩეჩეს. ჯადოქარმა ფაკიჰმაც ხომ იგივე დაუდასტურა...

როდესაც ერთხელ უდაბნოში წყურვილმა შეაწუხა, გაახსენდა ბრძნული რჩევა, რომელიც ამ ქვეყნად ტუარეგთა და უდაბნოს არსებობის დროიდან მოდის: „დაკალი აქლემი და დალიე მისი სისხლი.“ ხელი მოურჩა, მაგრამ დიდხანს ავარჯიშებდა მიზანში სროლაზე და არ იჯერებდა მის განკურნებას, ვიდრე ერთხელ, თავის გაჭენებულ მაჭრულზე ამხედრებულმა, ჰაერში გაფრენილ ქურციკს არ მოახვედრა. „წითურამდე“ ერთი გამორჩეული აქლემიც ჰყავდა, მაგრამ ბალახს რაღაც ჭია შეაყოლა, გაიბერა და ვიდრე სასიკვდილო აგონიაში არ ჩავარდა, არ დაკლა. მისი ხორცის ჭამაზე კი უარი თქვა.

„წითურა“ კი ამ გამხდარი, მოცახცახე ხელითა ჰყავს გაზრდილი... თავის ზურგზე ერთგულად დაატარებდა წინ და უკან პატრონს უდაბნოში, მიუხედავად შიმშილისა, წყურვილისა და მცხუნვარე მზისა. მასთან მეტი დრო აქვს გატარებული, ვიდრე ცოლ-შვილთან. ცოლზე უკეთესად უგებს მას... და ალბათ, მასზე მეტადაც უყვარს. როგორ არ უყვარდეს

<sup>1</sup> ფაკიჰი – მუსლიმური სამართლის მცოდნე.

კაცს ასეთი თვინიერი და დამჯერი ცხოველი, როგორიც „ნითურას“, რომელთანაც ამ ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ერთი ფუთი მარლი აქვს ნაჭამი.

ცოდვა ისაა, რომ სამოთხეს ითხოვ

„ნითურას“ ბარგი აჰკიდა... უნაგირი დაადგა ზურგზე. სიყვარულით კისერზე ხელი მოუთათუნა. ბევრ მწვანე ბალახს შეჰპირდა „მათრობელა წყაროების“ ხეობაში, სანამ ერთი ნახტომით უნაგირს მოეველებოდა. მზის ამოსვლამდე გავიდა და შუადღისთვის უკვე ხეობას მიაღწია (მზე ისევ ცეცხლივით მწველი იყო). ხეობის შუაგულში ქურციკების ჯგუფი დაინახა, თვისუფლად რომ ძოვდნენ... „ნითურას“ სადავე მოზიდა და მსუბუქად ჩამოქვეითდა. საბელი შეხსნა და მწვანედ მობიბინე ბალახში დატოვა. კურდღლისცოცხას ხეებს ამოფარებული მიდიოდა ხეობისკენ, ვიდრე ქურციკების ჯგოფს არ მოჰკრა თვალი:

– დიდება ალაჰს! რა მშვენიერია ქურციკი... პატარა, ლამაზი თვალებითა და აშოლტილი, კობტა ფეხებით... საოცარი დასანახია. ქურციკების სადარი არაფერი შეუქმნია ღმერთს... გინდა, რომ მოეხვიო და აკოცო... დატკბე მისი ყურებით და გაუშვა... რა კარგია ქურციკის ყურება... როგორ ამშვიდებს ადამიანს მისი ხილვა... ამქვეყნად არაფერი შეუქმნია ღმერთს მასზე მშვენიერი... ახალგაზრდობაში როგორ ვერ ამჩნევდა ისეთ საოცარ სილამაზეს, როგორიც ეს პატარა ცხოველია?! როგორ იფიქრა, რომ ესროლა და უცოდველის სისხლი დაეღვარა... ულამაზესის სისხლი? როგორ შეეძლო ახალგაზრდობაში ეს ცოდვა ჩაედინა... შინ რომ ბრუნდებოდა აქლემზე ჩამოკიდებული საკუთარი ხელით მონადირეობის ქურციკებით?!

იქნებ ალაჰის ნებაა, რომ ერთი დარტყმით დასაჯოს ადამიანი თავისი ცოდვებისთვის – თავის ცხოვრებაში ერთხელ ჩასწვდეს ჭეშმარიტებას, როცა უკვე გვიანაა.

ახალგაზრდობაში თავქარიანი და უჭკუო იყო. ქურციკებზე ნადირობაც შეეძლო და მათი ცოცხლად დაჭერაც, მაგრამ... ჭკუა არ ჰყოფნიდა, ჩასწვდომოდა ამ უწყინარი ცხოველის დაფარულ სილამაზეს... ახლა კი, როცა სიბერე მოეძალა და ჭკუაც მოემატა, ღმერთი სჯის იმით, რომ ქურციკის სილამაზე აღმოაჩინა და წაართვა ამ სილამაზის დაუფლების უნარი. როგორ უნდა ესროლოს მას? როგორ? როგორ? მაგრამ... ბავშვები... ბავშვები შიმშილისგან ტირიან... როგორ გაუძლოს მამამ მშვიერი შვილების ყურებას, რომ არ გაგიჟდეს და თავისი სურვილის წინააღმდეგ მოიქცეს... იმ პატარა გორაკს ამოეფარა, ხეობას რომ გადასცქეროდა... თოფის ლულა დაუმიზნა ქურციკის მაღალ რქებს. ნამიერად სინანულისა და უიმედობის გრძნობა დაეუფლა... მიუხედავად ამისა, ხელი გამოჰკრა ჩახმახს... ელვის სისწრაფით გაიფანტნენ ქურციკები. ხეობისკენ აიღეს გეზი და მის სიღრმეებს მიმართეს.

– ყველანი ცოდვილები ვართ. არავინაა წმინდანი. ვისა აქვს უფლება, სამოთხე უნდოდეს? ადამიანი რომ სამოთხეს ითხოვს, ესაა ცოდვა.

### ქურციკის წყევლა

ბალახზე, სადაც ქურციკები ძოვდნენ, სისხლის კვალი შენიშნა. შუბლიდან სახესა და ბაგეზე ოფლის ღვარი სდიოდა... მისი წვეთები მიწაზეც ხვდებოდა და დაჭრილი ქურციკის სისხლში ირეოდა. გაახსენდა, რომ გასროლამდე

„ბასმალას“<sup>1</sup> წაკითხვა დაავინწყდა. ეს ცუდის ნიშანია... ქურციკები ხომ გრძნეულები არიან... როცა ესვრი მათ, უნდა დარწმუნდე, რომ ნამდვილად მოკალი და მათთან ერთად მათი დემონებიც... წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი წყევლა უბედურებას მოგიტანს. განსაკუთრებით, თუ ალაჰის სახელის ხსენება დაგავინწყდება ჩახმახზე ხელის გამოკვრისას. ის იცნობდა კაცს, რომელმაც ფეხმძიმე ქურციკი მოკლა. ავმა სულელობა შეიპყრეს ის და გონი დააკარგვინეს... სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა. ავრალინელი კაცი მოუყვა, როგორ ნადირობდა დილიდან შუადღემდე ეშმაკისეულ ქურციკზე. ყოველ გასროლაზე კამარას ჰკრავდა და, მიწაზე დაშვებული, მშვიდად აგრძელებდა ძოვას – ყურადღებას არ აქცევდა სროლას. ბოლოს, ტყვიებიც გაუთავდა და ირწმუნა, რომ ქურციკი დემონებით იყო შეპყრობილი.

„ნითურას“ სადავე მოზიდა და დაჭრილი ქურციკის სისხლიან კვალს გაუყვა ბინდის ჩამონოლამდე. წყალს ზოგავდა და უვახშმოდ დაიძინა. გამთენიისას გაეღვიძა და ძებნა გააგრძელა. ტიკში დარჩენილი ცოტაოდენი წყალი შუადღემდე თუ ეყოფოდა, მაგრამ ჯიუტად გააგრძელა ძებნა, სანამ მთის ძირში არ მიაგნო უსულოდ დაგდებულს. ჯოგს მიეტოვებინა სისხლისგან დაცლილი. ყელი გამოსჭრა და გაატყავა. ვახშმად მხოლოდ თავი და შიგნეული დაიტოვა.

იმ ღამეს წყლის უკანასკნელი წვეთიც დაიხარჯა.

### ერთი ყლუპი სისხლი

ვერ შეძლო ოთხდღენახევრის სავალი გზა ორ დღემდე შეემოკლებინა -- ვერ გაიმეტა სირბილით მოეკლა „ნი-

თურა“. მთელი ღამე ფეხით იარა, რომ აქლემი დაესვენებინა, რათა მეორე დღეს გამკლავებოდა შუადღის ჯოჯოხეთურ სიცხეში სიარულს. ტიკი საკუთარი ხელით დახია და შიგნიდან გამოწოვა. მესამე დღეს უნაგირზე ჯდომა ვეღარ შეძლო.

ჩამოქვეითდა და აქლემის სხეულით დაცემულ ჩრდილში ჩამოჯდა, სიპი ქვებითა და ხრეშით მოფენილ მოშიშვლებულ ადგილზე. ხელისგულივით გაშლილ უდაბნოს უჭვრეტდა. ბოლოში, იქ სადღაც მირაჟი აცეკვდა და ზღვა გაახსენდა.

მწველი მზის საუფლოში სრულ სიჩუმესა და სიმშვიდეს დაესადგურებინა. ბუზებიც კი არ ირეოდნენ უნაგირზე გადმოკიდებული ქურციკის გარშემო. სიმშრალისგან ტუჩები დაუსივდა. ყელი ისე გაუშრა, რომ ნერწყვის გამოყოფის უნარი დაკარგა... გული შეეკუმშა და გაუხვედა. უეცრად რაღაც ფიქრმა გაუელვა თავში, ჭკვიანურმა... და შიშისგან შეკრთა. „ნითურა“... ისლა დარჩენია, რომ „ნითურა“ დაკლას და მისი სისხლი დალიოს. აქლემი დააჩოქა და წინა ორი ფეხი ზონარით გადაუკრა. ეს ისეთი მონდომებით გააკეთა, რომ თვითონაც გაოცდა. სიცოცხლის შენარჩუნების გიჟური შეგრძნება გონებას უმაღვე აბნელებს... სიცოცხლის შენარჩუნება... მხოლოდ ერთი ყლუპი... ერთი ყლუპი და მორჩა... მაჰრული აქლემის კისერს მოფერებით დაუსვა ხელი... „ნითურა“ ტუჩებით შეეხო პატრონს და ხელებზე აკოცა, თითქოს კურთხევა მისცაო. მერე ამაყად ასწია კისერი და შორეულ ჰორიზონტს გახედა, სადაც მირაჟი აცეკვებულიყო და საბოლოოდ დაემორჩილა თავის ხვედრს. მოხუცი ანერვიულდა და გავარვარებულ სილაზე ჩაიკეცა.

<sup>1</sup> ბასმალა – თქვა: სახელითა ალაჰისა, მონყალისა, მწყალობელისა.

დანა

წამოდგომას შეეცადა, მაგრამ ისევ დავარდა „წითურას“ მუხლებთან. ხელე-ბი სილაში ჩაფლა. პაპანაქება სიცხემ აუნვა და უკანვე ამოიღო. ირგვლივ მი-მოიხედა. ვერაფერი დაინახა... ველარ შეძლო უკიდევანოდ გაშლილი სივრცის დანახვა, მირაჟისა ც კი. ყველაფერი ხტო-და... ხტოდა... ხტოდა და მისი თვალების წყვედიადში იმალებოდა. ისევ ერთ ყლუპ სისხლზე დაინყო ოცნება... სისხლის ერ-თი პატარა ჭიქა სრულიად საკმარისია, რომ სიცოცხლე დაუბრუნოს... სიცოც-ხლე... სიცოცხლე. „წითურას“ დაეყრდნო, წამოდგა და მის კისერს ჩაეჭიდა. მერე თავზე მოეხვია დიდხანს. „წითურა“ მორ-ჩილად იდგა პატრონის მკლავებში. ნეს-ტოებით სუნავდა მათ... ამან აიძულა არ-ქარებულები... მეტი მოცდა აღარ შეეძ-ლო... აქლემის მოშიშვლებული გრძელი კისერი დანის დასმას ელოდა. გადანყვი-ტა, დანა ამოეღო... ტომარაში ხელი ჩა-ყო, მაგრამ ვერ იპოვა... თავის ამულე-ტებსა და პლედის ნაკეცებს შორის და-ძებნა... ყველგან. გაქრა... დაიკარგა... და-ავიწყდა, სადაც ქურციკი გაატყავა... ქურციკი... ქურციკი...

მოგზაურობა უსასრულობაში

ეს ჩემი ცოდვაა... შემეძლო, დავ-მტკბარიყავი მისი ცქერით და დავბრუ-ნებულებიყავი. შემეძლო, არ მესროლა... ან „ბასმალა“ მაინც წამეკითხა!.. მაგრამ გა-ნა იმაშიც მე ვარ დამნაშავე, ბავშვები შიმშილისგან რომ ტირიან?! ჩემი ბრა-ლია, რომ ალაჰმა ასეთი ლამაზი ქმნილე-ბა შექმნა ჯინისა და სატანის სულით?! ღმერთი უმიზეზოდ არაფერს ქმნის.

ხელი გაიშვირა და „წითურას“ ზო-ნარი შეხსნა. სულის სიღრმეში რაღაც გაჰკიოდა და ექოსავით მეორდებოდა: შენ რა, პირველი გვამი ხარ თუ უკანას-კნელი, უდაბნომ რომ შთანთქა?! ახლა აღარ აშინებდა მზე... წყურვილი... უდაბნო ან სხვა რამ... უკანასკნელი, რის დანახვაც შეძლო, „წითურას“ ლამა-ზი ტანი იყო, როცა წამოიმართა... მერე თავზე დაადგა, მის შუბლს ეხებოდა, ნესტოებით მის ტანსაცმელს ყნოსავ-და... მუხლებზე ჩაიჩოქა პატრონის გვერდით, რათა დაუნდობელი მზისგან დაეცვა მისი სხეული... პირში ჩასული ქვიშის მარცვლები უგემური იყო... ან არაფერს ახსენებდა მათი გემო... ან კი როდის ჰქონდა იქ გემო რამეს?! მათ შემდეგ აღარაფერზე უფიქრია... აღა-რაფერი დაუნახავს... ყველაფერი უსას-რულობაში შთაინთქა... რათა ახალი უცნობი მოგზაურობა დაწყებულიყო დაღუპვიდან და... არაფრიდან.

მამა მოვიდა... მამა მოვიდა

ორი დღის შემდეგ ბავშვებმა ჰო-რიზონტზე მომავალი აქლემი დაინა-ხეს... და, ჩვეულებისამებრ, სირბილითა და ყვირილ-ყვირილით გაქანდნენ მის-კენ:

– მამა მოვიდა, მამა მოვიდა.

გარს შემოერტყნენ „წითურას“, რომელიც არ შეჩერებულა, თითქოს არც კი შეუნიშნავს ისინი. არაფერს აქცევდა ყურადღებას... არაფერს ხედავდა, გარ-და ჰორიზონტისა... მოათრევდა თავის საბელს და უნაგირზე ჩამოკიდებულ ქურციკს... მაგრამ თვითონ უნაგირი ცა-რიელი იყო.

არაბულიდან თარგმნა  
იზოლდა გრძელიძემ



თურქული ლიბრაბურა

## თევფიქ ფიქრეთი (1823–1891)

თევფიქ ფიქრეთი (1823-1891) ახალი თურქული ლიტერატურის წარმომადგენელია. ლიტერატორთა ეს თაობა გაერთიანდა ჟურნალ 'Servet-i Fünün'-ის („ცოდნის საგანძური“) გარშემო. თევფიქ ფიქრეთი, ისევე, როგორც აღნიშნული ლიტერატურული მოძრაობა, განიცდის ფრანგული ლიტერატურის, განსაკუთრებით, პარნასიზმისა და რომანტიზმის გავლენას. მათ მთლიანად უარყვეს კლასიკური თურქული ლიტერატურა („დივან ედებიათი“), თუმცა წერდნენ არუზის სალექსო საზომით;

თევფიქ ფიქრეთი ლექსში „ნისლი“ გამოხატავს სიძულვილს სტამბოლისადმი, მისი მატერიალური და სულიერი ღირებულებებისადმი; ხატავს, როგორც საზიზლარ და დანყევლილ ქალაქს და მას მეძავ ქალს უწოდებს. ასეთი რამ პირველად მოხდა თურქულ ლიტერატურაში. ცნობილია, რომ ძველი თურქული ლიტერატურის წარმომადგენლები სტამბოლს მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრად მიიჩნევდნენ და ხოტბას ასხმდნენ მას.

### ნისლი

პირქუმ ნისლში გახვეულებარ, ქალაქო,  
მძიმე ნისლი შენს ჰორიზონტს დაჰფენია,  
ყველაფერი არსებული ნაუშლია,  
ალარა ჩანს, ეს ქალაქი რა ფერია.  
შენ გარშემო ჭუჭყიანი ჰაერია,  
შენთან მოსვლით შეშინებულ მსურველების,  
გეფიცები, სათვალავი ამერია.  
ღირსი კი ხარ შენ, ქალაქო, ამ სიბნელის.  
სწორედ შენზე გამოჭრილა ეს მანტია,  
ილუზიის ტყვეობაში რომ გვამყოფებ,  
ნატამალი სინდისისაც დაგკარგვია.  
აქ დაირწა ის აკვანი ბრწყინვალეების,  
ამ ვნებიან დედოფალს რომ გამოზრდიდა,  
დიდების და ბრწყინვალეების სასაფლაოვ,  
შენ პირიდან სიძვის სისხლი გადმოგდინდა.  
მარმარილოს ზღვის სარტყელში გახვეულო,  
მკვდართა მსგავსად დაეძინათ ცოცხალ ბორცვებს.  
ბიზანტიავ, შე ბებერო ჯადოქარო,  
ათას ქმართან ნამყოფო და თან ქალწულო,  
ერთი მითხარ, მე იმედი როგორ მქონდეს.  
ჯერ კიდევ გაქვს იმის ძალა, ჯადოქარო,  
რომ მნახველი მოხიბლო და დაიმონო,



ვინც არ გიცნობს და შორიდან შემოგხედავს,  
 ვნებიანი თვალებით რომ დაატყვევო.  
 მეძავი ხარ, მრუში, კახპა, თან ბინძური,  
 გულგრილი ხარ სხვის დარდთან და ტკივილებთან.  
 უთუოდ შხამს რასმე რევდნენ საძირკველში  
 ამ ქალაქს რომ აშენებდნენ სულ პირველად!  
 ძველი წყველა ურევიათ კირითხუროთ,  
 აშენებდნენ როს შენობებს შენსას, ალბათ.  
 თვალთმაქცი ხარ, ბინძური და შენს წუმპეში  
 სინმინდისას ვერა ნახავ ნატამალსაც.  
 ორგულობა, შური ბუდობს შენს წიაღში -  
 ამით გინდა მალღებოდე, საზიზღარო?  
 ვინც იპოვის სამკვიდრებელს აქ, ქალაქო,  
 უმალ ვიტყვი: სინმინდეს და სისუფთავეს ღალატობსო!  
 სურვილი მაქვს, დაიფაროს, დე, ეს სცენა,  
 სამუდამოდ დაიძინოს ბებერ კახპამ,  
 დასამარდეს ეს დიდება, ფუფუნება,  
 ეს კოშკები, ციხეები შთანთქმას ბნელმა.  
 დე, შთანთქმას მეჩეთები უკუნეთში,  
 აქ ყოველი უღირსია სიცოცხლისა,  
 ეს სვეტები დევებივით მდგარი კენტად,  
 ამბავს მხოლოდ რომ ყვებიან წარსულისას,  
 უსიამო გრძნობას ბადებს ჩვენს გულებში  
 და უბილო ბებერს ჰგვანან მხოლოდ, გჯერათ?  
 გუმბათები, სასახლენი დიდებულნი,  
 მინარეთნი, ჭემმარიტების მქადაგნი,  
 მედრესენი, სასამართლო დარბაზები,  
 კვიპაროსის შავ ჩრდილებქვეშ შეფარულნი,  
 მათხოვარნი მონყალების მოლოდინში,  
 წარწერებით ქვები საფლავს დადებულნი,  
 „აცხოვნოსო ზეციერმა“, რომ გვაუნყებს  
 ზედ წარწერა, მოგონებების ამშლელი.  
 განისვენებს აქ სულელები წინაპართა,  
 მაგრამ მაინც მტვრიანია ყოველივე, უნიათო;  
 ტალახიან და ჭუჭყიან შენს ქუჩებში  
 ნანგრევები ჩვენ გვიმზერენ უსიამოდ.  
 ადგილები, სადაც სძინავთ მხოლოდ ველურთ,  
 დანგრეული და მდუმარე სასახლენი,  
 შავ სახურავთ გლოვის ნიშნი დასწნევიათ;  
 ყვავ-ყორანის შეკედლება თუ გამხდარა  
 სევდიან და თან გამურულ ბუხართ ხვედრი.  
 ბევრი წელი გარდასულა მას შემდეგ, რაც  
 არ უნახავთ ბუხრის კედლებს ცეცხლის ალი,

და არც კვამლი ამოსულა საბუხრედან.  
 ჰო, ეს არის, რაც კი დარჩა მისგან კვალი.  
 გახრწნილია, ვინც კი ცხოვრობს ამ ქალაქში,  
 მშვიდად ნთქავენ ყოველივე სიბინძურეს,  
 კუჭის მონად უქცევია ქალაქს ყველა,  
 ნათელია, მათ აქეთკენ ვინ უბიძგებს.  
 ყველა უქმი და მშიერი მკვიდრობს შენთან,  
 არრის მქონე, უსაქმური, სალახანა,  
 ეს კი მაშინ, როს სიმდიდრე ბუნებისა  
 ნამდვილად გვაქვს, ვერ ვიყენებთ ამას, მართლაც.  
 მიზეზს მკითხავთ? ამ მიზეზსაც მოგახსენებთ:  
 ჩვენი ხალხი ციდან ელის მონყალებას,  
 უსაქმურნი, ამაოდ რომ ნუნუნებენ,  
 არ ცდილობენ არც ერთ ნამით თვით განძრევას.  
 სიყალბეა მათ მზერაში, მათ სიცილში,  
 სიძულვილი გამოსჭვივის თვალებიდან,  
 პატიოსან და ღირსეულ კაცზე თქმული,  
 დამიჯერე, მხოლოდ ძველი ზღაპრებია.  
 ფეხზე ამბორს მისჩვევია ჩვენი ხალხი,  
 დაღხენილი ყოფა მოაქვს ამას, ალბათ.  
 თოფით ხელში თავზე გვადგას მოძალადე,  
 ობოლს და ქვრივს ირჩევს იგი, როგორც ნადავლს.  
 და კანონი თუ კანონობს? – ეს ვიკითხოთ,  
 ის ხომ უნდა გვხდიდეს ყველას თავისუფალს,  
 ერთადერთი, რის ნებასაც იგი გვაძლევს,  
 არის სუნთქვა, ისიც – მხოლოდ შეზღუდულად.  
 სიტყვას ტეხენ და ცრუობენ უსინდისოდ,  
 ფეხქვეშ თელავს სასამართლო თვით სამართალს,  
 ეჭვით აღვსილთ, ბოროტებით დაბრმავებულთ  
 ყურნი მხოლოდ სხვის სასმენად მოუმართავთ.  
 შიში მეფობს ქვეყანაში უსასრულო,  
 ასი თვალი მომართულა მათ მზევერავად,  
 მოდუნებულ ჩვენს ეროვნულ ენერგიას  
 პატიმარი ეს კალამი ველარ ძალავს.  
 დავინწყებას მისცემია სათნოება,  
 არც სიკეთე ახსოვს ვინმეს ჩვენში, ალბათ,  
 ორად მოხრილ ვირთხასა ჰგავს მთელი ერი,  
 შიშისგან რომ იკლაკნება სადღაც საწყლად.  
 სახილველად ამაზრზენი სურათია,  
 ოი, მკვიდრნო ამ ქალაქის, თქვენ მოგმართავთ,  
 ახალგაზრდა ქალბატონო, მომისმინეთ!  
 თქვენც გეხებათ, თქვენ, ყმანვილო, მოითმინეთ,  
 ამ მშვენიერ ქალის კვალს რომ მიჰყოლიხართ.  
 დედავ, შვილთან განშორებით დაზაფრულო,

თქვენც მოგმართავთ, თქვენც, ცოლ-ქმარნო,  
უბრად მყოფნო!  
და ბავშვებო, უთვისტომნო, უპოვარნო,  
პირველ რიგში თქვენ გეხებათ ეს მიმართვა...

ო, ნისლებო, გევედრებით, რომ დაფაროთ  
სამუდამოდ ეს სიბილნის ავანსცენა;  
დავაძინოთ, დავაძინოთ ეს როსკიპი,  
ბებერი და თან გარყვნილი ძველი კახპა.

თურქულიდან თარგმნა  
**ასმათ ჯაფარიძემ**

## ილჰან ბერქი (1918–2008)

დაიბადა 1918 წლის 18 ნოემბერს მერსინში. დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი ფრანგული ენისა და ლიტერატურის განხრით. თურქულ ენაზე თარგმნა და წიგნად გამოსცა ფრანგი პოეტების ლექსები. მის პოეტურ მემკვიდრეობას აშკარად ეტყობა ფრანგული სიმბოლიზმის გავლენა. სიმბოლისტური მეტაფორებით და მითოლოგიური თემებით დატვირთული მისი პოეზია განსაკუთრებულ ადგილს იკავებს თურქულ ლიტერატურაში. ი.ბერქი კარგად ხატავდა. ერთ-ერთ ლექსში ამბობს: „წერის ჯოჯოხეთს რომ გავექცე და ბედნიერად ვიგრძნო თავი, ხატვას ვინყებ, რადგან ის, ვინც წერს, ვერ იქნება ბედნიერი. მხოლოდ უბედურ ადამიანს ძალუძს წერა“. მისი ლექსების კრებულები აღნიშნულია არაერთი ჯილდოთი.

გარდაიცვალა 2008 წელს, დაკრძალულია ქ. ბოდრუმში.

\*\*\*

სამჯერ გნახე სიზმრად, კარგო, სამჯერ გითხარ – “მიყვარხარ” – და ყვავილების წყალი მერე გამოვცვალე... გავხსენ ფარდა და არ ჩანდა სიზმრის მიღმა არაფერი, ღრუბლის გარდა...

შენი სახე მომენატრა, განთიადის სხივს რომ ჰგავდა.

ძალისძალად ვხლართავ ლექსებს... აივანთან მზე თვალს ხუჭავს.... მომხედეო! – ალუბალი მომძახის და იკლებს ქუჩას, მე კი ვეძებ შენს სურნელს და სევდას ზღვარი არსად უჩანს....

შენი სახე ჩვენი ქვეყნის პირველ გაბრწყინებას ჰგავდა.

ვფიქრობ და სულ ვეკითხები ჩემს საფიქრალს, სულთამხუთავს გული ლექსებს რატომ გიძღვნის?! – ამბობს, რაც მას ასჯერ უთქვამს, ან მიხაკის სუნი რატომ ასდიოდა მაგ შენს სუნთქვას?!

ყველაფერი წარმავალი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ან ეგ სახე მარადიულ სილამაზეს რატომ ჰგავდა?

## ათილა ილჰანი (1925–2005)

თურქი პოეტი, რომანისტი, ჟურნალისტი, სცენარისტი და კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე ათილა ილჰანი დაიბადა 1925 წლის 15 ივნისს იზმირში, დაბა მენემენში.

1946 წელს დაამთავრა ლიცეუმი და სტამბოლის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. 1946 წელს ნაზიმ ჰიქმეთის გათავისუფლების მოძრაობას შეუერთდა და პარიზში გაემგზავრა. პარიზიდან დაბრუნებულს პოლიცია გამუდმებით სდევნიდა. მისი შემოქმედება მრავალმხრივი იყო: მას ეკუთვნის ლექსების კრებულები, კრიტიკული წერილები კინემატოგრაფზე, მრავალი კინოსცენარი (ფსევდონიმით ალი ქაფთანოღლუ), მათ შორის, სცენარი თურქეთში პოპულარული სერიალისა „არწივები მალლა ფრენენ“. ათილა ილჰანს დაწერილი აქვს 10 რომანი, თუმცა მათგან მხოლოდ პირველი რომანი, „კაცი ქუჩაში“, გამოაქვეყნა.

მიღებული აქვს მრავალი ლიტერატურული ჯილდო. თურქეთში მას „სიყვარულის პოეტს“ უწოდებენ.

\* \* \*

რა ქალები მყვარებია! – დღეს არ ჩანან არსად...  
რა ქალები მყვარებია! – დღეს არ ჩანან არსად...  
შემოდგომის წვიმა ჰქონდათ მოსასხამად... გარსად....  
მოფერებას პასუხობდნენ ჩვილი ბავშვის მსგავსად.

ზოგჯერ, როცა ვშორდებოდი, იცრემლებდნენ თვალებს...  
რა ქალები მყვარებია! – დღეს არ ჩანან არსად...  
არ ვიცოდი, ასე ტრფობა რომ შეეძლოთ ქალებს,  
რომ არასდროს ვავინყდები მათ არაფრის ფასად.

დღესაც მომდის წერილები მათგან... მათგან... მხოლოდ  
ერთ ოცნებას ვიხსენებ და გადაიქცნენ ასად...  
დამავინყდა ყველა ლექსი სრულად, უთავბოლოდ....  
რა ქალები მყვარებია! – დღეს არ ჩანან არსად...

ვიხსენებ და თითქოს ქრება მარტოობის სევდა,  
თუმცა ვიცი, შორს არიან.... ხმა კი მესმის, მესმის....  
თითქოს ღრუბლად გადაიქცა, რა ტკივილიც მდევდა,  
გაქრა ტრფობა, მაგრამ ახლა ხსოვნა თავბრუდ მესხმის.

სხვას ასეთი სიყვარული სად ჰქონია სხვა – სად?!  
რა ქალები მყვარებია! – დღეს არ ჩანან არსად...

## აჰმეთ თელი (1946 – )

დაიბადა 1946 წლის 2 დეკემბერს კონიის მახლობლად დაბა ჩანქირიში. მიიღო პედაგოგიური განათლება. წლების განმავლობაში სხვადასხვა გამომცემლობაში რედაქტორად მუშაობდა. გამოქვეყნებული აქვს ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები. აჰმეთ თელი 20-ე საუკუნის 60-იანი წლების თურქული პოეზიის ერთ-ერთ გამოჩენილ წარმომადგენლადაა მიჩნეული. სხვადასხვა პერიოდში, როგორც პოეტსა და პუბლიცისტს, მინიჭებული აქვს მრავალი პრემია.

მისი ლექსები ქართულ ენაზე პირველად თარგმნა პაკო (ამირან) სვიმონიშვილმა.

### უჩვეულო ბოშა

წყალს ჩაკარგული ჩანჩქერების ამბავი მოაქვს,  
მთვარე აიკლეს ღამის ყბედებმა.  
ეჰ, ბოშა ქალო,  
მრუმე ნალველს ნითლად რომ ღებავ,  
ეს შენ შეჩერდი.  
ცა და მიწა მაინც მიდიან...

### მგლები

ბალახი ტყდება, ითელება.  
მოიპარება სექტემბერი  
მხნე და ავსული.  
თუ ერთხელ მაინც დაქროლავს ქარი,  
ტყე შეთქმულივით წამოდგება, აიტოტება,  
მაგრამ,  
ვაი, რომ  
ქვა-ლორღი ფარავს ჩანაცრულ მიწას  
და დაზაფრული მდუმარებიდან  
ხეობაში შემოდიან მშიერი მგლები.

## მაშინ ეს ლექსიც დავინწყე, გულო

მცირეა, მაკანკალებს, როგორც ტყეს,  
 როცა გამყინავი სიჩუმე ხმაურობს ცბიერი ქარით დარხეულ ტოტებში.  
 ეს სხვა,  
 სხვა შხამიანი ყვავილი იშლება სულში  
 და კივილით ახელს თვალს.  
 ჩემს დაღლილ სისხლში ჩავლილმა წყალმა  
 ყველაფერი წალეკა,  
 არაფერი შემომრჩა.  
 ახლა საკუთარ ჩრდილზე მინდა მოვისვენო,  
 ღია თვალებში განოლილ ქარიშხალს მოვეფერო,  
 ტკივილის შხამიდან გაშლილი მტევნით ამოვკრიფო  
 შესამოსელი ყურუმყვავილი.  
 მერე მოვუხმო მარტოობას და მასში, როგორც ქვესკნელში,  
 უკანმოუხედავად გადავეშვა.  
 უმნიშვნელო ქარებს არ სჭირდებათ მოგონებები...  
 აღარც ფოთლები, აღარც ჩიტები, გავერანებულა მთები,  
 გამწყდარა მშობლიური ჰანგი, ჰაი გიდი!  
 ომრი მოიჭრა, სიცოცხლე ჩაკვდა ხმაში  
 და კვლავაც მხოლოდ ტყეების ავი სისინი ისმის.  
 იაღლიშია ლექსი – ვინ იცის...  
 ან იქნებ მართლაც ნამდვილია ჩვენი,  
 ჩემი და შენი ამბავი.  
 მაშინ, ეს ლექსიც დავინწყე, გულო.

## მაჯნუნი

აღარაფერი მიგყვება საგზლად,  
 ხელის გულებზე დარდიანი ღარების გარდა,  
 უკანასკნელი გაგიცხადე მეგობარს ნება:  
 ეჰ, ყველა მაჯნუნს საკუთარი უდაბნო ხვდება.

თურქი პოეტების – ილჰან ბერქის, აჰმეთ თელისა  
 და ათილა ილჰანის ლექსები თარგმნეს  
**მაყვალა ხარებავამ,**  
**პაკო (ამირან) სვიმონიშვილმა,**  
**ალექსანდრე ელერდაშვილმა**

## აჰმეთ ეფე (1955 – )

თურქი მწერალი აჰმეთ ეფე დაიბადა 1955 წელს კაისერიში. იგი ცნობილია, როგორც საბავშვო მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი და დრამატურგი; არის საბავშვო ლექსებისა და მოთხრობების არაერთი კრებულის, ზღაპრების, საბავშვო ენციკლოპედიისა და რამდენიმე რომანის ავტორი.

### ექვნი

ვახშამზე მამა საკმაოდ გაღიზიანებული იყო. დროდადრო მუსტაფას გადახედავდა ხოლმე. ცოტა ხნის შემდეგ დედას მიუბრუნდა:

– გუშინ საღამოს ჯიბეში ოცი ათასი ლირა მქონდა. შენ ამოიღე, ჰათიჯე?

დედას გაუკვირდა:

– არა, მე არ ამომიღია, ნეტავ, ხომ არ ამოგივარდა?

– არ ვიცი ... არც შენ ამოგიღია, ომერ?

კანკალმა ამიტანა. გული ბაგაბუგით მიცემდა:

– არა, არ ამომიღია.

მამამ დამიჯერა; ახლა მუსტაფას შეხედა. ჩემი დეიდაშვილი გაფითრდა. ვიდრე მამა რამეს ჰკითხავდა, უთხრა:

– ღმერთმანი, მე არ ამომიღია, ბიძია.

მამას ეჭვი არ ასვენებდა. მკაცრი სახით დედას გადახედა. დედამ ალერსიანი ხმით მიმართა მუსტაფას:

– თქვი, შვილო. შეიძლება, შეცდი და აიღე. გვითხარი, არ გაგიბრაზდები.

ჩემს დეიდაშვილს თვალები გაუფართოვდა.

– მე არ ამომიღია, – გაიმეორა კიდევ ერთხელ.

ყველანი გავჩუმდით. ღამით, დასაძინებლად რომ ვემზადებოდით, დედამ მუსტაფას ჯიბეები გაუჩხრიკა. მუსტაფამ ეს დაინახა და ტირილი დაიწყო. დიდხანს მესმოდა მისი ქვითინი. მეორე დღეს თვალები სულ ჩანითლებული ჰქონდა.

– ძალიან გთხოვთ, წამიყვანეთ, დედა მომენატრა, – იხვეწებოდა.

სულ ორი დღე იყო, რაც მუსტაფა ჩვენთან ჩამოვიდა. მამამ მის დაჟინებულ თხოვნას ვეღარ გაუძლო და გადაწყვიტა, უკან წაეყვანა. მე საშინლად შევწუხდი, გული მეთუთქებოდა; ვგრძნობდი, ჩემ მიერ ჩადენილი დანაშაული მუსტაფას დაატყდა თავს. ჩემი დეიდაშვილი შინ ბრუნდებოდა. ის შეიძლება, აღარც ჩამოეყვანათ ჩვენთან. ავტობუსში რომ ჯდებოდა, მუსტაფა ერთიანად ცახცახებდა. მამამ კიდევ ერთხელ დაარიგა:

– ქვეყნად ქურდობაზე ცუდი არაფერია, შვილო.

მე სუნთქვა შემეკრა, ყელში რაღაც მომეზჟინა; სინდისის ქენჯნა მტანჯავდა. მამას მუხლებზე შემოვებვიე და ავტირდი:

– ფული მე ამოვიღე, მამა. ქურდი მე ვარ.

მამა გაოცებული მიყურებდა. მუს-



ტაფას შევხედე. მის თვალებში რაღაც ამოუცნობი სხივი ჩამდგარიყო.

– მე ქურდი არ ვარ, ბიძია, – უთხრა მამაჩემს.

მუსტაფა ისე წავიდა, რომ არც დაგვემშვიდობა. ავად გავხდი. რამდენიმე დღე ვიწექი.

– ნუ დარდობ, შვილო. თუმცა გვიან, მაგრამ მაინც ხომ თქვი სიმართლე, – მამშვიდებდა დედა.

მეორე წელს მუსტაფა აღარ ჩამოსულა; არც შემდგომ წლებში. მოპარული ფულით ათასი ჩიტიც რომ მეყიდა, უკვე ვეღარ გავიხარებდი.

თურქულიდან თარგმნა  
**მერი ნიკლაურმა**

## ქვესერ რუჰი (1961- )

ქვესერ რუჰი წარმოშობით ქართველი, მუჰაჯირების შთამომავალი მწერალი ქალია. მიღებული აქვს თურქეთის რამდენიმე პრესტიჟული ლიტერატურული ჯილდო. გარდა იმისა, რომ კარგი პროზაიკოსია, იგი ჩვენთვის იმითაცაა საინტერესო, რომ თურქეთელი ქართველებისთვის ბევრ კეთილ საქმეს აკეთებს: უსასყიდლოდ ასწავლის ქართულს; ასევე, უსასყიდლოდ მოამზადა ქართული ენის პროგრამა თურქეთის საშუალო სკოლებისათვის, სადაც რამდენიმე ხანია, არჩევით საგნად შეიტანეს ქართული ენა. ქალბატონი ქვესერ რუჰი ჩვენი "იმედის გმირი" და "ოქროს საწმისის" კავალერია.

### ახალი პური სურნელი

საავადმყოფოს დერეფნები მუსთაბეის წინ გრძელი, მიხვეულ-მოხვეული გზებით მიიკლაკნებოდა. მოხუცს ქალიშვილისთვის ხელკავი გამოედო და დაუძღურებული ფეხებით ამ უსაშველოდ განელილი გზის დაძლევის ცდილობდა. მაჰინურ ჰანიმს, რომელთან ერთადაც ბოლო 60 წელი გაეტარებინა, კუჭის არეში გაუსაძლისი ტკივილი დაენყო. საავადმყოფოს სწორედ ამ მიზეზით მოაკითხეს, მაგრამ მეათე დღის ბოლოს იმედი გადაენურათ. მოხუცი ქალიშვილის მკლავს უფრო მეტად დაეყრდნო:

– ცხოვრებაში მეორედ დავრჩი მარტო. პირველად 5 წლისა ვიყავი. მაშინ არავის უთქვამს, დედა რატომ აღარ დაბრუნდა.

აილამ იცოდა, რომ მამას ბალკანურ ლურჯ თვალელებში დაგროვილი სევდის ღრუბელს ვერ გაუფანტავდა, მაგრამ მაინც სცადა მისი გაჩუმება:

– ძალიან დაღლილი ხართ. ამაზე მერე ვილაპარაკოთ.

მოხუცს წინააღმდეგობა არ გაუნწვია. მაჰინურ ჰანიმის ნაოპერაციები უსიცოცხლო სხეული დაკრძალვამდე,

ანუ მეორე დღემდე, საავადმყოფოს მორგში დატოვეს და სახლში დაბრუნდნენ. ოთხმოცდარვაწლიანი ცხოვრებით დაქანცული მუსთაბეი სასტუმრო ოთახში მდგარ კანაპეზე მიესვენა. თვალდახუჭულმა ათას ცხრაას ოცდათვრამეტი წლის შემოდგომაში გადაინაცვლა.

ზაფხული იწურებოდა. რთველის დრო იყო. თათარა მოადუღეს, კალათები მოამზადეს, ბოლოს კაკალი ტომრებში ჩაყარეს, ურმებზე დატვირთეს და ყალას უბნისაკენ გზას გაუდგნენ. ვენახებში მონყობილი სახლების საკვამურები ნელ-ნელა ჩაქრებოდა. ბოლო სახლის დაცლის შემდეგ კი დიქმენის ვენახები აპრილამდე, დარაჯების მეტს, არავის გაახსენდებოდა... თერძი მუსტაფა დიქმენისკენ მიემართებოდა. ახლად შეკერილი თბილი პალტოს პატრონისთვის ჩაბარება მოედო მიზეზად. ამ სახლში მეორედ მიდიოდა... ფაეტონი ზეჟი ბეის ვენახს გასცდა, მარცხნივ, მიხვეულ-მოხვეულ ბილიკს გაუყვა და ჰასან ბეის ვენახს მიადგა. გულუბრყვილოდ დაგეგმილმა ამ ვიზიტმა მაჰინურის გარდა ყველა ისე ააღელვა, რომ რთვე-

ლიც კი გადაავინყდათ. მხოლოდ მწვანეთვალეობა, ბელურასავით მფრთხალი, ბავშვური გულის ჯინაზე სიცოცხლით აღსავსე, ჩაფსკვნილი მაჰინური გასამგზავრებლად მომზადებულ ბარგსა და კალათებს შორის ისე მოძრაობდა, ვერაფერს ამჩნევდა.

შეშინებული და აღელვებული მუსტაფა ფანჩატურში ვარდის სიროფს შეექცეოდა. ჰასან ბეიმ თავისი და, მაჰინური, მოაყვანინა.

– სახლში ჭკუის მომკითხავი არავინ ჰყავს. პატიოსანი ადამიანია. დედაქალაქში ერთადერთი თერძია, დეპუტატებს სმოკინგებს რომ უკერავს. სასმელის, თამბაქოს, ნადირობის მსგავსი მავნე ჩვევები არა აქვს. სპორტსმენია, მოფარიკავე. ორი წლის წინ ბერლინში ოლიმპიადაზეც კი გაუშვეს.

ჰასან ბეიმ დაძმური პატივისცემა, დისტანცია თუ სიახლოვე გვერდზე გადადო და საქმიანად ჩამოთვლას მოჰყვა. ყოველი წინადადება ვენახის სახლის პატარა ოთახში კედლებს ეჯახებოდა, შემდეგ კი ძირს ცვიოდა. იმის ნაცვლად, რომ მაჰინურის ყურებში ბინა დაედო, დამდგარ წყალში ჩაგდებულ კენჭით წარმოქმნილი ტალღებივით მას ნელ-ნელა შორდებოდა და აზრს კარგავდა. ახალგაზრდა ქალი ძმის წინაშე გულგრილად, უემოციოდ და უხმოდ იდგა. არ იცოდა, როგორ მიესადაგებინა საკუთარი თავისათვის ირგვლივ მფრინავი სიტყვები: ბედი, ქმარი, ფარიკაობა, სმოკინგი, გათხოვება. მის გონებაში ჯერ არ ჩამოყალიბებულიყო ის აზრი, რომ ქორწინებას შეიძლება დაეთანხმოდ, ან – არა. ამიტომაც უაზროდ იცქირებოდა. სიტყვა „ქმარი“ თამბაქოთი აქოთებულ იმ კაცს ახსენებდა, სანადიროდ წასული, მეორე დღეს სახლში მკვდარი რომ მოასვენეს; ქორწინება კი – იმ აუტანელ ოთხ თვეს, ამ თამბაქოთი აქოთებულ კაცთან რომ გაატარა.

მოხუცის შინაგანი ტკივილი უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა. ძილ-ბურანში ჩაფლული, კანაპეზე ინვა და ფიქრობდა, ეს ყველაფერი უთუოდ მეხსიერების ოინებია, თორემ ფანჩატურში როგორ უნდა გამეგონა, შიგნით რას ლაპარაკობდნენო. ვერც იმას მიხვდებოდა, მაჰინური ცხოვრებას რატომ გაუწყრა. ის ხომ 14 წლისა გაათხოვეს; იმ ასაკში, როცა ბავშვური ოცნებებით ჯერ კიდევ გული არ ეჯერებინა. გათხოვებიდან ოთხი თვის თავზე კი დაქვრივდა. უფროსი ძმის ოჯახში გატარებული სამი წლის განმავლობაში ისე ექცეოდნენ, თითქოს ქვრივობაზე სამარცხვინო ამ ქვეყანაზე არაფერი ყოფილიყო. ყოვლად ულაზათოდ შეკერილი კაბა ეცვა მაჰინურს. თერძმა მუსტაფამ ეს მაშინვე შენიშნა და რამდენიმე დღე მთვრალივით დადიოდა – იმ ლამაზ კაბაზე ოცნებობდა, რომლის შეკერვაც ამ ქსოვილისგან შეეძლო.

შორეულ ლანდს, რომელსაც ფილმის ნაწყვეტი კადრებივით მის მეხსიერებაში ბუნდოვანი კვალი დაეტოვებინა, ამ არეულ დღეებში ხორცი შეესხა, სუნიც შეეძინა. ბოსნიაში გატარებული ბავშვობა და სტამბოლში გატარებული ყმანვილკაცობა სულ უფრო ხშირად აგონდებოდა. ბალკანეთში განცდილმა მარცხმა ოსმალეთის იმპერიას ტერიტორიები დააკარგვინა, რის გამოც ისე აიყარნენ, თონეში ჩაკრული პურების ამოღებაც კი ვერ მოასწრეს. მაშინ სამი წლისა იყო. მხოლოდ ის ახსოვს, რომ სახლიდან ყველაფერი გამოიტანეს, რისი ზიდვაც კი შეეძლოთ და გზას გაუდგნენ. მას სკამი აჰკიდეს. ხანგრძლივი მოგზაურობის განმავლობაში თონეში დარჩენილი პურები, მუსტაფას გარდა, არავის გახსენებია.

ცხელი პურის სურნელი მის ცნობიერებაში გადასახლებისა და მშობლიურ ფესვებს მოწყვეტის სინონიმად იქცა.

როცა კი ამ სუნს იგრძნობდა, ეგონა, რა-ღაც დაიმტვრეოდა, დაინგრეოდა, მოუშუშებელი ჭრილობები გაიხსნებოდა და ყველაფერი შეიცვლებოდა. ომებით, ტკივილით, ხანძრებით დაფლეთილ მის გულს ნაადრევი გაზაფხულით გამოწვეული მღელვარების მომტანმა სიყვარულმა ანკარაში, შემოდგომაზე, მოთუხთუხე თათარისა და ვაზის ნკნელებზე გამომცხვარი ახალი პურის სურნელით გარშემორტყმულს მოუსწრო. რუმელიიდან სტამბოლს მოსული, დედ-მამის გარეშე დარჩა; სად არ მოხვდა?! ეს თუ გადამარჩენსო, იფიქრა და მთელი ძალით თერძის პროფესიასა და სპორტს ჩაებლაუჭა. სწორედ ამ დროს მოჰკრა თვალი მაჰინურს. დიქმენის ვენახები საშემოდგომოდ ირთვებოდა; ხმები დადიოდა, სატახტო ქალაქი ისევ სტამბოლი გახდებოდა. არჩევანი მაჰინურის თვლებმა გააკეთებინა – ანკარაში დარჩა.

ლაზი<sup>1</sup> თხუთმეტი-ოცი დღის გარდაცვლილი იქნებოდა. ყველაფერი სწრაფად მოხდა. პატარძალი თავის მზითვიანად ებრაელების უბანში მის სახლში მოიყვანეს. პირველ ღამეს მაჰინურს ქათქათა ყელზე ოქროს მედალიონს რომ აბამდა, საგანგებოდ შერჩეული სიტყვებით ქალისთვის იმის ახსნას ცდილობდა, ქორწილი რატომ არ გადაიხადა; ამიტომ თითქმის დამარცვლით ელაპარაკებოდა:

– არ გენყინოს, ქორწილი რომ არ გადავიხადე. ამ დღეებში ქორწილის გამართვა ულამაზო იქნებოდა. ქორწილი ჩვენს გულებში მოვიწყობთ.

მუსტაფა იატაკზე დაფენილ სალოცავ ხალიჩას მისჩერებოდა. შემდეგ ფრთხილად აიღო, დაკეცა და გვერდზე გადადო. მაჰინური შეშინდა, მისმა ქმარმა პირველ ღამეს ორი ნამაზი ასე იოლად რომ გამოტოვა. “ალაჰ, მაჰატიე,

– ლოცულობდა გულში თავგამოდებული, – ამჯერად ურჯულოს ხელში ჩამაგდე?”

მუსტაფა ფიქრებს მიუხვდა.

– ჩემი ნუ გეშინია, მაჰინურ! რა ნამს დაგინახე, შენი სახე თვალებიდან გულში ჩამეყონა. ასე ნუ მიყურებ! შენს მზერაში დაბუდებული სევდის გასაქარწყლებლად სიცოცხლეს არ დავიშურებ. თან იცი, რას გეტყვი? ჩემი და ალაჰის ურთიერთობა უკვე ამ ხალიჩაზე აღარ დაეტევა. რადგან შენი თავი მაჩუქა, 24 საათიც რომ ვილოცო, მაინც ცოტა იქნება.

მაჰინურმა გაოცებულმა შენიშნა, რომ მისი ახალი ქმარი ბურნუთს არ ყნოსავდა. მუსტაფას სიტყვებს თავდახრილი უგდებდა ყურს, თვალებით ხის იატაკს მიშტერებოდა, მაგრამ მის სულში ამოდრავებული რაღაც მოეწონა. მომდევნო დღეებში, ცოლი რომ ამ ცხოვრებასთან შეერიგებინა, მუსტაფამ არნახული ჯაფა გასწია, რამაც გულში სამი იარა მოუშუშა. ზურგზე სკამმოკიდებული პატარა ბიჭის გაუსაძლისი მოგზაურობა ბოსნიიდან სტამბოლში ლუნაპარკით გამოწვეულმა აღტაცებამ შეუცვალა, სტამბოლის ხანძრის დროს დაფერფლილი სახლები – ახალი ცხოვრების დაწყების იმედმა, ადრეულ ასაკში დაობლების ტკივილი კი – ამ სიყვარულთან გაერთიანებულმა ოჯახად ქცევის სურვილმა.

სიყვარულს ფერი თუ ჰქონდა, თეთრი ნამდვილად არ იყო. სიყვარული მუსტაფას ალივით მოედო – ცეცხლის ფერი ჰქონდა, ჩანჩქერებიდან გადმოქაფდა, წყალში შეითამაშა, მოლურჯო მწვანე ფერი დაიკრა; შემდეგ დადინჯდა, ყვითლად შეფერადდა. სიყვარული ფერისცვალება იყო; ჭრელზე შეჩერდა. სიყვარული სიცოცხლე იყო.

<sup>1</sup> ლაზი – ქემალ ათათურქის (1881-1938) ნოდება

მაჰინური წელიწადის დროებს სუნებით აღიქვამდა – ჯეჯილის სუნი; სიცხისგან დამსკდარი მიწის სუნი; მოთუხთუხე თათარის სუნი; შეშისა და ნახშირის სუნი. მუსტაფასთან ჩახუტებამდე “ქმრის” სუნი თუთუნის ამაზრზენ სუნთან ჰქონდა გაიგივებული. სიყვარულის სუნი კი, სამზარეულოში მოხარშული პრასისა არ იყოს, ჯერ შორეული და მისვლასთან ერთად კი მასში გამჯდარ სუნად ეჩვენა. ბოლოს ამ გრძნობამ იქ ამოხეთქა, სადაც ფერების ფერხულში მთელი არსებით ჩაება – 10 დღით სტამბოლში მიმავალ მუსტაფას რომ აცილებდა, ჯიბეში წერილი ჩაუკუჭა, რომელიც ერთადერთი წინადადე-

ბისგან შედგებოდა:

“მუსთაბეი, მშვიდობით წადით, მშვიდობით დაბრუნდით და არ დაგავინწყდეთ, რომ თუ იქ ფეხით ცივ ქვას შეეხებით, აქ ამას გულით შევიგრძნობ”.  
 მუსთაბეიმ ჟილეტის ჯიბეებში ხელი იმედიანად მოაფათურა, თითქოს წლების წინ ჩაკუჭული იმ წერილის პოვნა შესაძლებელი ყოფილიყო. სული გაეყინა. სიცივე გულიდან მთელს სხეულს რომ მოედო, კარი ოდნავ გაიღო და ოთახში ქალიშვილი შემოვიდა. მოხუცმა გასაოცრად ხასხასა ლურჯი თვალები ირგვლივ მიმოავლო და ახლად გაღვიძებულივით ჩაიბუტბუტა: „ახალი პურის სურნელი საიდან მოდის?“

თურქულიდან თარგმნა  
**ნანა ჯანაშიამ**



სვანსული ლიტერატურა

## სანაი ღაზნელი (1080 – 1140)

სანაი ღაზნელს ეკუთვნის ლირიკული დივანი და დიდაქტიკურ-რელიგიური პოემები, რომელთა უმრავლესობა სუფიზმის ფილოსოფიას და ეთიკურ იდეებს ემსახურება („ბალხის ამბავი“, „სიყვარულის ნიგნი“, „ჭეშმარიტებათა ბალი“ და სხვა). სანაის მაღალფარდოვანი სტილი შემდგომში ანვარის, ნიზამისა და ხაყანის შემოქმედებაში განვითარდა.

### იბაჰეზი

\*\*\*

ერთი დიდი ქალაქია,  
გეტყვით, ღურის<sup>1</sup> ქვეყნის ახლოს;  
ორთავ თვალთ ბრმაა ყველა,  
იმ ქალაქში ვინც კი სახლობს.  
ერთხელ თურმე ფადიშაჰმა  
გაიარა ლაშქრით აქ და,  
ვით წესია, ამ ქალაქის  
გარეთ, ველზე დაბანაკდა.  
ჯარში ერთი მეომარი  
სპილო ჰყავდა შაჰს ვეება;  
გაეთელა ყველა, ვინც წინ  
გადაუდგა და შეება.  
იმ ქალაქის მკვიდრთ კი თურმე  
არ ენახათ სპილო ჯერე;  
ითათბირეს და განზრახვა  
ამ დასკვნაზე შეაჩერეს:  
გაეგზავნათ რამდენიმე  
კაცი სპილოს სანახავად,  
მეფეს ჯარში რომ ჰყვა, ომში  
მტერთა რაზმის სალახავად..  
და სამი ბრმა (გარდა ბრმების  
ხომ არ იყო მათში არვინ)  
გაემართა, ენახათ ის  
ან აშკარად, ანდა ფარვით.  
როგორც იყო, იმ სპილოსთან  
მიიტანეს თურმე თავი,  
უფათურეს ხელი (ბრმები  
ვერ ნახავდნენ მას ხომ თვალთ!).

---

<sup>1</sup> ღური – ქალაქი ავღანეთში.

ერთმა კაცმა სპილოს ტანის  
ერთ ნაკვთს უსვა ხელი ნაზად,  
მეორე კი სხვაგან მისწვდა,  
სპილო არც მას გაუბრაზდა.  
ყველას სპილოს აღნაგობის  
წარმოსახვა დარჩა თვისი,  
ვისთვის იყო ის ასეთი  
და ისეთი იყო ვისთვის.  
გამობრუნდნენ უკან თავის  
მოქმედებით კმაყოფილნი.  
ხალხს ამბავი მოუტანეს  
არნახულის და ყოფილის.  
და მოუყვინნ მათ, ლოდინით  
დაქანცულებს, რაც იქ ნახეს.  
აღუნერეს ამ ცხოველის  
აღნაგობა, ტანი, სახე.  
ერთმა, ხელით ვინც შეეხო  
მის ვეება და რბილ ყურებს,  
ხალხს უამბო: „მისი ნახვა  
დალხენილ კაცს შეაურვებს.  
იმხელაა, რომ უკიბოდ  
ვერ აძვრები მასზე ხოხვით.  
ისე ფართო და ბრტყელია,  
გეგონება ტაძრის ნოხი“.  
ხოლო მან, ვინც სპილოს ხორთუმს  
უფათურა ხელი ირგვლივ,  
თქვა: „რა გითხრათ, უნდა იყოს  
წყლის ვეება მილი იგი“.  
ბოლოს მან კი, ვინც უარა  
სპილოს ფეხებს იქით-აქეთ,  
თქვა: „რა დიდი ბოძია ის!  
მის გამომთლელ ოსტატს ვაქებ“.  
ყოველ მათგანს სპილოს მხოლოდ  
გაესინჯა თითო ნაკვთი,  
ეგონათ კი, წარმოდგენა  
სრული იყო მასზე მათი.  
ნამდვილად კი არვინ იყო  
სინამდვილის ბაიბურში,  
ყველა უცოდინარობის  
და სიბრიყვის იჯდა ჭურში.  
ეს იგავი ამისათვის  
მოვიტანე ახლა თქვენთან:  
რაა ღმერთი, ჭეშმარიტად  
ჯერ ვერავინ შეძლო, ეთქვა.



\*\*\*

ერთმა ბრიყვმა აქლემს ჰკითხა,  
რომ გაოცდა მისი ნახვით:  
„ღმერთმა რატომ გაგაჩინა  
ამისთანა მაიმახი?“  
აქლემმა ბრიყვს უთხრა: „პასუხს  
მისას, რაც მე მკითხე ახლა,  
ის თუ მოგცემს მხოლოდ, ვინც მე  
ამნაირი გამომსახა.  
მაგრამ მაიმახი ვარ, თუ  
ტანწერწეტა, არ ღირს დავად.  
ჯობდა, ჩემთვის ის გეკითხა,  
უდაბნოში როგორ დავალ“.

### ზანგი და სარკე

ერთმა ზანგმა თურმე გზაში  
დაგდებული სარკე ნახა;  
ჩაიხედა შიგ, მაგრამ თქვენს  
მტერს, რაც მან მით ივაგლახა!  
ცხვირი დაჭყლეტილი ჰქონდა,  
ლაშები კი – გაბერილი,  
თვალი – თეთრი, სახე – შავი,  
ნახშირივით დაფერილი.  
სარკეს სხვა რა უნდა ექნა,  
სულ სიმართლე უნდა ეთქვა,  
ზანგს კი ბოლმა შემოაწვა  
და იგი ძირს დაახეთქა.  
თქვა: „ამისი ღმერთი, ვატყობ,  
გულუხვია მეტისმეტად:  
რაც კი სიმახინჯე ჰქონდა,  
სულ ამ სანყალს დააბერტყა“.

## ყვავი და ბულბული

რუმში<sup>1</sup> ერთი ბულბული და  
 თურმე ერთი შავი ყვავი  
 ერთ ნალკოტში ბინადრობდნენ,  
 სად ვარდი და ია ყვავის.  
 სათქმელსა და საგალობოს  
 მათსას, აბა, რა დალევდა?!  
 აქეთ სტვენდა ბულბული და  
 იქით ყვავი ყრანტალებდა.  
 ბულბულმა ყვავს ნიშნი უგო:  
 „გესმის, მე ვით ვგალობ ტკბილად?!  
 ლამაზიც ვარ, შენ კი ურჩხულს  
 ჰგავხარ და შენს ხმასაც ვკილავ“.  
 ყვავი სწუხდა, ხოლო ბულბულს  
 გაბადრული ჰქონდა სახე,  
 ერთმა ბიჭმა ორივე ჩიტს  
 არ დაუგო სანამ მახე.

\*\*\*

ასე ამბობენ, რომ ბალხში  
 ცხოვრობდა ერთი ბაყალი.  
 დუქანი სავსე ჰქონდა სულ  
 სურსათით ახალ-ახალით.  
 ქალაქის მედუქნეებში  
 ამ კაცს არ ჰყავდა ბადალი,  
 თავი ამაყად ეჭირა  
 და იყო კიდევ მართალი.  
 შაქრით იყო ის თუ ჰალვით,  
 თუ თაფლით, ძმრით თუ მდოგვებით,  
 სულ სავსე ჰქონდა ხალმები,  
 კოჭობები და დოქები.  
 ერთხელ მის დუქანს მოადგა  
 ერთი ტეტია მუშტარი,  
 ზედ ეტყობოდა, რომ იყო  
 გონებით ბრმა და უშტარი<sup>2</sup>.  
 ქცევა და პატიოსნებაც,  
 ჩანდა, ფეხებზე ეკიდა.

<sup>1</sup> რუმი – აქ: ბიზანტია.

<sup>2</sup> უშტარი – ბრმა.

დუქანში მიტომ მოვიდა,  
 შაქარი სურდა, ეყიდა.  
 ბაყალს დირემი დაუგდო  
 და უთხრა მერე, რომ: „მეო,  
 შაქარი მინდა და ამით,  
 ადე, რაც მოვა, მომეო!“  
 ბაყალმა დახლზე სანონებს  
 უწყო ხელებით ცეცება,  
 დირემის შაქრის საფასე  
 სანონი ფუჭად ეძება.  
 იპოვა გამოსავალი,  
 ჰალვის ნაჭერი აიღო,  
 ყაფანს დაუდვა, იცოდა,  
 იმ ნაჭრის წონა რა იყო.  
 უპატიოსნო გამოდგა  
 ის ვირემმაკა ყმანვილი,  
 იმ ჰალვას შემოაჭამა  
 საკმაოდ დიდი ნაწილი..  
 ბაყალმა თვალი ჰკიდა ქურდს  
 და გულში ბევრი იცინა  
 (ბრიყვმა რაც ჰალვას დააკლო,  
 ის ხომ ბაყალმა იძინა!)  
 და თქვა: „ამ სულელს ნამდვილად  
 არა აქვს იმის გაგება,  
 რამდენ ჰალვასაც ის შეჭამს,  
 შაქარს იმდენი აკლდება“  
 ასეა ხალხიც, იქცევა  
 ისიც იმ ბრიყვის მაგვარად,  
 ზარალს ნახულობს და ფიქრობს,  
 საქმე ჭკვიანად აგვარა.  
 ვაი, რომ ბევრმა არ ვუნყით,  
 არ ხამს დოვლათის აქ დება, -  
 რასაც ამქვეყნად ვაგროვებთ,  
 იმ ქვეყანაში გვაკლდება.

\*\*\*

მაკედონელი როცა კვდებოდა  
 და ამ ქვეყნიდან, ნახა, რომ მიდის,  
 თავისთან იხმო ხელქვეითები -  
 პატარა იყო იგი თუ დიდი.  
 უთხრა მათ: „კვდები და მომუჭული,  
 შეხეთ, როგორ მაქვს ორივე ხელი.

მითხარით, მათში რას ვმაღავ? მიცნობთ  
და მიტომ თქვენგან სწორ პასუხს ველი“.  
ერთმა მიუგო: „მეფევ, ხელებში,  
ვფიქრობ, ძვირფასი გიპყრია თვალი“.  
მეორემ: „მასზე უფრო ძვირი რამ,  
აღმასი ანდა ბადახშნის ლალი“.  
მესამემ ეს თქვა: „ ვიცი, ანდერძი  
გაქვს ხელში, ჩვენთვის დასატოვარი“.  
მეოთხემ უთხრა: „აღბათ, სამეფო  
ბეჭედი, მზისებრ შუქის მთოვარი“.  
წარმოთქვა მეფემ: „სამწუხაროა,  
რომ, ვინც აქ რჩებით, სუყველა ცდებით,  
თქვენს პასუხებში სიხარბე დუმს და  
ამაოების მაცდური ცდები“.  
შემდეგ ორივე ხელი გაშალა  
და თქვა: „ამქვეყნის მეფე ძლიერი,  
შეხეთ, იმქვეყნად როგორ მივდივარ –  
მათხოვარივით ხელცარიელი“.

სპარსულიდან თარგმნა  
მაგალი თოდუამ

## ფარიდ ად-დინ ათთარი<sup>1</sup> (1136 – 1229)

ფარიდ ად-დინ ათთარი ნუშაბურში დაიბადა. იგი სუფიური ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია. ათთარის ძირითადი თემაა ღვთისადმი მისტიკური სიყვარული, აბსოლუტური ჭეშმარიტების ძიება თვითშემეცნებისა და საკუთარი თავის ღვთაების წილად მიჩნევის გზით. ამ მხრივ საინტერესოა მისი პოემები „ფრინველთა საუბარი“ და „ბულბულის წიგნი“. ფარიდ ად-დინ ათთარი ავტორია, ასევე, სხვა პოეტური და პროზაული თხზულებებისა. მისმა ლიტერატურულმა მოღვაწეობამ უდიდესი გავლენა მოახდინა სუფიური ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე.

### იბრაჰიმ ადჰანი და ხიზრი

აქ იბრაჰიმ ადჰან მეფის<sup>2</sup> ამბავს  
თქვენთან მოვიგონებ:  
ერთ დღეს ტახტზე იჯდა იგი,  
დიდების და შვების მქონე.  
თავს სამეფო ედგა თაჯი<sup>3</sup>  
მაგალითზე მაგალითი,  
სულ ბადახში, სულ ფირუზი,  
სულ ობოლი მარგალიტი.  
უცებ მეფის სასახლეში  
მოეხეტა ვილაც გლახა,  
ხიზრი<sup>4</sup> იყო, მაგრამ ხიზრი  
მათ ჯერ თვალთ არ ენახათ.  
უნებართვოდ შემოსული  
დაინახეს კაცი როცა,  
ყველა შეცბა. გამორჩენა  
მისი შაჰმაც გაიოცა.  
შეუძახა: „მწყემსი ჩანხარ  
და ვინ შემოგიშვა აქო?!“

---

<sup>1</sup> რედაქციის შენიშვნა: ჟურნალის პირველ ნომერში დაბეჭდილია ფარიდ ად-დინ ათთარის „ერთგული ცოლი“, თარგმნილი მაგალი თოდუას მიერ. შევნიშნავთ, რომ პროზაული ვერსიით წარმოდგენილი აღნიშნული თარგმანის სპარსული დედანი ლექსადაა დანერგილი.

<sup>2</sup> აქ იბრაჰიმ ადჰანის (VIII ს.) მეფედ მოხსენიება გაუგებრობის შედეგია. იგი შაჰი არ ყოფილა, საყოველთაოდ ცნობილი ღვთისმეტყველი იყო.

<sup>3</sup> თაჯი – მეფეთა და დიდებულთა გვირგვინი.

<sup>4</sup> ხიზრი – ხიზრის პროტოტიპია ბიბლიური ელია წინასწარმეტყველი.

ხიზრმა უთხრა: „ფუნდუკში<sup>1</sup> ხომ  
 შესვლის ნება ყველას აქო?!“  
 მეფე განყრა: „ეს ფუნდუკი  
 როგორ არის?! სრა-სახლია,  
 ხოლო სრა-სახლს ვინც ფუნდუკად  
 თვლის, მას ჭკუის ნასახი აქვს?!  
 მეფეთ-მეფის ციხე-დარბაზს  
 შენ ფუნდუკი ვით უწოდებ?!  
 უგნური ხარ, შე სანყალო,  
 მიტომ არ გსჯი, ეს უწყოდებ!“  
 ხიზრმა უთხრა: „მომიტევე,  
 თუ სანყენი რამე გკადრებ!  
 მაგრამ ბრძანე: ეს სასახლე ვისი იყო  
 შენზე ადრე?“  
 ფიქრს მიეცა ხელმწიფე და  
 რაც იცოდა, მოაგონდა:  
 „ეს სასახლე სულ პირველად  
 ამა და ამ მეფეს ჰქონდა.  
 ამ ქვეყნიდან რომ წავიდა  
 მეფე იგი, სწორედ მაშინ  
 ესა და ეს კაცი გახდა  
 შაჰი და ის იჯდა მასში.  
 ისიც ერთხანს ფლობდა სრას და  
 სხვას დაუწყეს შემდეგ თნევა<sup>2</sup>.  
 ახლა კი ამ სასახლეში,  
 როგორც ხედავ, მეფე მე ვარ“.  
 ხიზრმა ბრძანა: „აქ სხვის შემდეგ  
 შენ გიკმევენ რადგან გუნდრუკს,  
 ამიტომაც ამ შენს სახლ-კარს  
 მე ვუწოდებ სწორედ ფუნდუკს.  
 სხვა ღირსება ამ სასახლეს  
 რა აქვს? ოდენ გუნდრუკი აქვს.  
 ერთი მიდის, სხვა კი მოდის.  
 ესე იგი, ფუნდუკია“.

<sup>1</sup> ფუნდუკი – მოქარავენეთა სასტუმრო სახლი.

<sup>2</sup> თნევა – პირფერობა; მორჩილება.

## ქორი და ქათამი

უთქვამთ: ერთხელ ერთი ქორი  
 გაუფავრდა თურმე ქათამს:  
 „ამისთანა უმადური  
 რად ხარ? ცივი გული რად გაქვს?  
 პატრონი სულ თავს გევლება  
 და ნებიერ ყოფას გაჩვენებს,  
 სულ შვილივით გიფრთხილდება,  
 სულ კარგს გასმევს და კარგს გაჭმევს.  
 თან გდარაჯობს, შენს მოვლას და  
 მტრისგან დაცვას ის არ ზარობს, -  
 ვინმემ სადმე არ დაგაფრთხოს,  
 ვინმემ სადმე არ გაგბძაროს.  
 შენ? მერე, შენ როგორ უხდი  
 ასეთ პატრონს ამგვარ ამაგს?!  
 იგი გიხმობს, შენ კი მისგან  
 გარბიხარ. თქვი, რით ხსნი ამას?!  
 ის სულ შენზე ზრუნავს, შენ კი  
 თითქოს იყო ამის ღირსი.  
 მისკენ არც კი იხედები  
 და გპატიობს ამას ისიც.  
 აბა, ადამიანებთან  
 ერთი ჩემი ქცევაც ნახე!  
 მათ როგორც კი დავჭირდები  
 და თუ ვინმე დამიძახებს,  
 მყისვე ფრთაზე ფრთას შემოვკრავ  
 და იმისკენ გავქანდები,  
 ზედ მაჯაზე დავაჯდები  
 (არ მითქვამს ეს დაქადებით).  
 ჩემი გული მართალია,  
 ხოლო შენი გული ტყუის.  
 შენ ნუგბარით ძლები, მე კი  
 თავს ძლივს ვირჩენ ჭიალუით“.  
 როს ქათამმა ამისთანა  
 მოისმინა კილვა მისი,  
 უთხრა: „ბრიყვო, უარესის  
 ყოფილხარ შენ თურმე ღირსი!  
 ნა ბაზარში და იხილე,  
 რა წესიც აქვთ ადამიანთ:  
 იქ კავებზე რომ კიდია,  
 ქორია თუ ქათამია?“

## შაჰ-მაჰმუდი და აიაზი

შაჰ-მაჰმუდი<sup>1</sup> აიაზს – თვის  
 მონას, ტრფობა ჰქონდა ვისიც,  
 ჰკითხა: „ქვეყნად ვინმესი თუ  
 გშურს? და, თუ გშურს, მითხარ, ვისი?“  
 უპასუხა აიაზმა: „შურს ვგრძნობ, მეფევ,  
 თანაც ულევს,  
 იმ მინქაფის ქვის<sup>2</sup>, რომლითაც  
 შენ იხეხავ ფეხისგულეებს.  
 როგორ მინდა, ის ქვა ვიყო  
 და ეს წესი დამენესოს:  
 შენს ფეხისგულს ჩემი ლოყა  
 ვუსვა და მით გეაღერსო“.

## ბაზარში დაკარბული ბავშვი

ერთმა ქალმა ციციქნა ბავშვი  
 ბაზარში თან წაიტანა.  
 ბავშვი დედას ჩამორჩა. თან  
 ეძახდა, ცრემლს ღვრიდა თანაც.  
 ხალხი დედას ამტყუნებდა:  
 „არ ყოფილა ჭკუასრული.  
 ხელი როგორ უშვა ბავშვს ან  
 როგორ უდგას ახლა სული?!“  
 ბავშვს ეფერენ: „არ იტირო,  
 დედა სადღაც აქვეაო!  
 დაფუძახებთ, ოღონდ გვითხარ,  
 შენს დედიკოს რა ჰქვიაო?“  
 ბავშვმა უთხრა: „დედა არის  
 და რა ჰქვია, რა ვიციო!“  
 „სადაური ხარ, ეს მაინც  
 გვითხარ! დედა გავიძიოთ!“  
 მან ზღუქუნით უპასუხა:  
 „საიდან ვარ, არც ეს ვიცი.  
 რომც მცოდნოდა, ასეთ დღეში  
 დამავინყდებოდა ისიც“.

<sup>1</sup> შაჰ-მაჰმუდი – ცნობილი ირანელი მეფე (X-XI ს.), რომელიც ეტრფოდა თავის თურქ მონა ვაჟს – აიაზს.

<sup>2</sup> მინქაფის ქვა – ქვა, რომლითაც იხეხავენ ფეხისგულეებს.



„აბა, რა ვქნათ, სადაური  
ხარ შენ, ესეც თუ არ იცი?!  
შენ ტირი და ჩვენ ყველანი,  
შვილო, შენი ცოდვით ვინვით!“  
„ამდენ ხალხში დაკარგული, -  
უპასუხა ბავშვმა, - ვარ და  
არაფერი ვიცი, დედა  
მართლა რომ მყავს, იმის გარდა.  
მას ვუხმობ, ის პასუხს არ მცემს  
და ვერ მიპოვია ჯერაც,  
თუ არადა, სადღაც აქ რომ  
არის იგი, ეს კი მჯერა“.  
ათთარ, სული სისხლით გივსეს  
ამ ფიქრთ, გულიც დაგიძენძეს:  
შენც ხომ იცი, რომ ნამდვილად  
აქ გყავს დედა?! მაშ, რად ეძებ?!

სპარსულიდან თარგმნა  
მაგალი თოდუამ

## ნიზამი განჯელი (გ. 1209 წ.)

ნიზამი დაიბადა და ცხოვრობდა განჯაში. მას ეკუთვნის ლირიკული ლექსების კრებული (დივანი) და „ხამსე“ (ხუთეული) – ხუთი პოემა: „საიდუმლოებათა საგანძური“, „ხოსროვ და შირინი“, „ლეილი და მაჯნუნი“, „შვიდი მზეთუნახავი“, „ისქანდერ-ნამე“. „საიდუმლოებათა საგანძური“ ავტორის ფილოსოფიურ-რელიგიურ შეხედულებათა მხატვრული ფორმით გადმოცემას გულისხმობს, მისი შესავალი კი ნიზამის პოეტურ შეხედულებებს გამოხატავს; პოემა „ხოსროვი და შირინი“ რეალისტური პოემაა, აღმოსავლური ლიტერატურისთვის დამახასიათებელი ზღაპრულ-ფანტასტიკური ელემენტების გარეშე; „ლეილი და მაჯნუნის“ სიუჟეტი არაბული წარმოშობისაა. მასში სიყვარული სუფიურ ასპექტშია გადაწყვეტილი; პოემაში „შვიდი მზეთუნახავი“ მოთხრობილია ბაჰრამ-გურის ცხოვრების შესახებ. ნიზამი ამ პოემაში სამართლიანი შაჰის იდეას ქადაგებს; „ისქანდერ-ნამეს“ საფუძვლად უდევს სპარსული და არაბული ქრონიკები, ქრისტიანული და ებრაული წყაროები. პოემის მიხედვით, ისქანდერი (ალექსანდრე მაკედონელი) იდეალური მეფეა, რომელიც სამართლიანობასა და ჭეშმარიტებას ეძიებს, ცდილობს ამოხსნას ადამიანის არსებობის აზრი. ნიზამის პოემების მიზანძვით აღმოსავლურ ლიტერატურაში ათეულობით ამავე სახელწოდების პოემა შეიქმნა.

## ლირიკული ნიალსკლები

\*\*\*

გულში ნალველის ნუ გიდგას გუბე,  
ნურც ნურა დარდი ნუ დაგამძმებს!  
როგორ შავია, შეხედე ღრუბელს,  
მაგრამ თეთრ წვიმას როგორ აწვიმებს!  
ვიეთნი<sup>1</sup> ქვეყნად დრტვინვით და ბორგვით  
ჭირს და განსაცდელს რატომ ელიან?  
ზოგი ხიფათი სიკეთეს მოგგვრის  
და ზოგი ჭირი მარგებელია.  
ხელს ნუ ჩაიქნევ ჩათქმულ მიზანზე  
და შიშის ლახვრით ნუ სპობ იმედებს!  
უფალი თავის მესავისათვის  
წყალობას მუდამ გამოიმეტებს.  
რასაც ნატრობდი და ვერ იხელთე,  
იმაზე ჭმუნვა არ ხამს და არც გრგებს,

---

<sup>1</sup> ვიეთნი – ზოგნი.

აიღე სარკე, შიგ ჩაიხედე  
და ნახავ, ფრთებს ვით შეგასხამს სარკე!

\*\*\*

მას, ვინც სიტყვით გგმობს და გულით გლანძღავს  
და შენზე ენა სულ ექავება,  
პასუხის ღირსად რომ არ ცნობ, ვაშა  
შენს ამ ღირსეულ თავშეკავებას!  
რა კარგად უთქვამს, ვინც თქვა, მთქმელს მისას  
ხამს, ბრძენი არქვა, განმსჯელი გინა:  
„ენა ხორცია მხოლოდ და მხოლოდ,  
ხოლო მახვილი – ლესული რკინა“.  
სასაცილოა, თავს ინონებდე  
და მის წილ ქების იმედი გქონდეს,  
ოდეს გონიერ ხალხში ლაქლაქებ  
და ენას კბილებს არ აჭერ ოდეს.

\*\*\*

ვინც უნდა იყოს იგი (ძველებს  
ამგვარად უთქვამთ),  
ლონე მანამდის აქვს მას, სანამ  
ჯერ კიდევ სუნთქავს.  
თორემ, თუ სული აღმოხდება  
იმ სანყალს, მყისვე  
გულში ჩაკრული ვის ჰყავს, ისიც  
გადაივინყებს.  
ჩემს ჩრაქვს<sup>1</sup> თუ ქარი ეცა და ის  
ჩამიქრო ქარმა,  
მერე სულერთი არ არის, მაქვს  
იგი თუ არ მაქვს?!  
ზეცაში იფრენ, თუ იქნები  
ჩანთქმული ჭაში,  
რა ბედენაა, სიკვდილი რომ  
გენვევა, მაშინ?!  
როს თევზი წყლიდან უცაბედად  
ხმელეთზე ხტება,  
ის საცოდავი ჭიანჭველის  
ულუფა ხდება.  
ასეთი არის ამ ცხოვრების  
წესი და რიგი:

<sup>1</sup> ჩრაქვი – ჭრაქი.

ერთი რომ აქეთ მოჰყავს, მიჰყავს  
 მეორე იქით.  
 ერთს სამზეოზე გამოაჩენს  
 ჩქარა და ადრე,  
 ხოლო მეორეს უჯავრდება:  
 „რას უცდი? ადე!“  
 ამ მოლის ნოხზე ნებივრობა  
 არ შერჩა არვის;  
 ნუ მოგატყუებს შენ სასახლეც  
 ბროლის და ქარვის!  
 ირემი ლომთა ბუნაგისკენ  
 თუ გადახტება,  
 თვითონ და მთელი საირმე ლომთ  
 ლუკმა გახდება.  
 იფრინე ცაში, ტანს მინაზე  
 რა ჭირად ათრევ?!  
 ჩეჩმის ნუნუნუხი არ დალიო  
 და მით არ დათვრე!  
 ცეცხლს, ცეცხლს მიეცი ეს ქვეყანა,  
 დაბუგე იგი,  
 აქეთ შენ იხსენ მისგან თავი,  
 ის ეგდოს იქით!

\*\*\*

ო, რა კარგია, როცა კაცი  
 ზამთარში ლხინობ;  
 გიზგიზებს ცეცხლი, ხოხბის ხორცს ჭამ  
 და წრუპავ ღვინოს!  
 წინ გიზის გოგო, თვალთა ცეცხლით  
 ნალკოტს რომ ბუგავს,  
 კოკორი ძუძუ მკვახე აქვს და  
 ბრონეულს უგავს.

\*\*\*

მითხარი, სიტყვავ ( სხვანაირად  
 „ლექსად“ რომ გნათლეს<sup>1</sup>),  
 სად იმალება შენი ჯადო,  
 სიქა<sup>2</sup> სად გადევს?  
 რამდენი სახე გამოსახეს

<sup>1</sup> „სიტყვა“ და „ლექსი“ სპარსულშიც და ქართულშიც სინონიმებადაა გააზრებული.

<sup>2</sup> სიქა – დამლა, შტამპი.

შენით და შენგან!  
 და მაინც ასოც არ აკლია  
 იმ განძს, რაც შენ გაქვს.  
 თუ ჩვენს ოჯახში იბადები,  
 გვითხარი ბარემ.  
 და, თუ სხვა მხრიდან ხარ მოსული,  
 სად ძეს ის მხარე?  
 ჩვენგან აღმდგარი ხომ ხარ? რატომ  
 არა ხარ ჩვენთან?  
 სახეთ რომ სახავ, თავად სად ხარ?  
 რა ხდება შენს თავს?  
 სუყველას შენი ნებით გვიძგერს  
 გული ბუდეში  
 და ენას წილი მის ფეთქვაში  
 თვისი უდევეს შიგ.  
 ვინა ხარ, რა ხარ, რა ჩიტი ხარ  
 ჩვენთან ნაჩვევი?  
 ეს ვუნწყით მხოლოდ: ჩვენს სახსოვრად  
 მუდამ დარჩები.  
 თვალებს ვერ განვდენტ,  
 თითქოს ვიყოთ კაცნი უშტარი.  
 დაე, ზეობდე და სულ მუდამ  
 გყავდეს მუშტარი!

\*\*\*

ღამე დაგვიდგა, შუადღეზე  
 უფრო კამკამა.  
 მთვარე მზეს ჩრდილავს. მე კი ვხარობ  
 (დღის ან რა მგამა!).  
 ზეცის გუმბათი ზურმუხტის ფერს  
 ველს უხვად აფრქვევს  
 და მწვანედ ღებავს დედამიწის  
 საბავშვო დაფებს.  
 ძირს ჩამოდიან ვარსკვლავები  
 და მასზე მერე  
 უიმედობის ან იმედის  
 სტრიქონებს წერენ.  
 ხოლო ის, ვინც ამ წარწერათა  
 ნაკითხვა იცის,  
 ავი სულებით სავსე ჩვენს სახლს  
 სხვა ბინით იცვლის.  
 აქვს განა აზრი ამ სოფელში  
 ჯაფას და შრომას,

როს ნუთითაც კი ვერ ზრდი ვადას,  
 მას შენთვის რომ აქვს?!  
 ჭმუნვის და დარდის, არ ეგების,  
 ამარა დარჩე,  
 შვების საშოვრად მოუცია  
 ქვეყანა გამჩენს.  
 ასეთი არის განაჩენი:  
 ვინც აქ ახანა,  
 ამ ჯურღმულიდან ხამს, აიკრას  
 ბარგი-ბარხანა.  
 მაშ, რას აყოვნებ, დრო ვატაროთ,  
 დაგვისხი ღვინო,  
 ისე ილხინე შენც, როგორც ჩვენ  
 ვხარობთ და ვლხინობთ!  
 „გუშინ“ წავიდა, არ მოსულა  
 „ხვალე“ ჯერ კიდევ,  
 მაშ, რას ვაყოვნებთ, ვიქეიფოთ,  
 ჯამს ხელი ჰკიდე!  
 კვლავ მომანოდე, მნდეო, ღვინო,  
 კიდევ გინოდებ;  
 დღეს დრო ვატაროთ! ხვალე? ხვალის  
 ხვალემ იცოდეს!  
 არ ხამს, ვიდარდოთ იმ ჭირზე, რაც  
 ჯერ არ მოგვსვლია!  
 ღვინოს ვსვამ აგერ და საფლავში  
 ჩავწვე? მოგცლია!  
 ქეიფის გარდა ნურაფერზე  
 ნუ ფიქრობ ახლა!  
 ყოველ საქციელს თვისი წესი  
 და რიგი ახლავს.  
 სევდა თუ მოვა, ნიხლი ჰკარ და  
 ადგილზე დასვი;  
 შენ კი ილხინე, იქეიფე  
 და ჭამე და სვი!  
 მიკვირს, ამქვეყნად რას ვჩალიჩობთ,  
 რას ვჩირთიფირთობთ?  
 რა ვიხეირეთ აქ ყოფნით, რა  
 მოვიგეთ ვითომ?!  
 უნდა გავიქცეთ ამქვეყნიდან  
 (ამას არც ვცდილობთ)  
 მანამდე, სანამ დრო მოვა და  
 გაგვსრესს ის სპილო.  
 სანამდის მინა შეგვჭამს, ჩვენ აქ

რაც გვიძევს, ვჭამოთ,  
 თან წავიტანოთ, თუ რამ ქვეყნად  
 გვაქვს ამო!  
 წამო!  
 და თუ სხვა რამის წაღებაც გვსურს  
 მაინცდამაინც,  
 იგი წავიღოთ, წინაპრებმა  
 წაიღეს რაიც!  
 მეზაჟის რისხვით თუ ძრწი, ანდა  
 ყაჩაღის შიშით,  
 გასწავლი, როგორ აიცილო  
 ვაი და ვიში:  
 ღარიბ-ღატაკებს დაურიგე,  
 რაც გაქვს ქონება!  
 ღატაკს კი ვერვინ ვერ გაძარცვავს,  
 გაგეგონება!  
 ერთ დღედ იტყვიან  
 კაცთა მოდგმის  
 თავგადასავალს,  
 შენ კი გაქვს განძი, საუკუნეს  
 რომ ითვლის მრავალს.  
 ნუ დაგაღონებს ნურც ნამყო და  
 ნულარც მყოფადი,  
 ვილხინოთ ისე, ვით ილხენდა  
 ქაიყოზადი.<sup>1</sup>  
 და გავახაროთ გული, დღემდე  
 ბოღმით რომ ვგუდეთ  
 (მაგრამ ეს არ ვქნათ, რომ სიხარბის  
 გვექცეს ის ბუდედ).  
 გაფლანგე ფული და მის ფასად  
 იშოვე შვება  
 (ვიშ, რა უფასოდ შოულობს გულს,  
 ვინც ამას შვრება!).  
 სიხარბით ფულის არ დაკარგო  
 სიკეთე გულის;  
 ხელთ იპყარ გული!  
 ფული? ქვეყნად  
 ნურმც ჰგვის ფული!

სპარსულიდან თარგმნა  
**მაგალი თოდუამ**

<sup>1</sup> ქაიყოზადი – ირანის მითიური მეფე.

## რეზა-ალი დივანბეგი (1892 – ?)

რეზა-ალი დივანბეგი ქურთისტანი დაიბადა 1892 წელს ქურთისტანელი დიდგვაროვნის და წარჩინებული მოხელის მირზა ჰოსეინ დივანბეგის ოჯახში. დიპლომატიური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიწყო მუშაობა. იყო მეჯლისის V, VI და VII მოწვევის დეპუტატი. 1916 წელს საგარეო საქმეთა მინისტრმა მოჰთაშემ ას-სალთანე ესფანდიარიმ რეზა-ალი კავკასიაში გააგზავნა. მოგზაურობა მას ძალიან რთულ პერიოდში მოუწია. უკანა გზაზე ის საქართველოსაც ეწვია და გარკვეული ხანი თბილისში დაყო. მისი მემუარული თხზულება „მოგზაურობა პირველი მსოფლიო ომის დროს“ ამ მოგზაურობის ჩანაწერებს წარმოადგენს. რეზა-ალი დივანბეგი დაკვირვებული და მიუკერძოებელი მთხრობელია. მისი მოგზაურობის წიგნი თუმცა ინფორმაციული თვალსაზრისით არსებით სიახლეს არ შეიცავს, მაგრამ ძალიან საინტერესოა, როგორც თვითმხილველის უშუალო შთაბეჭდილებები. ის ცოცხლად გვიჩვენებს თბილისის ცხოვრებას საქართველოს ახალი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე დრამატულ პერიოდში.

## მოგზაურობა პირველი მსოფლიო ომის დროს<sup>1</sup> (1916-1918)

### სახიფათო გარემო (1918)

იმ დროს კავკასიის სხვადასხვა რეგიონში ასეთი პოლიტიკური და სოციალური ვითარება იყო:

რუსეთში რევოლუციის დაწყებისა და ბოლშევიკებსა და გერმანიას შორის ზავის დადების შემდეგ ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხი აჯანყდა. მათმა წარმომადგენლებმა თბილისში სახალხო საბჭო და ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკა ჩამოაყალიბეს. მიუხედავად ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებისა ყარსის ვილაიეთის გადაცემის შესახებ, მისი წევრები თურქეთში არ წავიდნენ. მათ უნდოდათ, კავკასიის საზღვრები ოსმალეთის აგრესიისგან დაეცვათ, მაგრამ ამ სამი ხალხის წინამ-

დლოების უთანხმოებისა და აზერბაიჯანელებისა და სომხების დაპირისპირების შედეგად ეს კავშირი მალევე დაიშალა და თითოეულმა დამოუკიდებელი მმართველობა გამოაცხადა.

ქართველები გერმანელებს დაუკავშირდნენ და გერმანიის მთავრობამ თბილისში სამხედრო რაზმი ჩააყენა, რითიც საქართველოში შედარებით წესრიგი დამყარდა.

აზერბაიჯანელმა რევოლუციონერებმა მას შემდეგ, რაც ბაქო დაკარგეს, ქალაქი განჯა ე. წ. კავკასიის აზერბაიჯანის ცენტრად გამოაცხადეს და ოსმალეთის მთავრობას დახმარება სთხოვეს. თურქული რაზმი ნური ფაშას მეთაურობით მათ დასახმარებლად თავ-

<sup>1</sup> *Khāterāt-e Dīvān Bigī (Az sālhā-ye 1275 tā 1317 qamarī)*, be kūshesh-e Īraj Afshār va Rasūl Daryāgasht, Tehran, 1382/2003.



რიზი-ჯულფას გზიდან შემოვიდა.

ამასობაში, სომხების წინამძღოლმა, რომელიც დამოუკიდებლად იბრძოდა, დაშნაკების თავგანწირვის მიუხედავად ძალაუფლება დაკარგა. ოსმალებმა სომხეთის დასავლეთი ნაწილი მიიერთეს და მონინააღმდეგეს მოსტხოვეს, აღმოსავლეთი სომხეთიც აზერბაიჯანისათვის გადაეცა.

ქალაქი ბაქო ნავთობის დიდი მარაგის გამო როგორც კავკასიის, ისე სხვა სახელმწიფოებისა და ხალხების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა და გამუდმებით ხელიდან ხელში გადადიოდა. მოსკოველ რევოლუციონერებს არ უნდოდათ, რომ ბაქო ხელიდან გაეშვათ, ამიტომ ათასგვარი მაქინაციებით იქ კომუნისტური მმართველობა დაამყარეს. რამდენიმე ათასი შეიარაღებული სომეხი, რომელიც მეფის რუსეთის ჯარში მსახურობდა და სომხეთში ვერ მიდიოდა, შეაგულიანეს, რომ ბაქოში წასულიყვნენ და იქ გამაგრებულიყვნენ, სათავეში კი ერთ-ერთი სომეხი ლიდერი სტეფანე შაუმიანი ჩაუყენეს.

ამ კაცმა, რომელიც ლენინის ძმადნაფიცი იყო, ბაქოს ბოლშევიკური მთავრობა ჩამოაყალიბა, შაქი და შირვანი დაიმორჩილა და ოცდაათ ათასზე მეტი მუსლიმი მოსახლეობა განყვიტა. ამ ნაბიჯით შაუმიანსა და მის მიმდევრებს უნდოდათ, რომ რეგიონში სომეხი მო-

სახლეობის პოზიციები გაემაგრებინათ.

ამასობაში გერმანელებმა ბაქოს ხელში ჩასაგდებად მოსკოველ ლიდერებთან ფარული შეთანხმება დადეს, რომ შაუმიანის დასახმარებლად ასტრახანის მხრიდან ძალებს გაგზავნიდნენ, რათა ის ოსმალეთის თავდასხმისგან დაეცვათ, თუნდაც ამ საქციელით თურქეთის მოკავშირეებს დაპირისპირებოდნენ.

მაგრამ სწორედ ამ დროს ბაქოს რევოლუციონერებმა (*მენშევიკებმა*)<sup>1</sup> ანუ სოციალისტებმა სისხლისმსმელ ბოლშევიკებთან [ბრძოლაში] უპირატესობას მიაღწიეს, გადატრიალება მოაწყვეს და ენზელის პორტში მდგარ ინგლისელ ჯარისკაცებს დახმარება სთხოვეს, რათა მათ გერმანელებისა და ოსმალების ბაქოში შესვლა არ დაეშვათ. ამჯერად შაუმიანსა და მის მეგობრებს მოუწიათ ბაქოდან გაქცევა და ქალაქში ე. წ. „კასპის ზღვის მმართველობა“ დაამყარდა, რომელსაც ინგლისი მფარველობდა.

მე სწორედ ამ არეულობის დროს ჩავედი თბილისში და ჰოტელ „ორიანტი“<sup>2</sup> გავჩერდი. გარეგნულად ძალიან კარგი სასტუმრო იყო. 24 საათის უჭმელი ვიყავი, ამიტომ მსახურს ვკითხე, რესტორანი ჰქონდათ თუ არა და პირველ სართულზე მიმასწავლა.

ხელ-პირი დავიბანე და ქვევით ჩავედი. დიდი და კეთილმოწყობილი რეს-

<sup>1</sup> რეზა ალი დივანბეგი თხზულებაში ხშირად ხმარობს უცხოენოვან (საქართველოს ეპიზოდში, ძირითადად, რუსულ) სიტყვებსა და ტერმინებს, რაც ზოგადად სპარსული სამოგზაურო ლიტერატურის ერთ-ერთი სტილური თავისებურებაა. ზოგჯერ ამის მიზეზი სპარსულ რეალობაში ამა თუ იმ საგნისა და მოვლენის და, შესაბამისად, სპარსულ ენაში შესატყვისი ტერმინის არარსებობაა, ზოგჯერ კი უცხო სიტყვის ხმარება მას ამ საგნისა თუ მოვლენის უცხოური ელფერის ხაზგასასმელად სჭირდება. ამიტომ ქართულ თარგმანში ბარბარიზმები, როგორც სტილური თავისებურება, შეგნებულად შენარჩუნდა და ისინი იტალიკით არის გამოყოფილი.

<sup>2</sup> სასტუმრო „ორიანტი“ ფუნქციონირებდა 1895 წლიდან დღევანდელი რუსთაველის პროსპექტის №9-ში. საბჭოთა წლებში მასში სასტუმრო „ინტურისტი“, ხოლო 1977 წლიდან მხატვრის სახლი გაიხსნა. 1991 წელს სამოქალაქო ომის დროს შენობა მთლიანად განადგურდა.

ტორანი სრულიად ცარიელი იყო. მაგი-  
დას მივუჯექი და დაველოდე, მაგრამ  
ყურადღება არავინ მომაქცია. ერთ  
კუთხეში ხის პატარა ჯიხურში შავებში  
ჩაცმული ქალი რვეულსა და საბუღალ-  
ტრო წიგნაკს ჩაჰკირკიტებდა. მივუბ-  
რუნდი და რუსულად ორი სიტყვა ვუთ-  
ხარი: „სადილი არა გაქვთ (აბედ ნეტ)?“  
გაკვირვებულმა მიპასუხა: „ნაშუად-  
ღევს 4 საათზე იქნება“.

გაირკვა, რომ აქ ასეთი წესი იყო.  
როცა დაინახა, რომ ახალი მოსული ვი-  
ყავი და აქაური წესები არ ვიცოდი, დამ-  
პირდა, რომ შესაძლოა მანამდეც მოემ-  
ზადებინათ. ერბო-კვერცხი (ომლეტი)  
მოვითხოვე. ოფიციანტს დაუძახა და  
შეუკვეთა. *ომლეტის* მომზადება ოთხ  
საათამდე გაგრძელდა. ამასობაში სა-  
შინლად მომწყურდა და *გარსონს* ვთხო-  
ვე, რომ ერთი ჭიქა წყალი მაინც მოეტა-  
ნა. მან ისეთი გაბრაზებით შემომხედა,  
რომ მადა დამეკარგა. მიზეზს ვერ მივ-  
ხვდი.

მერე იმ უგემურ საჭმელში 10000  
ქართული მანეთი მომთხოვეს. მე ამდე-  
ნი ფული არ მქონდა. ბუღალტერი ქა-  
ლის მითითებით 2000 *ცარსკი* მანეთი  
გადავიხადე, რაც იმ დროს ირანულ  
ფულზე დაახლოებით 20 თუმანი იყო  
(მეფის რუსეთის უგარანტიო ბანკო-  
ტის ფასი და კრედიტუნარიანობა გაცი-  
ლებით მაღალი იყო, ვიდრე ახალი რეს-  
პუბლიკების ახლად გამოშვებული ბან-  
კნოტების ფასი).

ისე, როგორც სხვაგან არის მიღე-  
ბული, ოფიციანტს გასამრჯელოდ 100  
მანეთი ქალაღდის ფული მივეცი. გაბ-  
რაზდა და მაგიდაზე დააგდო. ვიფიქრე,  
ეცოტავა-მეთქი და კიდევ ერთი ასმანე-  
თიანი დავუმატე. კინალამ თავში ჩამარ-  
ტყა.

ისევ ის ბუღალტერი ქალი დამეხ-  
მარა და ამიხსნა, რომ რადგან თბილის-  
ში სოციალისტური მმართველობა იყო,

ოფიციანტისთვის ძველებურად *გარსო-  
ნის* დაძახება აღარ შეიძლებოდა, ამხა-  
ნაგი (*თავარემ*) უნდა გენოდებინა. თა-  
ნაც, თურმე, ოფიციანტის გასამრჯელო  
ანგარიშში შედიოდა და მისთვის ზედმე-  
ტი თანხის მიცემა შეურაცხმყოფელი  
იყო...

აქ მინდა სხვა საკითხს შევეხო:  
პირველ მსოფლიო ომამდე კავკასიაში  
და, განსაკუთრებით, ბაქოში 200-300  
ათასზე მეტი (მათი რაოდენობა სეზო-  
ნურად იცვლებოდა) ირანის ქვეშევ-  
რდომი, ძირითადად, აზერბაიჯანის და  
გილანის მცხოვრები იყო. ისინი ვაჭრო-  
ბასა და ხელოსნობას ეწეოდნენ. კავკა-  
სიელები მათ და, საერთოდ, ირანის  
მთელ მოსახლეობას როგორც თანამე-  
მამულეებს, ისე ექცეოდნენ.

ირანელი მუშები ძველმოდურები  
და შრომისმოყვარეები იყვნენ და კარგ  
გასამრჯელოს იღებდნენ, განსაკუთრე-  
ბით ისინი, ვინც ბაქოს ნავთობის საბა-  
დოებზე მუშაობდა. ქალაქებსა და და-  
ბებში ირანელი ხელოსანიც ძალიან ფა-  
სობდა და ისინიც კარგად ცხოვრობ-  
დნენ. მათ უმრავლესობას ორზე მეტი  
საამქრო ჰქონდა და შეძლებულად ით-  
ვლებოდა. ამიტომ ირანის ხელისუფლე-  
ბამ თავის ქვეშევრდომებზე ზედამხედ-  
ველობის განსახორციელებლად კავკა-  
სიის ზოგიერთ ქალაქში საკონსულო  
გახსნა. თბილისის მთავარ კონსულს,  
რომელსაც გენერალურ კონსულს ეძახ-  
დნენ, ყველა მათგანი ემორჩილებოდა.

კონსულებს კარგი შემოსავალი  
ჰქონდათ. ისინი ირანის ქვეშევრდომე-  
ბისგან *პასპორტის* (ასე ეძახიან ამ რე-  
გიონში *თე ზქერეს*), ვიზის, მარკების და  
ა.შ. გაცემაში უზარმაზარ გადასახადს  
იღებდნენ. ადმინისტრაციული დანა-  
ხარჯებისა და ხელფასების თანხის გა-  
მოკლებით მთელი ფული თეირანში სა-  
გარეო საქმეთა სამინისტროში იგზავ-  
ნებოდა.

ამგვარად, იმ დროს თბილისში ირანის გენერალურ კონსულს განსაკუთრებული ძალაუფლება და ავტორიტეტი ჰქონდა. ამიტომ უცხო ქვეყანაში მოხვედრილმა გადავწყვიტე, მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცნობდი, პირველ რიგში ის მომენახულებინა, რათა მისგან ახალი ამბები გამეგო. *ჰოტელის* შვეიცარმა *დროშკა* მოიყვანა და მეეტლეს ირანის საკონსულოს მისამართი უთხრა.

გავიარეთ ხალხით სავსე ქუჩები, სადაც შიგადაშიგ *ელექტროტრამვაიც* დადიოდა და მეეტლემ ერთი მაღალი შენობის წინ ჩამომსვა. ჩემი ყურადღება მიიპყრო ახოვანმა, მხარბეჭიანმა, გრძელწვერა შვეიცარმა, რომელსაც ძველი რუსული ტრადიციით კაზაკის ტანსაცმელი ეცვა. ვუთხარი:

– გენერალური კონსულის ნახვა მინდა.

– არ ბრძანდება.

– მისი მოადგილე?

– აჰმად ხან ამინ დარბარზე ამბობ? კანცელარიაშია.

ამ კაცს ვიცნობდი. ჩემზე წინ სწავლობდა დიპლომატიურ სკოლაში, რომლის დამთავრებისთანავე საგარეო საქმეთა სამინისტრომ თბილისის საკონსულოს თანამშრომლად დანიშნა. მასთან და მის კოლეგა ყოლამრეზა ნურზადთან შეხვედრამ ძალიან გამახარა, მაგრამ მათ ჩემი დანახვა გაუკვირდათ, რადგან არ იცოდნენ, ამ შუა რევოლუციაში თბილისში საიდან და რისთვის ჩამოვედი.

მათი თქმით, იმ დროს თბილისში ირანის გენერალური კონსული ალი მოჰამად ხან შარიფ ად-დოულე იყო, რომელიც, მიუხედავად თეირანთან განყვეტილი ურთიერთობებისა, ირანის მოქალაქეებზე ზრუნვას ამ არეულობაშიც ახერხებდა. საქართველოს წინა მეფისნაცვლის ჩინოვნიკებიც კი, რომელთა სიცოცხლეს და ქონებას მღელვარე-

ბის დროს საფრთხე ემუქრებოდა, თავს ირანის საკონსულოს აფარებდნენ. მისი ნებართვით, რამდენიმე გავლენიან პირს თავისი სახლის კარზე ირანის დროშა ეკიდა, რათა რევოლუციონერების თავდასხმის საფრთხე აერიდებინა.

ამის გამო შარიფ ად-დოულე თბილისში ისეთი პოპულარობით სარგებლობდა, რომ მას საქართველოს სახელმწიფო მოხელეებიც კი ანგარიშს უწევდნენ.

მაგრამ საკონსულოს ერთი თანამშრომელი, სახელად აბდ ალ-ჰოსეინ ხანი, რომელიც სამუშაო სტაჟის გარეშე, საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებით, საპასპორტო ხაზინის უფროსად იყო დანიშნული, თავისი მდგომარეობით სარგებლობდა. მან ცოლად მოიყვანა ერევნელი არისტოკრატი ქალიშვილი, ქორწილის ხარჯები სახელმწიფო ქონებიდან დაფარა, ქალაქში თავისთვის მდიდრული ბინა შეიძინა, ქალაქგარეთ კი კავკასიის წინა მეფისნაცვლის დიდი მთავარი ნიკოლოზის სააგარაკე სასახლე გასართობ ადგილად მოაწყო. აბდ ალ-ჰოსეინ ხანმა ქართველი განდევნილი ბატონიშვილები თავის გარშემო შემოიკრიბა და ყოველ ღამე გრანდიოზულ ქეიფებსა და *ყომარის* თამაშს მართავდა, რაც ხშირად აყალმაყალსა და თოფის სროლაში გადაიზრდებოდა ხოლმე.

ეს აღვირახსნილი *ხაზინადარი* თეირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მფარველობით სარგებლობდა, სახელმწიფო ფულს თავად განკარგავდა და საკონსულოში რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა. მისი უკანონო ქმედებები საქართველოს სოციალისტური მთავრობის კომისრების პროტესტს იწვევდა და ირანის კონსულის რეპუტაციას ზიანს აყენებდა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, უნესრიგობისა და რევოლუციის კვალი

დღედაღამ თბილისის ყველა კუთხეში ჩანდა. სახალხო ანუ წითელი გვარდიის ჯარისკაცები, რომლებიც რესპუბლიკის მთავრობის კანონების დამცველები და შემსრულებლები უნდა ყოფილიყვნენ, ხშირად თვითონ არღვევდნენ კანონს და საოცარ საქმეებს ჩადიოდნენ, ანუ წესრიგს არც ცნობდნენ და არც იცავდნენ.

მაგალითად, ერთხელ სატელეფონო პუნქტის კომისარმა საკონსულოს უფროსს შეატყობინა, რომ სახალხო გვარდიის ჯარისკაცებისა და რევოლუციის მოწინააღმდეგე ახალგაზრდების შეჯახებას ერთი ირანელი სტუდენტი ემსხვერპლა და სთხოვა, ვინმე გაეგზავნათ, რომ მისთვის გვამი გადაეცათ.

აჰმად ამინ დარბარი შემთხვევის ადგილზე წავიდა და დაბრუნებულმა რაც ნახა, გვიამბო: „ხალხით საესე ქუჩაში მოკლულები მაჩვენეს და მითხრეს, რომ ჩემი თანამემამულე მეპოვა. მოკლულების საშინელი იერის, გახრწნის სუნისა და სისხლის ნიაღვრისგან კანკალი დამანყებინა. კომისრის მოხელეები გვამებს ატრიალებდნენ. უცებ თვალი მოვკარი ბერლინში ჩვენი საელჩოს ატაშეს. ვიყვირე, ეს ახალგაზრდა ირანის საელჩოს თანამშრომელია-მეთქი. ამ არამზადებმა კი მხრები გულგრილად აიჩქრეს“.

როგორც გაირკვა, იმ უბედური ახალგაზრდისა და მისი მეგობრების დანაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ ღამით მთვრალეებმა საპატრულო რაზმის თანამშრომლებს ჩაუარეს და გაეხუმრნენ. წითელი გვარდიის ჯარისკაცებმა მათ სროლა დაუწყეს (რუსულენოვანი რევოლუციონერების გამოთქმით, *სამასუდი* მოუწყვეს) ანუ თვითონ გაასამართლეს და დასაჯეს.

მოკლული ირანელი (მისი სახელი დამავინყდა) ადრე თბილისში სწავლობ-

და, ახლა კი აქ გავლით იყო და ბერლინში გამგზავრებას ელოდა...

თბილისის საზოგადოების დასახასიათებლად კიდევ რამდენიმე ინციდენტს აღვწერ:

ერთხელ რამდენიმე საათი თბილისელი მუსლიმების უბანში (შეითან-ბაზარში) გავისეირნე და იქიდან ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გავედი. მინდოდა, *ელექტროტრამვაიში* ავსულიყავი. გაჩერებაზე უამრავი ხალხი შეკრებილიყო და *ტრამვაის* ელოდა. მათში ერთი წითელი გვარდიის ჯარისკაციც ერია. როცა ვაგონი ჩამოდგა, ყველანი კარებს მიცვივდნენ, რომ შიგნით შესულიყვნენ. ამ ჩოჩქოლში ჩემ თვალწინ ერთ მოხუც კაცს თავში მძიმე კომბალი მოხვდა. სანყალმა დაიყვირა და თავ-პირგასისხლიანებული მიწაზე დაეცა! ხალხი აქეთ-იქით მიმოიფანტა.

თურმე, ეს უძღური მოხუცი ტრამვაიში ასვლის დროს შემთხვევით იმ პოლიციელს დაეჯახა, რის გამოც ამ უკანასკნელმა იარაღის კონდახი ისე ჩასცხო თავში, რომ წააქცია!

მეორე შემთხვევა: ერთ დღეს ერთმა კაცმა, დაუდ ხან გორჯიმ, რომელიც ქართველი ბატონიშვილების (*კნიაზების*) ნათესავი იყო და ირანსა და ირანელებს დიდ პატივს სცემდა, შარიფ ადლოულე, ამინ დარბარი და მე მიხეილის ქუჩაზე თავის სახლში სადილად დაგვპატიჟა. მან თავისი ორი ლამაზი ქალიშვილიდან ერთი ოფიცერზე გაათხოვა და ახლა, უფროსი ქალიშვილის საქორწილო ზეიმის საბაბით, უნდოდა, უმცროსი ჩემთვის გაეცნო.

სტუმრად წავედით საკონსულოს უფროსის მანქანით, რომელზეც ირანის დროშა იყო აღმართული. ახალმა სიძემ და ქალბატონებმა არა მარტო ჩვენ მიგვიღეს ღირსეულად, არამედ უნიფორმაში გამოწყობილ მძღოლსაც ერთ-ერთ

ოთახში საჭმელ-სასმელი მიართვეს და გაუმასპინძლდნენ.

იმ დიდებულ ოჯახში რამდენიმე საათი სასიამოვნო საუბარში გავატარეთ და წასასვლელად მოვემზადეთ. ოჯახის პატრონმა და მისმა სიძემ ქუჩამდე გამოგვაცილეს. დავინახეთ, რომ ჩვენს მანქანასთან სახალხო გვარდიის სამი მთვრალი თანამშრომელი იდგა და მანქანაში ჩაჯდომას ლამობდა. ვკითხეთ, რა უნდოდათ. გვითხრეს: „მანქანას და *შოფერს* სამი-ოთხი საათი ქუჩაში რატომ ალოდინებთ?“

თურმე, გადასასვლელზე ტრანსპორტის გაჩერება აკრძალული არ იყო, მაგრამ მათ მძღოლი შეეცოდათ, რომელიც რამდენიმე საათი ქუჩაში დავაყენეთ.

შარიფ ად-დოულემ რუსულად უთხრა: „ეს მანქანა ირანის საკონსულოს უფროსს ეკუთვნის, ხოლო რაც შეეხება მძღოლს, ამ სახლში ისიც იყო დაპატიჟებული“.

შარიფმა გვარდიელებმა უპასუხეს: „მიუხედავად ამისა, სოციალისტური სახელმწიფოში კაპიტალისტური ქცევა და ქედმაღლობა დაუშვებელია. წავიდეთ და ამ გაუგებრობის მიზეზი *კომისრის* თანაშემწეს აუხსენით“.

დაუდ ხანმა მათ უთხრა: „გენერალური კონსულის დაკავება არ შეიძლება“ (შარიფ ად-დოულეს ქუდზე ყოველთვის ლომის და მზის გერბი ეკეთა), მაგრამ მისი ნათქვამი არაფრად ჩააგდეს.

შარიფ ად-დოულე გაბრაზდა და მძღოლს უბრძანა, მანქანა დაექოქა და წასულიყო. გვარდიელებმა იარაღი მოგვიშვირეს!

ბატონი სიძე, რომელსაც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში კაპიტანის ჩინი ჰქონდა, შუაში ჩადგა. მუშტის

დარტყმით მოიშორეს, მანქანას შეახტნენ და ძალით წაგვიყვანეს *კომისარი-ატში*.

როცა იქაურმა უფროსებმა ინციდენტის შესახებ შეიტყვეს, აბეზარი გვარდიელები უფრო მნიშვნელოვან დავალებზე გააგზავნეს, რომ ჩვენთვის თავი დაენებებინათ. ამკარად, მათი კომისრებსაც ეშინოდათ...

ამასობაში, მიუხედავად სოციალისტური წყობილებისა, მდიდარი ბურჟუების დროსტარებისთვის თბილისში უამრავი კლუბი და გასართობი დაწესებულება მუშაობს.

ერთ საღამოს აჰმად ამინ დარბარმა მითხრა: „მინდა, სადილად დაგვატყუოთ ერთ რესტორანში, რომლის ბადალიც თბილისში არ არის“. მან შარიფ ად-დოულე, ნურზადი და მე წაგვიყვანა ოპერის შენობის უკან ერთ ლამაზ ბაღში, სადაც ხეების ჩრდილში ჩამწკრივებულ მაგიდებთან ბურჟუაზია შეკრებილიყო და ქეიფობდა.

ფერადი ნათურებით განათებულ ბაღში გულშიჩამწვდომი სასიამოვნო მუსიკა ჟღერდა. გრძელ კაბებში გამოწყობილი ლამაზი მოკრძალებული ქალები სტუმრებს მხიარულად ემსახურებოდნენ, თუმცა ამკარად ეტყობოდათ, რომ ეს მათი პროფესია არ იყო.

იმ რესტორნის მეპატრონეები მეფის რუსეთის არისტოკრატების, მინისტრების და გენერლების ოჯახებიდან გამოსული ქალები იყვნენ. მათ რევოლუციის დროს ყველაფერი დაკარგეს, მოსკოვსა და პეტერბურგში ცხოვრება ვეღარ შეძლეს და თავიანთი სიცოცხლის გადასარჩენად დიდი გაჭირვებით ჩამოაღწიეს თბილისში, სადაც ეს კაფერესტორანი გახსნეს, რომ როგორმე თავი ერჩინათ.

მოულოდნელად, დავინახე გერმანიის ელჩი გრაფი ფონ შულენბურგი<sup>1</sup>, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის დაარსების შემდეგ აქ ერთ სამხედრო რაზმთან ერთად ჩამოსულიყო. აჰმად ხანმა მითხრა, რომ ის ამ გაჭირვებულ ემიგრანტ ქალებს მფარველობდა.

გრაფი შულენბურგი ომის დამთავრების შემდეგ თეირანში გერმანიის სრულუფლებიან წარმომადგენლად დაინიშნა და რამდენიმე წელი ირანში გაატარა. იქ ის დაუახლოვდა ერთ ცნობილ რუს მხატვარს მაკს<sup>2</sup>, რომელიც რუსეთიდან იყო გამოქცეული. მაკმა ბოლშევიკურ რევოლუციაში ყველაფერი, თავისი ერთადერთი ლამაზი ცოლიც კი დაკარგა და რუსეთის ჩრდილოეთიდან ხორასნის გავლით ფეხით ჩავიდა თეირანში, სადაც რაღაც პერიოდი ცხოვრობდა.

ერთ დღეს გრაფმა შულენბურგმა წარსული გაიხსენა და მე და მაკს გვიამბო: „როცა კომუნისტებმა თბილისი აი-

ღეს, ის უბედური ქალები, რომლებიც კაფე-რესტორანში მიუშაობდნენ, ისევ გაიქცნენ და სადღაც გაუჩინარდნენ...“

შარიფ ად-დოულე თავისი ქვეყნის ნამდვილი პატრიოტი გახლდათ და საქმეშიც წესიერებითა და ენერგიულობით გამოირჩეოდა. გარდა ამისა, ის ძალიან თავაზიანი კაცი იყო და ყველას ალერსიანად ექცეოდა. მას ადრე არ ვიცნობდი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველაფერს აკეთებდა, რომ კარგი დრო გამეტარებინა. შემომთავაზა, რომ ომის დამთავრებამდე და ირანის გზის გახსნამდე თბილისში დავრჩენილიყავი, მაგრამ მე ჩემს ოჯახზე ვლელავდი. ხმები მომდიოდა, რომ ირანს მოუსავლიანობა, შიმშილი, სიძვირე და გრიპის ვირუსი დაატყდა თავს და ხალხი საშინელ გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი. ამიტომ ყველანაირად ვცდილობდი, რაც შეიძლებოდა ჩქარა გავმგზავრებულიყავი თეირანში.

სპარსულიდან თარგმნა  
მარინა ალექსიძემ

<sup>1</sup> ვერნერ ფონ დერ შულენბურგი (1875-1944) იყო გერმანელი დიპლომატი, გერმანიის ელჩი ირანსა და რუსეთში.

<sup>2</sup> მაკი არის რუსი ფერმწერისა და კარიკატურისტის პაველ ივანოვის (1891-1967) ფსევდონიმი. 1920-30 წლებში ის ირანში ცხოვრობდა და შაჰის კარის მხატვარი იყო. მას ეკუთვნის რეზა შაჰის დიდი პორტრეტი, რომელიც გოლესთანის სასახლეში ეკიდა.

## ჯალალ ალ-ე აჰმადი (1923 – 1969)

ჯალალ ალ-ე აჰმადი თანამედროვე სპარსული პროზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მისი ნაწარმოებები საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მათში ნაჩვენებია როგორც პატრიარქალური ირანის რელიგიურ-ტრადიციული, ასევე, ევროპული – ძალით თავსმოხვეული – ნორმების მძიმე გავლენა რიგითი ადამიანის სულზე. ქართველი მკითხველისთვის დღეს წარმოდგენილი მოთხრობა სწორედ ამგვარი ვითარების ასახვას წარმოადგენს: რეზა ფაჰლავის მმართველობის პერიოდში ირანის საზოგადოებრივი ცხოვრების ევროპეიზაციამ მრავალი, ერთი შეხედვით – კუროზული, მაგრამ, არსებითად – უმძიმესი – ყოფითი თუ სულიერი დისკომფორტი შეუქმნა ირანული ტრადიციების დამცველ მოსახლეობას.

### მხიარული დღესასწაული

შუადღით, როცა სკოლიდან დავბრუნდი, მამა აუზთან იდგა და იბანდა, ნამაზისთვის<sup>1</sup> ემზადებოდა. ის-ის იყო უნდა მივსალმებოდი, რომ იმწამსვე, ისე, რომ არც მობრუნებულა, დავალება მომცა, ხელზე წყალი გადაივლე და გაიქეცი, ბანიდან პირსახოცი ჩამომიტანეო. ასეთი ჩვევა ჰქონდა, საკმარისი იყო, თვალი მოეკრა დედაჩემისათვის, ჩემთვის ან ჩემი დისათვის, რომ აუცილებლად უნდა დავესაქმებინეთ.

აუზში ხელი ჩავყავი და თევზები გაიფანტნენ. მამაჩემი აყვირდა: „ეი, ვირო, ცოტა ფრთხილად!“ სახლის კიბისკენ მოვკურცხლე. ძალიან უყვარდა თევზები – ჩვენი აუზის თეთრი და წითელი თევზები. როცა მამა იბანდა, ისინი ადგილიდანაც არ იძვროდნენ, მაგრამ ვერ მივმხვდარიყავი, ჩემი მიახლოებისთანავე რატომ გაიფანტებოდნენ ხოლმე აქეთ-იქით. გააფართხალებდნენ კუდეებს და თავქვე დაეშვებოდნენ აუზის ფსკერზე. ეს ძალიან მაბრაზებდა. ერთი-ორჯერ კიბიდან მივაგინე და ბანზე ავედი. მზიანი დღე იყო, მაგრამ ნუ იტყვი, ისე ციოდა!

ჩემი მეზობელი საკენკს უყრიდა მტრედებს. თოკიდან პირსახოცი ჩამოხსენი და მტრედების საყურებლად შევჩერდი. ისინი უკვე აღარ მიფრთხოდნენ. ჩემს მეზობელს მივესალმე. მას ქალიშვილი ცოტა ხნის წინ გაეთხოვებინა და ახლა მარტოდმარტო ცხოვრობდა. ერთ მტრედს კოჭებიც ერთიანად, თანაბრად შელუნღვლოდა. ისე ლამაზად დაგოგმანებდა და ღულუნებდა, რომ ნუ იტყვი!

– ასყარ-აყა, რატომ აქვს ასე ეს ღინღლი ამ მტრედს?

– აბა, ასში ერთს არ ექნება ასე. იცი, გუშინ მოვიპარე.

– მოიპარეთ?

– ჰო, გუშინ ერთმა კაცმა ძალიან მანყენინა, ჰოდა, მეც ავდექი და ეს ორი მიმინო მოვპარე.

მამაჩემი მიკრძალავდა მემტრედე მეზობელთან ლაპარაკს, მაგრამ მის ყველა ბრძანებასა და აკრძალვას, აბა, ვინ უგდებდა ყურს?! ერთი-ორჯერ ასყარ-აყას ეზოდან ჩვენს ეზოში ქვა გადმოვარდა. მამა საშინლად აყვირდა. ერთხელ, საუბედუროდ, მაინცდამაინც მაშინ, როცა მამა ნამაზისთვის იბანებო-

<sup>1</sup> ნამაზი – მუსლიმთა ლოცვა.

და, ასყარ-აყამ თავის მტრედებს თიხა-ში შეხელილი ჩალის გუნდა ესროლა, რომელმაც პირდაპირ ჩვენს აუზში მოადინა ტყაპანი. თევზები დაფრთხნენ. აი, მაშინ უნდა გენახათ, რა ამბავი დაუთია მამაჩემმა ასყარ-აყას. ისე ყვიროდა, თმა ყალყზე დამიდგა. მაგრამ იმას კრინტიც არ დაუძრავს. იმ დღიდან უფრო მეტად მომეწონა ასყარ-აყა და, მიუხედავად მამაჩემის აკრძალვებისა, როგორც კი შესაძლებლობა მომეცემოდა, ჯერ მივესალმებოდი ხოლმე, ხოლო მერე მტრედებზე გავეუბამდი ლაპარაკს.

– ესე იგი, მიმინო ჰქვია, არა?

ამ დროს მამაჩემის ყვირილი მომესმა:

– ვირო, რას უდგახარ!

რა უსამართლობაა, მე ხომ მისი პირსახოცისთვის ვიყავი აქ ამოსული! ბრავაბრუვით ჩავირბინე კიბე, კინალამ თავქვე დავეგორდი. აკანკალებულმა მივანოდე პირსახოცი. სველი ხელი რომ გამომიწოდა, ერთი წვეთი წყალი შემეშხეფა და ტანში გამაჟრჟოლა, თითქოს სილა გაეწნას სახეში. უკან გავბრუნდი. ის იყო, შინ უნდა შევსულიყავი, რომ შემოსასვლელ კართან ხმა გაისმა.

– ნადი, ნახე, ვინ არის. თუ ჰუსეინია, უთხარი, მოდის-თქო.

ყოველთვის, როცა მამაჩემს მეჩეთში შეაგვიანდებოდა, მოაკითხავდნენ ხოლმე. კარი გავაღე. ფოსტალიონი იყო. წერილი უხმოდ გამომიწოდა და ნავიდა. საერთოდ, მწყრალად გვიყურებდა. მამა არასოდეს არ აძლევდა ფეხის ქირას, ამიტომაც იყო ჩვენთან უბრად. ძალიან მიკვირდა, მაინც რომ მოჰქონდა წერილები. ხომ შეიძლება, ერთხე-

ლაც აღარ მოგვიტანოს-მეთქი, ვფიქრობდი. ამიტომ გადავწყვიტე, საკუთარი ჯიბის ფულიდან გადამედო ათიოდე თუმანი და მისთვის მიმეცა, ჰაჯი-აყამ<sup>1</sup> გადმოგცა-თქო, ანუ – მამაჩემმა. ასე ეძახდნენ მამას უბანში.

– ვინ იყო, ვირო? – გამომძახა მამამ თავისი ოთახიდან. კარის ზღურბლთან მივედი, კონვერტი გავუწოდე და ვუთხარი, ფოსტიდან იყვნენ-მეთქი.

– გახსენი და ნაიკითხე. ვნახოთ ერთი, გასწავლიან რამეს მაგ სკოლაში, თუ არა.

მამაჩემი ღუმელთან იჯდა და წვერს იპარსავდა. წერილი ამოვიღე. სულ ოთხი ნაბეჭდი ხაზი იყო. გამიხარდა. ხელნაწერი რომ ყოფილიყო და, თანაც, შექასთეთი<sup>2</sup> დანერილი, ნამდვილად ვერ ნავიკითხავდი და კარგი დღე მართლაც არ დამადგებოდა. დაიწყებოდა მერე ისევ მამაჩემის შეგონებანი. ნაბეჭდ ტექსტში ხელით მხოლოდ მამას სახელი ეწერა, ქვემოთ კი ხელს აწერდა ჩვენი უბნის ერთ-ერთი ახუნდი – სანოტარო კანტორის მფლობელი, რომელსაც ახლახან დაეხურა შლაპა<sup>3</sup>. ამ კაცს შარშანდღამდე მამაჩემთან მისვლამოსვლა ჰქონდა.

– რას უდგახარ, ბიჭო, ნაიკითხე!

„დეის<sup>4</sup> თვის 17-ში, მხიარულ დღესასწაულთან და ქალთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით, ჩემს ბინაზე იმართება სადღესასწაულო წვეულება...“

– მომეცი აქ, ვირო, ვნახო ერთიო, – და მამაჩემმა ხელიდან გამომგლიჯა ბართი. მე ოთახიდან გავედი. როცა გუნება გაუფუჭდებოდა, სჯობდა, გას-

<sup>1</sup> ჰაჯი – პილიგრიმი.

<sup>2</sup> შექასთეთი – არაბულ-სპარსული დამწერლობის ერთ-ერთი სახეობა.

<sup>3</sup> შლაპა დაიხურა, ანუ საქმიანობა შეიცვალა ზოგიერთმა ყოფილმა სასულიერო პირმა ქვეყნის ევროპეიზაციის გავლენით რეზა ფაჰლავის მმართველობის პერიოდში.

<sup>4</sup> დეი – ირანული მზის კალენდრის მეათე თვე, შეესაბამება 22/23 დეკემბრიდან 20/21 იანვრამდე პერიოდს.



ცლოდი. ეზოში გავიგონე, როგორ იმეორებდა: „მამაძაღლი, ურჯულო, ნაძირალა, ერეტიკოსი“. „ურჯულოს“ მიჩვეული ვიყავი, ასყარ-აყასაც ასე ეძახდა, მაგრამ ეს „ერეტიკოსი“ რალა იყო, ვერ მივმხვდარიყავი. ნეტა, რა ენერა ასეთი ამ წერილში? თვალის ერთი ჩაკვრით რისი წაკითხვაც შევძელი, მოსაწვევი უნდა ყოფილიყო. ის კი მახსოვს, მამაჩემის სახელი რომ ენერა შუაში და ძალიან მოკლე ტექსტი რომ იყო. „აიათოლა“<sup>1</sup> „ხოჯათულესლამი“<sup>2</sup> და ამდაგვარი სიტყვების ხსენება, რომლებიც, ძირითადად, ყოველთვის ენერა წერილებში, აქ საერთოდ არ იყო. ენერა მხოლოდ მამაჩემის სახელი და გვარი, გვერდით კი რატომღაც სიტყვა „ქალბატონი“ – რატომ, სრულიად გაუგებარი იყო. თავისთავად „ქალბატონი“ რასაც ნიშნავდა, ვიცოდი. ბოლოს და ბოლოს, მეექვსე კლასში ვიყავი და იმ წელს ატესტატი უნდა ამელო. მაგრამ მამაჩემის სახელის გვერდით რა უნდოდა ამ სიტყვას, ვერ გამეგო. აქამდე ასეთი რამ არ მენახა.

აუხს რომ ჩავუარე, თევზებს გამოვაჯავრე. მრგვლად დაბჩენილი პირები ნახევრად ამოეყოთ წყლიდან და ნელ-ნელა აცმაცუნებდნენ. ვერ მოვისვენე, ერთი პეშვი წყალი შევასხურე და სამზარეულოსკენ მოვკურცხლე. დედა ბადრიჯანს წვავდა. სამზარეულოში ბული იდგა. დედაჩემს თვალები ჩასწითლებოდა, გეგონებოდათ, ეს-ესაა როუზედან<sup>3</sup> დაბრუნდაო.

– სალამი. რა გვაქვს სადილად?

– გაგიმარჯოს, ვერ ხედავ, შვილო? წავიდა მამაშენი?

– არა ჯერ.

თეფშზე შუა-შუა გაჭრილი შემწვარი ბადრიჯანი ელაგა, ზედ ცხელი ხახვი

ჰქონდა მოყრილი. ხახვის რამდენიმე ნაჭერი პირში ჩავიყარე და წუნწა-წუნწით ვთქვი: „მშია“.

– აღით მალლა შენ და შენი და და სუფრა გაშალეთ, მე ახლავე მოვალ.

კიდევ ორი-სამი ნაჭერი ხახვი ჩავიყარე პირში. სანამ სამზარეულოდან გავიდოდი, პირში ჩამადნა. ჩემი და დედაჩემის ადგილას ღუმელთან იჯდა და დედას ბოხჩიდან ამოღებული დაფლეთილი წინდებით თოჯინას კერავდა. უხეშს, სქელსა და მახინჯ თოჯინას. ვუყვირე:

– ძაღლის ქაქო, ნებივრობ, ხომ? კარგია, არა, მანდ ჯდომა?

მის ნივთებს წიხლი ვკარი. უცებ ხმამალლა აყვირდა:

– ო, ღმერთო, ისევ ეს საზიზღარი აბასი მოეთრა! ძაღლისშვილო!

ვეღარ ვცემდი, ძალიან მშოოდა. დედას რომ დავესაჯე, დავიღუპებოდი. ბადრიჯანი კი ისე შებრანულიყო! ამიტომ აღარ მიმიქცევია ყურადღება და ჩემი ნივთების თაროსკენ წავედი. წიგნები გადავდე და მარკების ალბომი გამოვიღე. შევამოწმე. მტრისას, ჩემი და რომ გაჰკარებოდა! ერაყისა და სირიის მარკები ყელში მქონდა ამოსული, მაგრამ რას გავანყობდი, მამას მხოლოდ ამ ქვეყნებიდან მოსდიოდა წერილები! ყველაზე მეტად ერთი ერაყული მარკა მიყვარდა. ზედ ზამბარასავით დახვეული კომპი ეხატა, რომელიც ბოლოსკენ წვრილდებოდა, იქვე კი ბუზისოდენა მხედარი იდგა. სულ ვოცნებობდი, რომ იმ მხედრის, ან თუნდაც მისი ცხენის მავირად მე ვყოფილიყავი.

– აბას! – მამა ისევ მეძახდა. ღმერთო, ახლა რალა უნდა ჩემგან? იმ ყვირილს ჰგავდა, ჩემთან ჩხუბს რომ აპი-

<sup>1</sup> აიათოლა – შიიტი მუსლიმების საპატიო ტიტული.

<sup>2</sup> ხოჯათულესლამი – მუსლიმთა საპატიო ტიტული.

<sup>3</sup> როუზე – შიიტი იმამების მონამებრივი აღსასრულის მოხსენიება.

რებდა ხოლმე, ხმა თითქოს ხორხიდან ამოსდიოდა. გავიქეცი.

– მოდი აქ, შე ვირო, წადი მეჩეთში და ასე უთხარი, მამა ცუდად არის-თქო. მერე გაიქეცი ბიძაშენის დუქანში და უთხარი, რომ სასწრაფოდ აქ მოვიდეს.

– დააცადე, შეჭამოს ბავშვმა ერთი ლუკმა, – ეს დედაჩემი იყო. ვიცოდი, ახლა უეჭველად ჩხუბი ატყდებოდა და საჭმელი ჩამშხამდებოდა.

– ქალო, კიდევ ჩემს საქმეში ყოფ, არა, ცხვირს? შიშველ-ტიტველიც ხომ არ წაგიყვანო დღესასწაულზე?

მამა ისე გაშმაგდა, შევშინდი. მის ასეთ მდგომარეობას ბევრჯერ შევსწრებივარ. ხან ჩემზე ბრაზდებოდა, ხან – დედაჩემზე, ხანაც – გამყიდველსა თუ თავის ქვეშევრდომებზე. თუნდაც ის დღე რა იყო, ასყარ-აყას ყველაფერი რომ უთხრა, რაც ენაზე მოადგა?! დედაჩემი გაშეშებული იდგა და ვერაფერს მიმხვდარიყო. მე მასზე უფრო გაოგნებული ვიყავი. მამაჩემს ყელის ძარღვები სქელი ბანრის სისხო გაუხდა.

იქ დგომის დრო აღარ იყო. სანამ ფეხსაცმელს ჩავიცვამდი, დედამ კერძის ერთი დიდი ნაჭერი მომცა და მითხრა, აილე და შეჭამე, სანამ სულ მთლად არ გაციებულაო. ჭამა-ჭამით გავვარდი გარეთ. საშინლად ციოდა. მზე არსად ჩანდა. ქუჩაში საჭმელი ორ ლუკმად ჩავყლაპე. მეჩეთს რომ მივუახლოვდი, ყველაფერი შეჭმული მქონდა. მეჩეთის კართან დაგლეჯილ-დაფხრეწილი ფეხსაცმელები ეყარა. ნამაზისთვის რიგში ჩამდგარი ხალხი სკოლის მოსწავლეების მწკრივზე უფრო არეულ-დარეული იყო. მამაჩემის მურიდები<sup>1</sup> ორ-ორად და სამ-სამად შექუჩებულიყვნენ, თან კრი-

ალოსნებს აჩხაკუნებდნენ. არაფრის თქმა არ დამჭირვებია, როგორც კი დამინახეს, წამოდგნენ, ნამაზზე დადგნენ და ლოცვას შეუდგნენ. ასეთი იყო წესი და რიგი. მომკრავდნენ თუ არა თვალს, ხვდებოდნენ, რომ აყა ვერ მოვიდოდა.

მერე ბაზრისკენ გავიქეცი. საქაბაბეებს ჩავუარე. ირგვლივ საამური ობშივარი ტრიალებდა. პირზე ნერწყვი მომადგა. გავხედე ცეცხლის ალსა და შამფურს, რომელსაც მაშადი<sup>2</sup> ალი ატრიალებდა, დახლზე დადებულ სინს, ხახვითა და ბოლოკით რომ გაეცოთ. და გავიარე.

ჩელოუს<sup>3</sup> დუქანი არასდროს მადას არ აღმიძრავდა. ჩამოშვებული ფარდებითა და დაკეტილი კარებით – თითქოს იქ ქაბაბის ჭამის ნაცვლად რამე ცუდს შვრებოდნენ. აშის<sup>4</sup> დუქანი ჩამკვდარიყო, არც ქვაბი შემოედგათ ცეცხლზე. ახლა ჰალიმის<sup>5</sup> დრო იყო. აში კი დილაობით იცოდნენ, სუსხიან, ცივ დილას. მეორე მხარეს, ქვის სკამზე, ხორბლით სავსე ხის გობზე ძალიან დიდი ქვასანაყი იდო. აქ დგომას აზრი არ ჰქონდა. სასწრაფოდ ბიძაჩემი უნდა მომეძებნა და დანაბარები გადამეცა, თორემ უჭმელი დავრჩებოდი. ბაზრის ბოლოს, მოსახვევში, აშის დამტარებელი ჩაკუზულიყო და ამოლესილი აშით სავსე ქვაბი ფეხებს შუა მოექცია. მისი მუშტრები კი აშს ხვრეპდნენ. ძირითადად, მუშტები იყვნენ, თავ-თავიანთი ნაბდის ქუდები ილღიებში რომ ამოეჩარათ.

მეჯღანეების ბაზრიდან გამოსულმა სიმყრალემ გული კინალამ ამირია და დახურულ ბაზარში ვდურთე თავი. აქ ისე ძალიან არ ციოდა. ყურები მომეყინა. ფეხქვეშ ნახერხის რბილ ნოხს

<sup>1</sup> მურიდი – სასულიერო მოძღვრის, მურშიდის მონაფე.

<sup>2</sup> მაშადი – მუსლიმი, რომელმაც ირანის წმიდა ქალაქი მაშადი მოილოცა.

<sup>3</sup> ჩელოუ – მოხარშული ბრინჯი, რომელსაც კერძის გარნირად იყენებენ.

<sup>4</sup> აში – ერთგვარი კერძი, შეჭამანდი.

<sup>5</sup> ჰალიმი – ხორბლითა და ხორციტ დამზადებული კერძი.

ვგრძნობდი. ყოველ კუთხე-კუნჭულში იმდენი ფიცარი ეყარა, გაგიხარდებოდა კაცს. სუნიც სასიამოვნო ჰქონდა. ვნატრობდი, სამი ასეთი ფიცარი მქონოდა და ჩემს ნიშაში თაროები ჩამეშენებინა. ერთი – წიგნებისთვის, ერთი – წვრილმანებისთვის და ერთიც – ხარახურისთვის. მალლა მივაჭედებდი, ჩემი და რომ ვერ შესწვდომოდა.

ესეც ბიძიას დახლი! მაგრამ ცარიელი დამიხვდა. ცოტა ხნით შევჩერდი, ადგილზე ვცქმუტავდი. უცებ, არ ვიცი საიდან, შევირდი გამომეცხადა და მითხრა, ბიძაშენი საკუჭნაოშია და სადილობსო. ეგრევე საკუჭნაოში შევედი. ბიძია თავის ტყავის საფენზე მოკალათებულიყო, წინ მაყალი ედო, მხარზე აბა<sup>1</sup> გადაეფინა და ფესენჯუნს<sup>2</sup> და ფლავს ჭამდა. მივესალმე, მამაჩემის დანაბარები გადავეცი და წერილისა და მშობლების ჩხუბის ამბავიც ვუამბე. შიგადაშიგ გაიძახოდა, საკვირველიაო. მერე პურის ნაჭერზე ერთი კოვზი ფესენჯუნი დამიდო, მეც ჩქარ-ჩქარა გადავყლაპე და წამოვედით. ბიძიამ აბა მხრიდან მოიხსნა, დაკეცა და ილღიაში ამოიდო, ქუდი კი ჯიბეში ჩაიტენა. გარეთ გავედით. მივხვდი, ასე რატომაც იქცეოდა. შარშან, ზუსტად ამ ბაზარში, დღისით – მზისით ერთი პოლიციელი გადაეკიდა, შლაპა რატომ არ გახურავსო და, სანამ აბა არ დაუფხრინა, ხელი არ გაუშვა. არ მავინყდება, ბიძაჩემი მიტკალივით გაფითრებულიყო, ერთთავად ღირსებაზე ლაპარაკობდა და ღმერთსა და წინასწარმეტყველს შენდობას შესთხოვდა. მაგრამ ამ ტიპმა მისი აბის ნაკერს ხელი გამოსდო, მთლად ნაფლეთებად აქცია, მიწაზე დააგდო და წავიდა.

იმ დღესაც, ზუსტად ასე, როგორც დღეს, ვერაფერი გავიგე. ვერც იმას მივხვდი, რატომ გამაგზავნა მამაჩემმა ბიძიასთან. ყველაფერი იმ დროს მოხდა, როცა შინ ვბრუნდებოდი.

გზაში ბიძაჩემმა მკითხა, თუ იცი, მამაშენს საშვი ხომ არ განუახლებიაო? ვერ ვუპასუხე, არ ვიცოდი. ყოველთვის, როცა მამა ყუმში<sup>3</sup> ან ყაზვინში<sup>4</sup> დააპირებდა გამგზავრებას, ბიძაჩემთან საშვს მატანდა, ის კი მაშინვე კომისარიატში მიდიოდა და ვადას აგრძელებინებდა. სწორედ ამიტომ ბიძიამ ისეც მკითხა, არც კომისარიატის უფროსი ყოფილა დღეს თქვენთანო? არა-მეთქი, ვუპასუხე. ვიცნობდი ამ კაცს. ერთი-ორჯერ სკოლაში წასვლისას სახლის კართან შევეჩიხე. ადრე მამაჩემის მურიდი ყოფილა. როგორც კი მოვიდოდა, არც შეჩერდებოდა, „იალაო“<sup>5</sup>, იტყოდა და პირდაპირ მამაჩემის ოთახს მიაშურებდა.

შინ დაბრუნებისთანავე ბიძია მამაჩემთან შევიდა. მეც აღარ დამიყოვნებია და მაშინვე მოგკურცხლე სუფრისკენ, რომელიც დედას ჩემთვის მაგიდის ერთ კუთხეში გაშლილი დაეტოვებინა. მორჩენილი ბადრიჯნით მივხვდი, რომ დედას საჭმლისთვის პირიც არ დაეკარებინა. ასე იყო ყოველთვის, როცა მამასთან იჩხუბებდა. სადილი ჩქარ-ჩქარა შევჭამე და გარეთ გავედი. როცა მამაჩემის ოთახს ჩავუარე, მისი ყვირილი შემომესმა. ისეც იმ „ნაძირალას“ და „ურჯულოს“ მოვკარი ყური. ნამდვილად იმ ტიპს აგინებდა, რომელმაც წერილი გამოუგზავნა. გული ბანისკენ მიმინევდა. ძალიან მინდოდა ასყარ-აყას მტრედების ნახვა, მაგრამ მოღრუბლუ-

<sup>1</sup> აბა – მამაკაცის გრძელი, უსახელო მოსასხამი.

<sup>2</sup> ფესენჯუნი - კერძი, დამზადებული ხორცის, ნიგვზისა და ბრონეულის წვნიანგან.

<sup>3</sup> ყუმი - წმიდა ქალაქი ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

<sup>4</sup> ყაზვინი - ქალაქი თეირანის ახლოს.

<sup>5</sup> იალა - მუსლიმი მამაკაცების შეძახილი შენობაში შესვლის დროს, რათა ქალები მოერიდონ.

ლი ამინდი იყო და ისინი უთუოდ სამტრედეში იქნებოდნენ. თანაც სკოლაში მაგვიანდებოდა. თუმცა, კი არ მაგვიანდებოდა, ჩემი მდგომარეობა მოითხოვდა, ადრე მივსულიყავი. ახლა, რაც შეეხება მოკლე შარვალს:

მე, უბნის აყას ბიჭი, სკოლაში მოკლე შარვლით ხომ ვერ ვივლიდი? რას იტყოდა ხალხი? ყველაფერს ამას თავი რომ დავანებოთ, მამას რომ დავენახე? არც მე მომწონდა. ისევე, როგორც ის პრანჭია ბიჭები, პიონერები რომ გამხდარიყვნენ და ყელზე სასტვენები ჩამოეკიდებინათ... მოკლე შარვლებით და ბერეტებით... მაგრამ სულაც არ მინდოდა, რომ სხვისი დასაცინი გავმხდარიყავი. ერთხელ მასწავლებელმა გარეთ გამაგდო, ან დაიმოკლე ეგ შარვალი, ან მაქტაბ-ხანეში<sup>1</sup> იარეო. სასწავლო წლის დასწყისი იყო, ე.ი. მეჰრის<sup>2</sup> თვის ბოლო დღეები. დედაჩემმა იპოვა გამოსავალი: შიგნითა მხრიდან, დაბლა, შარვლის ტოტებს ღილები მიაკერა, მაღლა ღილკილოები გაუკეთა და დამარიგა, სკოლის კარს რომ მიუახლოვდები, შარვალი შეიკეცე და დაამაგრე, მერე კი, გამოსვლისას, ისევე ჩამოიწიეო. ასეც ვიქცეოდი. ისე, შარვალი აკეცვისას, ცოტა არ იყოს, სქელდებოდა და კარგად ვერ დავრბოდი. ერთხელ კი სქელო-ჰასანთან სანაძლეო დავდე, სკოლის აუზში ვისკუპე და წყალმა შარვლის აბშლაგი გაბერა. მართალია, ბავშვებმა სიცილი დამაყარეს, მაგრამ მასწავლებელმა თავი დამანება. აი, ეს იყო სწორედ იმის მიზეზი, ყველაზე ადრე რომ ვცდილობდი სკოლაში მისვლას და იქიდან ყველაზე გვიან გამოსვლას. ბოლო ზარი რომ დაირეკებოდა, საპირფარეშოში იქამდე ვიმალებოდი, სანამ ყველა არ წავიდოდა

და ვერავინ ხედავდა, რა ხრიკს მივმართავდი და რას ვუშვრებოდი შარვალს. ბავშვები ამას მაინც მიმხვდარიყვნენ და, იმისდა მიუხედავად, რომ არაფერს მერჩოდნენ, მეტსახელად „მოლა“ შემარქვეს. თავდაპირველად ეს ძალიან მამბრაზებდა, მაგრამ მერე დავფიქრდი და მივხვდი, რომ „კოჭლს“ მაინც სჯობდა, – ასე ჩვენი კლასის ჯგუფებს ეძახდნენ.

ისე მივრბოდი, სკოლაში სულ მთლად გაოფლილი მივედი. იქ უამრავი ბავშვი ირეოდა. დამრიგებელი აივანზე იდგა და ბიჭებს შარვლის ტოტებზე ნკეპლას ურტყამდა. დერეფანში ვერ ავიწევდი შარვალს და, როგორც კი ამ საქმიანობას ქუჩაში მივყავი ხელი, ვიღაცის ხმა გავიგონე: „დაგწყევლოთ უფალმა! ერთი შეხედეთ, რა დღეში ჩააგდეს პატიოსანი ხალხის შვილები!“

შევხედე, ხნიერი ქალი იყო. თავზე ფართოფარფლებიანი შავი შლაპა ეხურა, ხოლო ქვეშ თავსაფარი მოეხვია. თავსაფრის ბოლოები გრძელი და ფართო მოსასხამის საყელოსთან მიემაგრებინა. ვიფიქრე, რას ერჩის ეს ქალი ხალხს-მეთქი. სკოლაში შევქანდი.

საღამოს, სკოლიდან რომ დავბრუნდი, სახლში ჩემი უფროსი და დამხვდა თავის თოთო ბავშვთან ერთად. ის ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა და დღისითაც შეეძლო, მოსულიყო და ისევე წასულიყო. ჩუმად გამოიჭყეტდა და, როცა პოლიციელი თვალს მიეფარებოდა, თავზე ნითელ თავსაფარს შემოიხვევდა და გადმოირბენდა. ახლა, უეჭველად, დასაბანად უნდა ყოფილიყო მოსული. ბავშვი ისე ჩხაოდა, ადამიანს მოთმინებას დააკარგვინებდა. მუეძინი<sup>3</sup> მაშადი ალი დაუსრულებლად აქეთ-იქით დადიოდა და

<sup>1</sup> მაქტაბ-ხანე – ოჯახში გამართული სასულიერო ხასიათის დანყებითი სკოლა.

<sup>2</sup> მეჰრი – ირანული მზის წლის მეშვიდე თვე, რომელიც შეესაბამება 23 სექტემბრიდან 22 ოქტომბრამდე პერიოდს.

<sup>3</sup> მუეძინი – მეჩეთის მსახური, რომელიც მინარეთიდან სალოცავად მოუწოდებს მუსლიმებს.

ჩაი და ყალიონი მიჰქონდა. როგორც ჩანს, მამას სტუმრები ჰყავდა.

დედამ ჩაი ჩამოგვისხა და ჩემს დას უთხრა:

– იცი, შვილო, ეტყობა, დაისიცხა ბავშვი. აფსუს, რა ცუდი ქნეს, მარგალიტის ზარბაზანი<sup>1</sup> რომ აიღეს. ერთი-ორჯერ გაატარ-გამოატარებდი ბავშვს მის ქვეშ და ისე დაცხრებოდა, თითქოს ცეცხლზე წყალი დაესხათო.

გამახსენდა, პირველ კლასში რამდენჯერ ავბობლებულვარ ამ ზარბაზანზე, ვთამაშობდით მისი ბოლტებით და ვიმალებოდით მის ბორბლებს უკან. იქვე, ქუჩის იქით, არქის მოედანზე, დიდ ნაძვის ხეებს შორის, აუზი იყო. მასში კენჭებს ვისროდით. მწვანე წყალზე კენჭი შვიდ, რვა საფეხურად სხლტებოდა. ზოგჯერ ცხრადაც კი. რა კარგი იყო ეს ყველაფერი!

ჩემი ჩაი ერთ ნაჭერ სანგაქთან<sup>2</sup> ერთად შევხვრიპე.

– მოდი, შვილო, ერთი საქმე ქენი: წაიყვანე კომისარიატში და თოფის კონდახის ქვეშ გაატარე.

– კაი ერთი რა, დედა, ასეთ დროს შეიძლება კომისარიატში სიარული? ღმერთმა დაგვიფაროს!

– შენს ქმარს რომ გაატანო, შვილო? გაატარ-გამოატაროს სამჯერ თოფის კონდახის ქვეშ, მერე კი მისცეს ერთი თავი შაქარყინული თოფის პატრონს.

ამასობაში მე მეორე ჭიქა ჩაიც შევხვრიპე და ჩემი მარკების ალბომისკენ გავეშურე. ზამბარის კომპამდეც კი არ ვიყავი მისული, დედაჩემის ხმა რომ შემომესმა:

– გენაცვალოს დედა, წადი ერთი, ცოტა ფიჩხი მოიტანე და სააბაზანოში

დაანყვე. მიდი, ჩემო ყოჩალო ბიჭო!

ამოვიოხრე და ალბომი გადავფურცლე – თითქოს დედაჩემს არც არაფერი ეთქვას. ახლა ჩემმა დამაც დამიძახა:

– გრცხვენოდეს, შე უნამუსო ბავშვო! დედამ უნდა მიათრიოს ფიჩხი? რა კარგი ბავშვი იყავი და როგორ გაფუჭდი!

დიდი სახლაფორთო რამე იყო ეს აბანო. მაშინ, როცა ქუჩებში ქალებს თავიდან ჩადრებს ღლეტდნენ, მამაჩემმა აბანოს შენება წამოიწყო და კვირის შვიდივე დღეს ისეთი ბული და ორთქლი იდგა ჩვენთან, ნულარ იტყვი! ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ოჯახის ახლობელი ყველა ქალი ჩვენთან ბანაობდა, ფიჩხი კი მე უნდა მეთრია. ორ დღეში ერთხელ სულ ცოტა ათი შეკვრა მაინც უნდა მომეტანა, ეზოს მეორე ბოლოში რომ სარდაფი იყო, იქიდან და აბანოს ღუმელში შემეყარა. აბანო სამზარეულოს ქვეშ იყო. ეგ კი იყო, რომ, რაც აბანო მოვანყვეთ, მამაჩემთან ერთად აბანოში სიარულისგან გავთავისუფლდი. იქ ჩემს თავს ისე აპარსვინებდა, რომ კანს მგლეჯდნენ. თუმცა ასეთ თავისტკივილად მაინც არ ღირდა. თანაც ყოველ ჯერზე ერთ-ორგან ხელსაც ვიჭრიდი ხოლმე.

შემის ნაპობები უსწორმასწორო და დაკრუნჩხული იყო, ნაფოტებით სავსე. შემის გროვაზე უნდა ავსულიყავი და ზევიდან ამელო დასტა-დასტად. თუ არადა, მამაჩემის ყვირილი იკლებდა ყველაფერს, ქვეშიდან რატომ გამოაძრეო!

შემისკენ რომ წავედი, ერთად შექუჩული ქათმები კაკანით მიმოიფანტნენ. მოღრუბლულიყო. ქათმებს ეგონათ, უკვე დაღამდაო და საბუღარში ადრე

<sup>1</sup> მარგალიტის ზარბაზანი – დიდი ზარბაზანი, რომელიც თეირანში იდგა. გადმოცემის თნახმად, მას ავი თვალის მოხსნა შეეძლო.

<sup>2</sup> სანგაქი – პურის სახეობა.

შეიყუჟნენ. მეორე შეკვრას რომ ვაგრო-  
ვებდი, ფეხებზე უეცრად თავი დამახ-  
ტა და ფიჩხის კონაში შეძვრა. ისეთი პა-  
ნანინა იყო, ნუ იტყვი! უეჭველად წრუ-  
ნუნა იქნებოდა. ნავედი და მამა მოვი-  
ტანე. კარგა ხანს ვუჩუჩხურე, რომ გა-  
მომეყვანა, მაგრამ არაფერი გამომივი-  
და. მივანებე თავი და შეშის შეგროვება  
განვაგრძე. მეოთხე შეკვრაც რომ წავი-  
ღე, ალყაფის კარმა დაიჭრიალა. მაშა-  
დი ჰუსეინი უნდა ყოფილიყო, კარის გა-  
საღებად მიდიოდა. ყურადღება არ მი-  
მიქცევია. შეშა სამზარეულოში შევიტა-  
ნე. ჩემი და ცხელ ნაბათს<sup>1</sup> ამზადებდა,  
დედა კი ნავთს ასხამდა ლამპებში. რომ  
დამინახა, მითხრა:

– შვილო, არ გეყურება? ნადი, გაა-  
ღე კარი, ჰუსეინი მეჩეთში წავიდა.

მივხვდი, მამას ისევ არ უნდოდა მე-  
ჩეთში წასვლა. ბინდდებოდა. კართან  
მივედი. ვილაც ოფიცერი იყო. გვერდში  
უჰეჯაბო<sup>2</sup> ქალი ედგა. უფრო სწორად,  
თავსაფრიანი ქალი. ასე, ჩემი დის ტო-  
ლი იქნებოდა. თავზე ყვავილებიანი  
მოკლე თავსაფარი ეხურა. ასეთი ქალი  
ჩვენს სახლში აქამდე არასდროს მოსუ-  
ლა. ხელში ჩანთა ეჭირა და თითის წვე-  
რებზე დადიოდა. მივესალმე და განზე  
გავდექი. ორივენი შემოვიდნენ. ოფი-  
ცერს სამხრეები ეკეთა. ამ კაცს არ ვიც-  
ნობდი. არ ვიცოდი, რა ესაქმებოდა  
ჩვენთან. ასე გვიან, თანაც თავშიშველ  
ქალთან ერთად. რამდენი რამ მოხდა  
დილიდან მოყოლებული! არ ვიცოდი,  
რატომ ამიტანა შიშმა. თუმცა დერე-  
ფანში ბნელოდა, ამიტომ ვერ შენიშნავ-  
დნენ, შეშინებული რომ ვიყავი. ღმერ-  
თმა ნუ ქნას, ისევ მამაჩემის ჩალმის ტა-  
რებასთან დაკავშირებული პრობლემა  
იყოს-მეთქი, ვფიქრობდი. იქნებ, სწო-  
რედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ მამა არც  
დილით წასულა მეჩეთში და არც სალა-

მოს. გავიქეცი და დედას ვუამბე ყველა-  
ფერი. დედამ ჩადრი ჩამოიფარა, დერე-  
ფანში გავიდა, მიესალმა მათ და მოი-  
კითხა. ოფიცერი დედას ისე ელაპარაკე-  
ბოდა, მივხვდი, უცხო არ უნდა ყოფი-  
ლიყო და შვებით ამივისუნთქე. ოფი-  
ცერმა დედაჩემს უთხრა, ჩემს ქალიშ-  
ვილს თქვენ გაბარებთ, მე კი ჰაჯი-აყას-  
თან შევალ. დედა და გოგო გავიდნენ,  
მე კი მამაჩემის ოთახისკენ გაუძეხი  
ოფიცერს. მერე ჩაი მივართვი, თუმცა  
მამას ეს არ დაუვალებია. ვიცოდი, თუ  
ვინმე გვესტუმრებოდა, ჩაი უნდა მი-  
მერთმია. როცა შევიტანე, დავინახე,  
რომ ოთახში, ასევე, ბიძაჩემი და კომი-  
სარიატის უფროსი იყვნენ. კიდევ ვილაც  
კაცი იყო, ბაზარში მოვაჭრეს წააგავდა.  
ღუმელს შემოსხდომოდნენ. ბიძაჩემი  
მამაჩემის გვერდით იჯდა, დანარჩენები  
კი – ღუმლის თითოეულ ფეხთან. ჩაის  
ჩამოტარებისას ყური მოვკარი, ოფიცე-  
რი გამართული ლიტერატურული ენით  
ამბობდა:

– დიახ, ჰაჯი-აყა, თქვენზეა დამო-  
კიდებული, თქვენვე მოაგვარეთ.

გარეთ გამოვედი. ეს „დამოკიდე-  
ბული“ რაღა იყო? მარტო დღეს რამდე-  
ნი ახალი სიტყვა გავიგე! დედა უსწავ-  
ლელი იყო, მამაჩემი მაინც ყოფილიყო  
კარგ გუნებაზე, მას ვკითხავდი. ამგვა-  
რი შეკითხვები ყოველთვის ახარებდა.  
ისიც უყვარდა, როცა კალმის გათლას  
ვთხოვდი. მეც მივუხვდი და, როცა ფუ-  
ლი მინდოდა, ან რაიმე სათხოვარი  
მქონდა, ამგვარ კითხვებს ვუსვამდი, ან  
კალამი მიმქონდა გასათლელად. მერე  
ვიფიქრე, ნავალ, ვნახავ ერთი, ვინ არის  
ის ქალი-მეთქი. დედა ღუმლის ფეხთან  
იჯდა, ის ქალი კი თავის ადგილზე აეშ-  
ვა, ზემოთ. კართან ერთი წყვილი მა-  
ლაქუსლიანი ფეხსაცმელი ენყო – ნა-  
მაზის დროს იატაკზე ჩამჯდარ ხალხში

<sup>1</sup> ცხელი ნაბათი – ადულებულ წყალში გახსნილი შაქარყინული.

<sup>2</sup> ჰეჯაბი – იგივე ჩადრი.

ვინმე გრძელფეხება რომ წამოდგება ხოლმე, იმას მიაგავდა. ოთახში რალაც თავისებური სუნი იდგა. თავიდან ვერ მივხვდი, რატომ მეცნობოდა, მერე კი გამახსენდა: ჩვენს ფიზკულტურის მასწავლებელს ასდიოდა ეს სუნი. განსაკუთრებით – დილაობით. ჰო, სუნამოს სუნი იყო! იმ სუნამოების! ქალს წითელი ტუჩები ჰქონდა, ღუმელთან იჯდა და საბნის კიდე ფეხებზე წაეფარებინა. გავიგონე, იკითხა:

– დღეს კუჭში გავიდა, ქალბატონო?

– არა, ქალბატონო, საქმეც ისაა, რომ მუცელი სტკივა. ვიფიქრე, ცხელ ნაბათს მივცემ, იქნებ გამოკეთდეს-მეთქი, მაგრამ არ იქნა და არა.

– თქვენ რამდენი ბავშვი გყავთ? – ჰკითხა დედაჩემმა.

– რას ბრძანებთ, მე ჯერ ვსწავლობ, – უპასუხა ქალმა.

– რას?

– მეანობას, – თავი გააქნია და გაიცინა.

დედა ჩემს დას მიუბრუნდა და უთხრა:

– რალას უდგახარ, შვილო, აჩვენე ბავშვი ქალბატონს, მიდი, შვილო. მე მანამდე ჩაის მოვიტან.

ადგა და ოთახიდან გავიდა. მე თაროდან ჩემი მარკების ალბომი ჩამოვიღე და მისი უაზროდ ფურცვლა დავიწყე. ჩემმა დამ საფენებში გახვეული ბავშვი ტახტზე დაანვინა და გახსნა. ქალი მუცელზე უსვამდა პატარას ხელს. ბავშვს თეთრი მუცელი ჰქონდა, მამაჩემის თევზებივით. ქალს ჯერ სიტყვაც არ დაეძრა, მამაჩემმა ისევ ყვირილი რომ მორთო. მე მეძახდა. ალბომი თაროზე

შევაგდე და გავიქეცი. დედა მამას ოთახიდან გამოდიოდა. ვკითხე, შენ ჩაისთვის არ წახვედი-მეთქი? ბევრს ნუ ტლიკინებ, საძაგელოო, მიპასუხა. მამასთან შევედი. ჩაის დასხმა და ყალიონის ხელმეორედ გამართვა დამავალა. სანამ ჭიქებსა და ყალიონს ვიღებდი, მესმოდა, როგორ ყვებოდა მამაჩემი ომარისა<sup>1</sup> და ასის<sup>2</sup> რომელიღაც ბრძოლის ამბავს. უკვე ვიცოდი, რომ, თუ რომელიმე თავისი უფროსი ჰყავდა სტუმრად, აუცილებლად ინდოეთის ლაშქრობებზე ყვებოდა, ხოლო თუ ბაზრიდან იყო ვინმე მოსული – მექასა<sup>3</sup> და ქერბალაზე<sup>4</sup>. ახლა ოთახში ორი სამხრეებიანი კაცი იჯდა. მათ ჩაი მივართვი, მერე დავბრუნდი და ყალიონიც შევიტანე, ის დედაჩემს უკვე შეევსო. მამა იმ ეპიზოდს ყვებოდა, ომარი და ასი რომაელებს რომ ჩაუვარდნენ ტყვედ. მერე დიდ კეისრებზე გადავიდა. ამის ატანა აღარ შემეძლო. არც იმისი თავი მქონდა, ჩემი დის ბავშვის ჩაფსმული ჩვრებისთვის და ფეხებისთვის მეყურებინა. იმ ქალის სუნიც ცუდად მხდიდა, ჩემს ფიზკულტურის მასწავლებელს რომ უდიოდა.

ამიტომ ქუჩაში გავედი, მაგრამ ბავშვების ჩამიჩუმიც არ ისმოდა. აღარ დამლოდებიან და წასულან. საღამოობით ერთ ადგილას შევგროვდებოდით ხოლმე, ქუჩის თავში დავდგებოდით, პოლიციელების წამხედურობით მუშებს ჩალმებს ვაგლეჯდით თავიდან და ერთმანეთს ვუგდებდით. ან სახლის წინ, ქუჩაში, „ვირობანას“ ვთამაშობდით. ზოგჯერ ფილმებს ვუყვებოდით ერთმანეთს. ჰოდა, ახლა ერთი სული მქონდა, ბავშვები მენახა და მათთვის მეჩვენები-

<sup>1</sup> ომარი – ომარ I იბნ ალ-ხატაბი, მუჰამედის ერთ-ერთი თვალსაჩინო თანამდგომი (დაბ. -591 ან 581წ. გარდ. -684წ).

<sup>2</sup> ასი – არაბეთის წინარე ისლამური პერიოდის ერთ-ერთი მამაცი წარჩინებულთაგანი.

<sup>3</sup> მექა – მუსლიმთა წმინდა ქალაქი საუდის არაბეთის დასავლეთ ნაწილში.

<sup>4</sup> ქერბალა – შიიტ მუსლიმთა წმინდა ქალაქი ერაყში.

ნა ტარზანის სურათი, ხელში თოკით და ქამარში ხანჯალგაყრილი. ლომის ხმით რომ ღრიალებდა და პირზე ხელი აეფარებინა. მასში იმ დღეს კარგად გათლილი კალამი გავცვალე. მაგრამ არც ერთი ბავშვი არ ჩანდა. რა მექნა? რა მელონა? იქვე კართან ჩამოვჯექი და გამვლელ-გამომვლელების თვალიერება დავიწყე. ახლა ეს ყველაზე კარგი სანახაობა იყო. უცებ ქუჩის ბოლოდან ხმა შემომესმა: „ღმერთო! ღმერთო!“ ეს არსება ყოველდამე დადიოდა ასე ნელანელა. თავის ხელჯოხს მიწას უკაკუნებდა, მზერა ზეცისკენ მიეპყრო და ყველა ლოცვისა და მუდარის ნაცვლად გაიძახოდა, ჰოი, ღმერთო, ღმერთოო! გაბმულად, უსასრულოდ. ამასობაში მოხარული ქარხლის გამყიდველმაც ჩამოიარა თავისი ბორბლებიანი დახლით. ჯამი ცარიელი ჰქონდა, მაგრამ მაინც გაჰყვიროდა. ვილაც ჩადრიანმა ქალმა ერთ-ერთი სახლიდან გამოიჭყიტა, ქუჩა მიათვალ-მოათვალიერა, კარგად რომ შეამონმა ორივე მხარე, გამოიქცა, სამი სახლის იქით მიიღბინა და კარს მიანვა. კარი დაკეტილი დაუხვდა. ქალმა კაკუნი დაიწყო, თან აქეთ-იქით იხედებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, კარი გაიღო და შიგ შევიდა. უცებ მომესმა: „უუჰ, დავიჭირე!“ მოვბრუნდი, აბულ-ფაზლი იყო. ხელში რაღაც ეჭირა და ამბობდა: „რა კარგია, ხომ დავიჭირე, შე ოხერო! აჰა, შენ, ქათამი და მოსამა!“<sup>1</sup>

ძალიან, ძალიან ბნელოდა და ქუჩის ლამპიონების შუქს ძალა გამოლოდა. ასეთ წყვილიაღში ნეტა როგორ იჭერდა ბუზებს? ისიც, ქარში და სუსხში? რა უტრიალებდა ნეტა თავში? ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა, ორი სახლის იქით. რამდენიმე ხანია, რაც შეშლილიყო. დილიდან საღამომდე თავისი სახ-

ლის წინ იჯდა და ბუზებს იჭერდა. ამბობდნენ, ჭამს კიდევო, თუმცა მე ეს არასოდეს მენახა. ჩემი აზრით, მხოლოდ იმანჭებოდა და გაიძახოდა: „ახლა შენგან ერთ კაი ფესენჯუნს გავამზადებ! გუშინ ბუზი დავიჭირე – ბელურისოდენა! იცი, რა გემრიელი ბარკალი ჰქონდა?“

ძლივს რაღაც სასაცილო გამომიჩინდა. ძალიან გვიყვარდა მასთან ღლაბუცი, მაგრამ ახლა ეს საქმე არ იქნებოდა. მისი ცოლი ათ დღეში ერთხელ ჩვენთან დადიოდა და სარეცხს გვირეცხავდა. ასე ამბობდა, სულ ვეჩხუბები, სახლიდან ვაგდებ, მაგრამ მერე ვხვდები, რომ ღმერთი მიწყენს და მაინც ვაჭმევო. ვიფიქრე, მივალ ერთი, გამოველაპარაკები-მეთქი. მივედი და შევეკითხე:

– აბულ-ფაზლ, რისი გემო ჰქონდა?

– ხორბლის და შაჰდანესი<sup>2</sup>. იცი, ბელურისხელა იყო.

– იგონებ რაღაცას, სად ნახე ბუზი ამ სიცივეში?

– ვა, შენ საიდან ნახავ? მე ვლოცულობ და თვითონ მოდიან. აი, ნახე . . .

ხელი თავისი დაძონძილი პიჯაკის ჯიბეში ჩაიყო. ასანთის კოლოფს დაუნყო ძებნა, რომელშიც ბუზებს ინახავდა. ამისი თავი აღარ მქონდა. მისთვის სათქმელიც არაფერი მქონდა. ნამოვდექი, შინ მინდოდა დაბრუნება. უცებ ჩვენმა კარმა დაიჭრიალა. იქიდან ოფიცერი და მისი ქალიშვილი გამოვიდნენ. ვერ იქნებოდა მთლად კარგი საქმე, სულელ აბულ-ფაზლთან ერთად რომ დავენახე. ამიტომ სასწრაფოდ მასვე ამოვეფარე, თან ვფიქრობდი, რას აკეთებ, რა იციან ამათ, ვინ არის აბულ-ფაზლი-მეთქი? მაგრამ უკვე გვიან იყო. რომ გამოვჩენილიყავი, უარესი იქნებოდა. როცა ჩაგვიარეს, გოგომ მამას ჰკითხა:

<sup>1</sup> მოსამა – კერძი ხორცისა და ბოსტნეულისაგან.

<sup>2</sup> შაჰდანე – მკვეთრი სუნის მქონე მარცვლეული მცენარე, რომლის ზოგიერთი სახეობიდან ჰაშიში მზადდება.



– ეს სიყე<sup>1</sup> რაღაა, მამა?

ოფიცერმა უპასუხა:

– სულ ორი საათით, შვილო. ისე, რომ სტუმრად წახვიდე მასთან ერთად.

– აი, ვიპოვე, შეხედე, რა პუტკუნაა!

– აღარ დამაცალა აბულ-ფაზლმა ბოლომდე ოფიცერის ლაპარაკის მოსმენა. ესე იგი, ის გოგო მამაჩემის სიყე უნდა გამხდარიყო? რატომ? აა, მივხვდი, მივხვდი!

ასანთის კოლოფს დავხედე. ცარიელი იყო, მაგრამ მასთან შეხუმრების თავი აღარ მქონდა. სახლთან მივირბინე. კარი ღია დამიხვდა. ბნელ დერეფანში ბიძაჩემის ლაპარაკს მოგვკარი ყური:

– ეს ნამეტანია! პოლკოვნიკის მოადგილის ქალიშვილი!

ჩემი ფეხის ხმის გაგონებაზე შეწყვიტეს ლაპარაკი. მათთან ახლოს მივედი, კომისარიატის უფროსიც დავინახე. დაბნეულად მივესალმე და ჩემს ოთახში შევედი. ჩემი და უკვე წასულიყო. დედა სამზარეულოში ფუსფუსებდა. აბანოს ბული იდგა და ისევ გაჭვარტლულიყო ყველაფერი. საშინლად დაქანცული ვიყავი, ვახშმის ქამის თავიც არ მქონდა. ტანისამოსი გავიძრე და ღუმელთან დავნექი. კვამლის სუნი ცხვირში მიღიტინებდა. აბულ-ფაზლზე, მის ცარიელ ასანთის კოლოფზე და ჩემს აღმოჩენაზე ვფიქრობდი, რომ გავიგონე:

– ეი, რძალო, უბედურებამ ცხვირწინ ჩაგიარა! ამ სიბერეში კინალამ მეორე ცოლი არ მოგიყვანეთ?

ბიძია და ბიცოლა დედაჩემს „რძალს“ ეძახდნენ. ისიც გავიგონე, დე-

დაჩემმა რომ უპასუხა, იმ გოგოზე ამბობო? ღმერთმა დაგვიფაროს! ფეხსაცმლის წვერები მინაში ჰქონდა, ქუსლები კი – ცაშიო! მერე ბიძიამ დედას უთხრა:

– რძალო, ფიცარი არ უნდა გადააფარო აუზს? აცივდა უკვე.

დილით, დასაბანად რომ მივდიოდი აუზზე, მამაჩემის კარს ჩავუარე. დაკეტილი იყო. თევზებს ჯერ კიდევ ეძინათ აუზის ფსკერზე, მაგრამ ფეხსაბანში ალაგ-ალაგ ფერად-ფერადი ფარფლები ეყარა. აქა-იქ და კანტიკუნტად. ერთ ადგილას ფილა სისხლით იყო მოთხვრილი. მივხვდი, მამა სადღაც წასულიყო. ყუმში ან ყაზვინში გამგზავრების წინ მამა თავისი ოთახის კარს კლიტეს ადებდა. კატები კი, როცა ის არ იყო, ღამლამობით ჩემს ჯავრს იყრიდნენ ხოლმე მის თევზებზე.

ოთახში შევბრუნდი და დედას ვკითხე, ჰაჯი-აყა სად წავიდა-მეთქი?

– რა ვიცი, შვილო, გამთენიისას წავიდა. ბიძაშენმა მითხრა, ყუმში აპირებდა და წასვლასო, – მიპასუხა დედამ.

ჩაის რომ ვსვამდით, დედამ გვითხრა, წუხელ ასყარ-აყასთვის ვილაცას ყველა მტრედი მოუპარავსო. რა უსამართლობაა! სასწრაფოდ ავირბინე ბანზე. მამა ახლა აქ არ იყო და ვერავინ ამიკრძალავდა ასყარ-აყასთან წასვლას. ისე ვნაღვლობდი, მეტი აღარ შეიძლებოდა.

სუსხიანი და მოღრუბლული ამინდი იყო. ბუდეები დაცარიელებულიყო. აღარც მეზობლის ხმა ისმოდა მისი ბინიდან. ბანზე ალაგ-ალაგ მტრედის თეთრი სკორე მოჩანდა.

სპარსულიდან თარგმნა  
**თამარ ლეკვიშვილმა**

<sup>1</sup> სიყე – დროებითი ცოლი.

## აჰმად შამლუ (1925 – 2000)

აჰმად შამლუ თეირანში დაიბადა 1925 წელს. იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა თანამედროვე სპარსულ პოეტურ სივრცეში. შამლუ სპარსულ „ახალ პოეზიაში“ თეორი ლექსის ფუძემდებლად მიიჩნევა. მას დიდი წვლილი მიუძღვის, ასევე, ირანული ფოლკლორისა და კლასიკური პოეზიის კვლევის საქმეში; შამლუ სხვადასხვა დროს რედაქტორობდა სოლიდურ ლიტერატურულ ჟურნალებს; მიღებული აქვს რამდენიმე პრემია სამშობლოში და საზღვარგარეთ: ფორუყ ფაროხზადის (1973), ადამიანის უფლებათა დაცვის საზოგადოების (1990), სტივ დაგერმანის სახ. (შვედეთი) – 1999, თავისუფალი სიტყვის (ნიდერლანდი) – 2000.

1984 წელს ნარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე ლიტერატურის დარგში.

### სიკვდილი

სიკვდილს შევხვდი...

სიკვდილთან მწუხარე პაემანზე მას ხელით შევვხე...

მე სიკვდილი განვვლე,

მწუხარე,

სევდიანი სიმღერითა

და უსასრულოდ გრძელი, მომქანცველი ცხოვრებით...

შემეშვით! რაც იყო, იყო.

თუკი სიკვდილი ყველა ის ნაცნობი წამია,

როდესაც ნითელი საათი ჩერდება ყოველ გულისძგერაზე

და სანთლის ალია, ქარის მიმართულებით რომ წვება

და არ ჩერდება ყოფნა-არყოფნის ზღვარზე,

მაშინ, რა ტკბილი იქნება ის წამი, როდესაც

ქალივით ვნებით მივანდობ სხეულს

სიკვდილის უბეს,

სანამ არ შეწყვეტს ფეთქვას ღონემიხდილი გული

და არ გაშტერდება მზერა უსასრულო სიცარიელეზე.

რა ამაოა ეს ყველაფერი!

დასანანია!

ვაი, რომ სიკვდილი

არც კვდომია სანთლის

და არც საათის გაჩერება,

არც ქალის უბეში შვებით მოსვენება,

დაუსრულებლად რომ მეორდება

ამქვეყნიურ ორომტრიალში,

ის არც წვნიანი ლიმონია, რომელსაც წურავ,  
 სანამ არ გახდება გადასაგდები.  
 ეს უბრალო გამოცდილებაა  
 მწუხარე,  
 მწუხარე,  
 წლების გამოცდილება, წლების...  
 როდესაც გარს გერთყმინ ლამაზი მიცვალებულნი  
 და სიკვდილის აგონიით შეპყრობილი ნაცნობები,  
 რომლებსაც შენც მიგაჯაჭვეს  
 პირადობის მონმობების,  
 საბუთებისა  
 და ოფიციალური ქალაქების ჯაჭვებით,  
 და რომლებიც კიდევ უფრო დამძიმებულან  
 მათზე მიკრული  
 უთვალავი მარკებით, ბეჭდებითა  
 და მეღვინით...  
 როდესაც შენ გარშემო  
 ყბების ქნევა ნამით არ ჩერდება  
 და ყველა ხმიდან შენთვის ნაცნობი ერთიც არ არის,  
 როდესაც ტკივილი ვერ იმარჯვებს  
 სულმდაბალ შურზე  
 და ყველა კითხვა ნაწლავების ღერძის გარშემო ბრუნავს...  
 დიახ, სიკვდილი  
 შიშით შეპყრობილი მოლოდინია,  
 მოლოდინია,  
 შეუბრალებლად რომ ინელება...  
 სიკვდილი  
 მტანჯველი გარდასახვაა,  
 რომელიც ქრისტეს  
 მახვილით ხელში  
 ჭორებით გატენილ ქუჩებში ტოვებს,  
 რათა აღსდგეს საკუთარი დედის უბინობის დასაცავად,  
 ხოლო ბუდას მოუწოდებს  
 სიხარულის მგზნებარე შეძახილებით,  
 რათა ჯარისკაცობის წმინდა სამოსით შეიმოსოს,  
 დიოგენეს კი,  
 გახამებული საყელოთი და ლაკის ფეხსაცმლით,  
 უხმობს ალექსანდრეს საღამოს წვეულებაზე,  
 რათა თავისი მოზრძანებით დაამშვენოს მეჯლისი.

მე სიკვდილი განვვლე  
 მწუხარე,  
 სევდიანი სიმღერითა  
 და უსასრულოდ გრძელი, მომქანცველი ცხოვრებით...

სალამი

შენს მხურვალე ხელებზე, როგორც  
 მკერდში ჩაკრულ ტყუპ ბავშვებზე,  
 შემიძლია დაუსრულებლად ვილაპარაკო,  
 თუკი გულს დარდი გადამეყარა.

მელოდია მელოდიაში ჩაღვრილა,  
 შენ, ღვთისმშობელო, მზეო მანათობელო,  
 შენი აუნყობელი ჩანგით  
 შენი სულის უანგარო სიყვარულზე  
 შემიძლია სიმღერა ავანყო,  
 თუკი გულს დარდი გადამეყარა.

ფერები ფერებში გაქცეულა,  
 შენი გაზაფხულის ფერადი ცისარტყელებით  
 შემოდგომის ამ ბაღში, სამეფო კარავი რომ აღუმართავთ,  
 შემიძლია სურათები დავწერო,  
 თუკი გულს დარდი გადამეყარა.

გულში ჩამდინარე ნაკადულები  
 და ჩანჩქერი ხელისგულებში,  
 მზე მზერაში  
 პერანგში ანგელოზები,  
 იმ ადამიანზე, შენ რომ ხარ,  
 შემიძლია ზღაპრები შევთხზა,  
 თუკი გულს დარდი გადამეყარა.

სპარსულიდან თარგმნა  
**ნინო თუშიშვილმა**

## სამად თაჰერი (1958 – )

სამად თაჰერი თანამედროვე ირანელი პროზაიკოსია ქ. შირაზიდან, ნოველებისა და მოთხრობების რამდენიმე კრებულისა (“ქვა და ფარი”, “ლამის ნადირობა”) და რომანის (“ყვავი”) ავტორი. ორჯერ იყო ჰუმანგ გოლშირის ლიტერატურული პრემიის ნომინანტი.

### კაცი, რომელიც მტრედებს ძველით ხოცავდა

მოხუცი მეჩეთის ეზოში პირველად ვნახე. მანამდეც ნამდვილად მყავდა ნანახი რამდენჯერმე პურის თუ ნავთის რიგში, ან იქნებ, ბოსტნეულის მაღაზიაში ან – საყასბოში. ოღონდ ყოველთვის შორიდან. მეცნობოდა, თუმცა ვერ ვიხსენებდი, სად მენახა და როდის, რადგან სხვა მრავალი არაბი ბერიკაცივით იცვამდა და დადიოდა. ისეთივე დაშდაში<sup>1</sup> და ჩაფიე<sup>2</sup> ემოსა, ისეთივე მარადი, მოკლედ შეკრეჭილი ჭაღარა წვერი ჰქონდა, თავისა თუ ხელის ისეთივე მოძრაობა. თითქოს ვერ ამჩნევდა, მის ირგვლივ რა ხდებოდა. ამიტომაც იყო, რომ არასოდეს პირისპირ არ აღმოვჩენილვართ და ჩვენი მზერა ერთმანეთს არ შეხვედრია მანამ, სანამ მეჩეთის ეზოში არ მოვკარი თვალი. მოხუცი რიგში ბოლო იყო. აბანის თვისა<sup>3</sup> და შუადლის მწველი მზის მიუხედავად რუხი სქელი დაშდაში ეცვა. ეგონა, რომ ვუყურებდი. ხელით მანიშნა, მოდიო. მივედი. სანამ მივუახლოვდებოდი, ხელი შემაგება. ღიმილს მისი პატარა სახის ნაოჭები გაეშალა. ხელი ჩამოვართვი და ვუთხარი:

– გამარჯობა, ძიაკაცო. უკაცრავად, რაზეა რიგი?

თვალი გამისწორა და მითხრა:

– გაუმარჯოს! ახლა შენი ძიაკაცი გავხდი, ხომ?

მის მონაცრისფრო-ნისლისფერ თვალებში რაღაც ნაცნობი გამოკრთოდა. ვუთხარი:

– უკაცრავად, მაგრამ ვერ გცნობთ.

ჩაიცინა. მოყვითალო კუბოკრული ჩაფიეს ბოლოთი, თავზე რომ ეხურა, შუბლზე ოფლი მოიწმინდა:

– ეჰ, რა ვუთხარი ამ წუთისოფელს... განა მანსური არა ხარ, მღებავ ოსაალის შვილი?.. მართლა, ოსაალი როგორ არის? იცი, რამდენი წელია, არ მინახავს?.. მამაშენს ოცდარვა წელიწადია, ვიცნობ. სიქლეინის, ლამსისა და ბაჰმანშირის<sup>4</sup> ყველა სახლი ერთად გვაქვს შეღებილი... ზედგამოჭრილი მამაშენი ხარ ახალგაზრდობაში, განსაკუთრებით, შუბლით...

ახლალა ვიცანი. მანაც ხომ მიცნო, მაგრამ თემა უნდა შემეცვალა. ვკითხე:

– რომ არ მეუბნები, რაზეა რიგი?..

1. დაშდაში – ფართო და გრძელი ტანსაცმელი, რომელსაც არაბი მამაკაცები იცვამენ

2. ჩაფიე – თავსაბურავი ქსოვილი, რომელსაც არაბი მამაკაცები ქუდის ნაცვლად ხმარობენ და თავზე დაწნული რგოლებით (აყალით) იმაგრებენ

3. აბანი – მზის კალენდრის მერვე თვე (23 ოქტომბერი – 21 ნოემბერი)

4. სიქლეინი, ლამსი, ბაჰმანშირი – ქალაქ აბადანის (ხუზისტანის პროვინცია) უბნები, სადაც ნავთობკომპანიის თანამშრომლები სახლობდნენ.

დარცხვნილი ჩანდა. მიპასუხა:

– პაპიროსზე. ბასიჯის<sup>1</sup> წიგნაკი თანა გაქვს?

– კი. ჩანთაში მიდევს.

– ხოო, ოსა-ალი რასა იქმს, ხომ ჯან-მრთელად არის, ხალისიანად?

– შარშანნინ ზამთარში ფილტვების ანთება დაემართა და მოკვდა...

– ოხ! ღმერთმა გაანათლოს... რა კეთილშობილი კაცი იყო... აფსუს!..

რიგმა ცოტა წინ წაინია. მე და მოხუცი დიდი ლედვის ხის ჩრდილში მოვექეცით, რომელიც პატარა ბალსა და ეზოს ნაწილს წვდებოდა. მოხუცმა დაშდამის ჯიბიდან ასანთი და “ოვალურის”<sup>2</sup> კოლოფი ამოიღო და შემომთავაზა.

– არა, გმადლობთ. მე ფილტრიანს ვენევი, – ვუთხარი და ჯიბიდან სიგარეტი ამოვიღე.

მოხუცმა ასანთს გაჰკრა და ჯერ ჩემს სიგარეტს მოუკიდა:

– კაი, ბატონო. ახლა თუ მიცანი?

– როგორ გითხრა, რაღაცები კი მაგონდება, მაგრამ ვერა...

– გეყოფა, მანსურ! არ არის ეგ კარგი საქციელი. როგორ, მართლა არ გახსოვარ? მე ვარ, ზაიერ იასინი. შაჰაბადში<sup>3</sup> რვა წელი მეზობლები ვიყავით. მეხუთე სადგური, მეთორმეტე ხეივანი, სამოთახიანებში...

მივაშტერდი. დიდ გასაჭირში ჩავვარდი. მითხრა:

– პენსიაზე რომ გავედით, თქვენ ქარუნში<sup>4</sup> გადახვედით, მეათე ხეივანში. ჩვენ – მერვეში. მამაშენი ჩემზე ერთი თვით ადრე გავიდა პენსიაზე. ორი წელი ნანე სადიყის ბინას არ ქირაობდით?..

შენ და სამერი ბაჰრამის სკოლაში დადიოდით, ჯამშიდაბადში<sup>5</sup>. ასე არ არის?.. თუ, იქნებ, არც სამერი გახსოვს?..

მოხუცი აღარ მეშვებოდა. ვუპასუხე:

– შაჰაბადში რომ ვიყავით, ერთი მეგობარი მყავდა, სამერი ერქვა. ქვის სროლა ემარჯვებოდა. მაგრამ მაშინ დოქტორ ეყბალის დაწყებით სკოლაში დავდიოდით. მამამისი ზაიერ იუნესი იყო. მახსოვს, ძალიან მაღალი კაცი იყო, მამაჩემზე და თქვენზე გაცილებით მაღალი. შეიძლება, ორი მტკაველით უფრო მაღალი... მერე, რაც მამაჩემი პენსიაზე გავიდა, ისინი აღარც მინახავს. აღარასოდეს.

ხმამაღლა გაიცინა. ისე, რომ რამდენიმე კაცი მოტრიალდა და გამოგვხედა. სამს ჩემ უკან რიგი დაეკავებინა. ახლა ზაიერ იასინის წინ რიგში ექვსი კაცი იდგა. ოთახიდან, სადაც რიგი იწყებოდა, ერთი ახალგაზრდა გამოვიდა, რიგის ბოლოს გადახედა და დასჭეჭა:

– თქვენ შემდეგ რიგი აღარავინ დაიკავოს. აზანი<sup>6</sup> ახლოვდება, საცაა დავკეტავთ.

ზაიერ იასინი მომიტრიალდა და მკითხა:

– ერთი ეს მითხარი, ომში თავში რამე ხომ არ მოგხვედრია?

– რისი თქმა გინდა?

– ყველაფერი აურ-დაურიე... ის, ძალიან გრძელს რომ ამბობ, ზაიერ ხედერი იყო. არც ვაჭი ჰყოლია ოდესმე, მხოლოდ ექვსი ქალიშვილი ჰყავდა. ზაიერ იუნესი ჩემი ბიძაშვილი იყო და ტანი-თაც – ჩემი სიმალლის. შარშან სული

<sup>1</sup> ბასიჯი – ორგანიზაცია თანამედროვე ირანში, რომელშიც მოხალისეები გაერთიანებულები არიან ომში, პროპაგანდისტულ საქმიანობასა თუ კეთილმოწყობის ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად

<sup>2</sup> „ჰომას“ მარკის პაპიროსის ერთ-ერთი სახეობა რევოლუციამდელ ირანში, რომელსაც ოვალის ფორმის ლოგო ამშვენებდა

<sup>3</sup> შაჰაბადი – უზანი ქ. აბადანში

<sup>4</sup> ქარუნი – უზანი ქ. აბადანში

<sup>5</sup> ჯამშიდაბადი – უზანი ქ. აბადანში.

<sup>6</sup> აზანი – მუსლიმთა მონოღება ლოკვისაკინ

უფალს მიაბარა. ის ორნი სტეიჯერები იყვნენ, სტეიჯსა კრავდნენ. აქ ამას რას ეძახიან?..

– ლითონის ხარაჩოებს.

– აჰა, ყოჩაღ! ჰო, ეგა. რეზერვუარებს სტეიჯებში სვამდნენ. მე, მამაშენი და კიდევ რამდენიმე კაცი მალლა ავდიოდით, პირველ ორ დღეს მხოლოდ დაგრუნტვა-გაპრიალებას ვანდომებდით. მესამე დღეს ღებვას ვინწყებდით. ყველა რეზერვუარს ვერცხლისფრად ვღებავდით, სახლის სახურავებს კი ნაირფრად. მაგალითად, პირველი სადგურის ყველა სახურავს ნარინჯისფრად ვღებავდით, მეორე სადგურისას – ფორთოხლისფრად, მესამეს – მწვანედ, მეოთხეს – აგურისფრად... ეჰ!..

უცებ ყელში ბურთი გაეჩხირა და თვალები აუწყლიანდა:

– ყველა მოიკითხე შენი ძმაკაცი სამერის გარდა...

– ჰო, მართლა! სამერი სადაა? რას შვრება, ცოლი შეირთო?

ხელზე ხელი დაიკრა, ნერწყვი ჩაყლაპა და პაპიროსს მოუკიდა.

– ხუთი წლის წინ ცოლი შეირთო. ერთი ბიჭიც ჰყავს – ჰათემი. მაგრამ უცებ საბედისწერო ტყვიასავით მოვარდა “კატიუშას” რაკეტის ნაგლეჯი და წელში ეტაკა... აჰვაზში ოპერაცია გაუკეთეს, თვითმფრინავით შირაზში გადმოიყვანეს... რა მერე? სამი წელია, ინვალიდის ეტლში ზის.

– რას ამბობთ! მართლა ძალიან ვწუხვარ...

– აუცილებლად უნდა მოინახულო. ძალიან გაუხარდება. რცხვენია ინვალიდის ეტლით გარეთ გასვლა. ან რადიოს უსმენს და სიგარეტს ეწევა, ან ბალის პირას გადის და ხეებსა და ყვავილებს თვალს არ ამორებს, ან ქუჩის კარს გამოაღებს და გვრიტებს საკენკს უყრის...

სიგარეტის ტალონებს მარტო მე მაძლევენ, მაგრამ იძულებულები ვართ, ორმა მოვნიოთ, სანამ არ გათავდება. მერე უკვე შავ ბაზარზე უნდა ვიყიდოთ. ჯერ “ბაჰმანით” და “აზადით” ვინყებთ და ბოლოს “შირაზზე”, “ზარსა” და ფილტრიან “ჰომაზე” გადავდივართ. სულ ბოლოს კი “სპეც-აშნუთი” და “ოვალური ჰომათი”<sup>1</sup> ვამთავრებთ. მე “ოვალური” უფრო მომწონს. სამერს ვეუბნები, კარგი იქნებოდა, ყველა სიგარეტი გაგვეყიდა და იმ ფულით “ოვალური” გვეყიდა-მეთქი. არაო, მეუბნება. სამერი თვითონ მაგარი მწეველია, “ოვალური” უფრო სიამოვნებს, მაგრამ მაინც არაო, ამბობს. იყოს, ცოტა მრავალფეროვნება მაინც გვექონდესო, ასე ამბობს. რა ქნას საწყალმა, სიგარეტი თუ გაახალისებს, სხვა რა დარჩენია?..

– მერე, მისი სიგარეტის ტალონს რატომ არ იღებ?

– არ იძლევიან. თავად უნდა მოვიდეს, უნდა შევამოწმოთო. იმ საწყალს კი რცხვენია. როგორ არ ვევედრე, შინ მოდით და სახლში შეამოწმეთ-მეთქი, ვერა და ვერ დავიყოლიე. განანესის დარღვევააო, მეუბნებიან... აი, რიგი რომ მოგიწევს, შენი ტკბილი ენით იქნებ დაითანხმო... ჰო, მართლა! რაო, სად ვმუშაობო?..

– მასწავლებელი ვარ.

– ნნ! მაშ, არაფერი გამოვა. არაფერი უთხრა, ემანდ მასხრად არ აგიგდონ. მე ვიფიქრე, რაღაცას წარმოადგენდი. ეს წვერი სკოლისთვის მოუშვი?

– არა. ორი კვირის წინ ბიძა გარდამეცვალა.

– რას მეუბნები! ღმერთმა აცხონოს. ბიძაშენი ჯავადი? აი, ის, ზაფხულის ღამეებს სიმთვრალეში რომ ატარებდა და ქუჩაში ხმამალა მღეროდა ხოლმე?..

– არ მაგონდება...

<sup>1</sup> ჩამოთვლილთაგან მხოლოდ უკანასკნელი ორია უფილტრო.

– ეეჰ, მანსურ! მაშ, რალა შემორჩა შენს მესხიერებას? ოსა-ალი – აცხონოს ღმერთმა – ახლა რომ ცოცხალი იყოს, გეტყოდა, რაებს სჩადიოდა ჯავადი. ერთ ღამესაც პოლიციის მეთორმეტე განყოფილებას დაუჭერია. ოპერმუშაკებს პოლიციის ეზოს შუაგულში აუზში ჩაუგდიათ. მე და მამაშენი მივედით. ჩვენი BS-ის ნომრები<sup>1</sup> გირაოდ დავუტოვეთ და თავდებად დავუდექით, რომ გამოეშვათ. ხუთი თუმანიც ოპერმუშაკების მოთაფვლა დაგვიჯდა, რომ საქმე არ აღეძრათ...

ჩვენი რიგი მოვიდა. კარებთან მდგარმა ჭაბუკმა გვითხრა:

– თქვენ ორმა ამოიღეთ წიგნაკები და შემოიღით.

ოთახში ერთმა შავპერანგიანმა პატარა ბიჭმა წიგნაკებს ბეჭედი დაარტყა, მოგვცა და გვითხრა:

– ჰაჯისთან<sup>2</sup> მიდით შემონმებაზე.

ჰაჯი ერთი ტანმსხვილი წითური მოხუცი აღმოჩნდა, რომელიც მოშორებით მაგიდასთან იჯდა და ჩვენი შესვლის წუთიდანვე შეუმჩნევლად გვაკვირდებოდა. წიგნაკი გამომართვა. ყურადღებით დააცქერდა ზაიერის პირადობის მონმობას. უთხრა:

– ზაიერ, შენ ხომ ადრე რამდენჯერმე გაიარე შემონმება... დაჯექი სკამზე!

თავი ასწია და თვალი თვალში გამიყარა. მკითხა:

– რამდენი წელია, რაც ეწევი?

– იქნება ასე ათი-თორმეტი წელიწადი.

– აბა, მოუკიდე ერთი, ვნახო...

სიგარეტი ამოვიღე და მოვუკიდე. ჰაჯის მინიშნებით პატარა ბიჭმა თოფი მაგიდას მიაყუდა, მივიდა კედელთან და ღილაკს თითი დააჭირა. ფანჯარაში დატანებულმა დიდმა გამწოვმა ხმაურით დაიწყო ოთახის ჰაერის ხაპვა.

ჰაჯი ყურადღებით აცქერდებოდა, როგორ ვარტყამდი ნაფაზს და კვამლს, რომელიც სწრაფად მიიკლავებოდა ვენტილატორის ფრთებისკენ. სიგარეტი რომ ჩაინვა, ჰაჯიმ მითხრა:

– კეთილი. თითომ ასი თუმანი მიეცით, აი, იქ და აიღეთ თქვენი სიგარეტის ტალონები.

ვუთხარი:

– უკაცრავად, ჰაჯი. ერთი სათხოვარი მქონდა თქვენთან: თუ საშუალება გაქვთ, იქნებ ზაიერს სახლში ვინმე გაუგზავნოთ მისი ვაჟის შესამონმებლად.

– შეუძლებელია, – მითხრა, – განანესს ეწინააღმდეგება.

ზაიერმა მითხრა:

– აკი გითხარი, არაფერი უთხრა, მასხრად აგიგდებენ-მეთქი.

– ღმერთო დიდებულო! ეს რა ჭირს გადავეყარე! ზაიერ, თავადაც ხომ ხედავ, როგორი დაკავებულები ვართ... მიბრძანდით, მიბრძანდით, შემდეგი ორი კაცი უნდა შემოვიდეს.

– მაშინ მისი ხელსახოცების ტალონს რატომ მაძლევთ?

– განა შენს შვილს ცოლი არ ჰყავს?

– როგორ არა!

– განა იმისი პირადობის მონმობა აქ არ მოიტანე და არ დადასტურდა?

– ჰო, მერე რა?

– “მერე რა” არ ვიცი მე! ცოლი რომ ჰყავს, მონმობიდან ჩანს, მაგრამ, მწვევლი რომ არის, ეს საიდან გავიგოთ?

– სიტყვა-პასუხში ვერავინ გაჯობებთ, – უთხრა ზაიერმა და ოთახიდან გავიდა.

ამოვიღე ორასი თუმანი და შავებში ჩაცმულ ბიჭს გადავეცი. სიგარეტით გატენილი ორი პარკი გამოვართვი. თითოეულში სიგარეტის თექვსმეტი კოლოფი იდო. ყველა სახეობის ორ-ორი კოლოფი.

<sup>1</sup> BS-ის ნომრები – British Standard number – ბრიტანული სტანდარტის ნომერი.

<sup>2</sup> ჰაჯი – წოდება, რომელსაც მუსლიმი იღებს მექის მოლოცვის შემდეგ. ხშირად ასე მიმართავენ ასაკოვან ადამიანს (პატივისცემის გამოსახატავად).



მეჩეთიდან რომ გამოვედით, ზაიერმა დაშდაშის ჯიბეში ხელი ჩაიყო, ასთუმნიანი ამოიღო და გამომინოდა. ვუთხარი:

– ფეშქაში იყოს, ზაიერ!

მიპასუხა:

– ძმამ ძმას ანგარიში უყო და ისევ ძმებად დარჩნენო, ასე არ არის?.. მე და მამაშენი ოცდარვა წელი ვმეგობრობდით, მაგრამ ჯიბის ხარჯი ცალ-ცალკე გვქონდა... ჰო, მართლა, მანსურ! შირაზში როდის გადმოხვედით?

– ომის დანყებიდან ერთ თვეში.

– ჩვენ კი ცხრა თვე აბადანში ვიყავით. მხოლოდ იმ ორი ძროხის გამო. მე რე ყუმბარა პალმებს რომ მოხვდა და ძროხები დაიხოცნენ, ჩვენი ავლა-დიდება ჩავყარეთ კატერებში და წამოვედით... ფირმაში ოცდათხუთმეწლიანი მუშაობის მერე კრედიტით აღებული ფულით წავედი და ხორამშაჰრში სახლი ვიყიდე – იმანაც მოგჭამა ჭირი. სულ სამერის გულისთვის ვირჯებოდი, საზღვაო ძალებში უნდოდა სამსახური და იმიტომ. ზღვას რომ ახსენებდნენ, ფრთები შეესხმებოდა ხოლმე... ჭკვიანი კაცი იყო ოსა-ალი – თავიდანვე შირაზში ჩამოვიდა და სახლი იყიდა...

– მამაჩემი ამ მხარიდან იყო.

– მართალია, მაგრამ ოსა-ალი ახალგაზრდობიდანვე ანგარიშიანი და გამჭრიახი კაცი იყო. ეგენი მე მკითხე, მისი მეგობარი არ ვიყავი?!

მემწვანილის ფარდულს რომ ჩავუარეთ, მეჩეთიდან აზანის ხმა მოისმა. ზაიერ იასინმა მითხრა:

– მანსურ, ერთი ვაჟკაცური საქმე ქენი. მოდი, სამერს დაელაპარაკე, იქნებ დაგთანხმდეს, გამოვიდეს სახლიდან და შემოწმებაზე წავიდეს. შენ ხომ მისი ძველი მეგობარი ხარ, დაგიჯერებს.

ვუთხარი:

– ახლა შინ უნდა წავიდე სადილზე, მერე – სკოლაში. სხვა დროს იყოს. სიტყვას გაძღვე, ერთ დღესაც მოვალ.

– მამაშენის ჭკუა გამოგყოლია! “ერთ დღესაც” – არა! სიტყვა მომეცი, რომ ხვალვე მოხვალ. ხვალ ხომ პარასკევია და სკოლაში არ მიდიხარ. შუადღეზე მოდი, ჩემთან და სამერთან ერთად ისა-დილე. მითხარი, რა კერძი გინდა და სალიმეს ვეტყვი, მოამზადოს... აჰა, აბა, თუ მეტყვი, რა იყო, შენ და სამერს რომ ძალიან გიყვარდათ? ჰა, გახსოვს?.. ინდური ოსპის შეჭამანდი... “ზედა ხვრელიდან ქვედამდე ცეცხლს მოგიკიდებს”-ო, რომ ამბობდი...

– აი, ამას კი მართალს ამბობ! სულ აღარ მახსოვდა!

შემდეგი ქუჩის თავს მივადექით. მითხრა:

– შეხედე, მანსურ! მეჩეთის მხრიდან ეს მესამე ქუჩაა. ამ ქუჩაზე ოთხი ჩიხია. მეოთხე ჩიხი, თოთხმეტი ნომერი. ხვალ, დილის ათი საათი გაწყობს?

– ჰა?.. კი, მანყოფს... ჰო, მართლა! თუ გინდა, ჩემს უფილტრო სიგარეტებს მოგცემ, შენ კი შენი ფილტრიანები მომეცი. ფასის განსხვავებასაც გადაგიხდი.

– არა. აკი გითხარი. სამერი არ დათანხმდება.

ხელი ჩამომართვა და გზას გაუდგა.

ვჭოჭმანობდი. ამდენი წლის მერე რატომ უნდა მივსულიყავი და დაბინდული მოგონებები კვლავ რატომ უნდა გამეცოცხლებინა? მოხუცი ხომ აღარ მომეშვებოდა! ისევ გამომეცხადებოდა გზად მიმავალს და მომთხოვდა, ვაჟკაცობა გამომეჩინა და სამერი მომენახულებინა. სალიმეც მისხენა – სამერის ობოლი ბიძაშვილი, რომელიც ბავშვობიდან მათ სახლში ცხოვრობდა. ცუდი არ იქნებოდა, კვლავ მენახა. სალიმეს ხომ ლიმონისფერი თვალეები, ფინიკით ტკბილი ტუჩები და მონითალონაბლისფერი ნაწნავები ჰქონდა, ნაწნავები, საიდანაც მუდამ ინისა და კედრის მსუბუქი სურნელი იღვრებოდა.

ზაიერ იასინი მოტრიალდა, ხელი ამინა და ისევ გზას გაუდგა. მათი ქუჩის მარცხენა მხარეს შაქარყინულის ქარხნის ყრუ კედელი იყო. კედლის ტალღოვანი გადახურვის ჩრდილი ორ მტკაველზე ეცემოდა ქუჩის ასფალტს. ზაიერ იასინი ამ ორმტკაველიან ჩრდილში სიარულისას ისე ეკვროდა კედელს, რომ მისი დაშლაში აგურებზე დაღეჭილ მტვერს ედებოდა და თან მიჰქონდა. მაღლიმალ თავს აბრუნებდა და სახლებსა და კვიპაროსების რიგს გახედავდა, შუადღის მზეზე რომ ბზინავდნენ.

მეორე დღეს, როცა ქუჩაზე ჩავუხვიე, ზაიერ იასინი დავინახე – სიგარეტით ხელში ქუჩის ბოლოდან ჩემს შესაგებებლად მოემართებოდა. გვერდით მოტოციკლეტისტმა ჩაუარა და ხელი აუწია. ახლა ქუჩის ერთი ნახევარი ჩრდილში იყო მოქცეული, მეორე ნახევარი – მზეში. ზაიერი მზიან მხარეს მოაბიჯებდა. აშკარა იყო, შუა აბანის დილას მაინც სციოდა. ოცდაათ-ორმოც მეტრზე რომ დავახლოვდით, ზაიერმა ხელი ამინა და ხმამაღლა დაიძახა:

– გაუმარჯოს მანსურს! სიტყვის კაცს!

ვუპასუხე:

– სალამი, ზაიერ! დილა მშვიდობისა. ხომ არ დავიგვიანე?

საათს დახედა და მითხრა:

– სალამი და გამარჯობა! კი, როგორ არა – ხუთი წუთი.

– მორჩი ახლა, ზაიერ! “ინგლისელობანა” ნავთობკომპანიის დროში<sup>1</sup> დარჩა. ეგ კი ბუამ წაიღო...

გაიცინა და ხელი მომკიდა. მათი სახლის გზას დავადექით. ვერ მოვერიეთ ბუასო, მითხრა და ისევ გაიცინა.

ხელს არ მიშვებდა. გარეგნული მხია-

რულების მიუხედავად, იგრძნობოდა, რომ რაღაც აღელვებდა. მესამე ჩიხს რომ გავცდით, მითხრა:

– სამერისთვის არ მითქვამს, ვინ უნდა მივიდეს მის სანახავად. მარტო ის ვუთხარი, შენი ერთ-ერთი ძველი მეგობარია-მეთქი. შენ არ დაენახვო. აბა, ვნახოთ, ხმაზე თუ გიცნობს. კიდევ ერთ კაცურ საქციელს ვითხოვ შენგან – მის ავადმყოფობაზე კრინტს ნუ დაძრავ. ნურც ზღვაზე ეტყვი რამეს, გუნება ნაუხდება. ცოლ-შვილზე და ეგეთ რამეებზეც... ჰო, მართლა! შენ თუ ითხოვე ცოლი?

– კი. ოთხი წელია. ერთი შვილიც მყავს.

– ღმერთმა გაგიზარდოს, მაგრამ თუ სამერი გკითხავს, უთხარი, არა-თქო. კარგი?

– კეთილი. ბატონი ბრძანდები.

მივადექით მეოთხე ჩიხს და ქუჩაზე ჩავუხვიეთ. ქუჩა სულ ერთი მეტრი სიგანისა იყო და მხოლოდ სამი სახლი იდგა: მარჯვნივ, მარცხნივ და მოპირდაპირედ. შაქარყინულის არომატი აქამდეც აღწევდა. მოპირდაპირე სახლი თოთხმეტი ნომერი იყო. ზაიერმა გასაღები მოარგო და კარი გააღო. “მობრძანდიო”, მითხრა და წინ გამიძღვა.

კარი ვინრო დერეფანში გადიოდა, რომელშიც საპირფარეოსა და აბაზანის სუნი ტრიალებდა. დერეფანი ვაზის ტალავერით დახურულ პატარა ეზოს უერთდებოდა. მტევნებს აქა-იქ თითო-ოროლა გაყვითლებული ფოთოლი შერჩენოდა.

– დიდება უფალს, – ხმამაღლა დაიძახა ზაიერმა, – სამერი სტუმარს არ მიიღებს?

მტევნებიდან და ტალავერის მიღები-

<sup>1</sup> იგულისხმება ბრიტანულ-ირანული ნავთობკომპანია, რომელმაც მე-20 საუკუნის დასაწყისში აბადანში უმსხვილესი ნავთობგადამამუშავებელი კომპლექსი დააარსა. კომპანიის ფუნქციონირება დროებით შეაჩერა ირანის ნავთობის ნაციონალიზაციამ (1951 წ.). ირან-ერაყის ომის (1980-1988) დროს აბადანი და ნავთობის მრეწველობის ობიექტები თითქმის განადგურდა.

დან აქა-იქ გამომკრთალ მზეს ეზოს ორი მესამედი ვეფხვისთვის დაემსგავსებინა. ინვალიდის ეტლი დავლანდე, რომელიც ჩრდილს გამოეყო და “ვეფხვისკენ” წამოვიდა.

– კეთილი იყოს სტუმრის ფეხი, – თქვა სამერმა.

ზაიერის ზურგს უკნიდან გამოვძახე:

– გამარჯობა, სამერ!

– გამარჯობა. შენი ხმა ძალიან მეცნობა... თქვი რამე.

– დღეს ინდური ოსპის შეჭამანდზე დამპატიჟე?

– ჰა, ჰა! გაუმარჯოს მანსურს! კეთილი იყოს შენი მობრძანება!

ზაიერი გვერდზე გადგა და გამოჩნდა ინვალიდის ეტლში მჯდარი ჩასკვნილი ქაბუკი, სახელად სამერი. მივედი. გადავკოცნე. მოპირდაპირე ოთახში შევედით. მე და ზაიერ იასინი ლითონის ცისფერ სკამებზე ჩამოვსხედით, რომლებსაც დასაჯდომი და საზურგე ბადისა ჰქონდა. ზაიერმა ხმამაღლა დაიძახა:

– სალიმე, ჩაი მოიტანე!

– ჰოო, მომიყევი, სადა ხარ, რასა იქმ, – მითხრა სამერმა, – როგორ მოგნონს? – ოთხი წელია, ერთ უბანში ვცხოვრობთ და ერთმანეთისა არა ვიცით რა...

ვუპასუხე:

– მეც დიდად არ გავდივარ ხოლმე სახლიდან.

სალიმემ ჩაი მოიტანა. თავსა და მკერდზე მწვანე თავსაფარი და ხილაბანდი მოეხვია. მის ზურგს უკან ოთხი-ხუთი წლის ბიჭუნა იდგა, რომელმაც წამით გამოიხედა და გაიქცა, კარსუკან დაიძალა. სალიმეს ნიკაპზე თეთრ ხაზად ჯერ კიდევ ეტყობოდა ნაიარევი, ნიკაპის ფოსოში ამოსვირინგებული წვრილი მწვანე ვარსკვლავების გვერდით. მომესალმა და ხალიჩაზე დაჯდა. მის თვალებს უწინდელი სიმწვანე აღარ შერჩენოდა, მისი თმი-

დან კედრისა და ინის საამო სურნელი გამქრალიყო. ფოლადის ლანგარზე წელში გამოყვანილ სამ ქიქაში ჩაი დაასხა. შაქარი ჩაყარა და კოვზით მოურია. სამერი ბაჰრამის სკოლის მოგონებებს ჰყვებოდა. სალიმე თვალს ჩემკენ აპარებდა. იცოდა, რომ მის ხორბლისფერ თმას ვუყურებდი, თავსაფრიდან რომ მოუჩანდა. ინით მოხატული ხელეები ნერვულად უკანკალებდა. ჩაიანი ლანგარი ხალიჩაზე გამოაცურა და ოთახიდან გავიდა. ზაიერ იასინს არ უთქვამს, რომ სალიმე მისი რძალი გამხდარიყო.

ვიკითხე:

– სამერ, სალიმე შენზე ოთხი-ხუთი წლით პატარა არ იყო, განა?

სამერსა და ზაიერს სიცილი აუტყდათ.

– აი, ეს კი კარგად მახსოვს, – ვუთხარი მე, – დოქტორ ეყბალის დანყებით სკოლაში რომ დავდიოდით, სალიმე სიმაღლით შენი ნახევარი იყო...

სამერმა მიპასუხა:

– მანსურ, ომში თავში ხომ არაფერი მოგხვედრია?

– არა. თავში არაფერი მომხვედრია... მახსოვს, როგორ მოდიოდა სალიმე ყოველ დილას და ღობის შესასვლელთან დგებოდა, შენ მიდიოდი, ფეხებს სათითაოდ აწყობდი ცემენტის კიბის კიდეზე, რომ სალიმეს შენი ფეხსაცმელები ტილოთი გაენმინდა...

– გაგირეკია!

– მესამე დასვენებაზე ეზოში რომ გამოვდიოდით, სალიმე ყოველთვის სკოლის ღობესთან გელოდებოდა თავისი სამგზავრო ქვაბით, რომ შენთვის ცხელი სამბუსე<sup>1</sup> მოეცა საჭმელად. ასე არ იყო?

– იქნებ ჩვენც გაგვასინჯო... – თქვა სამერმა.

ვუთხარი:

– მტყუნის!.. ჰო, მართლა! სალიმემ

<sup>1</sup> სამბუსე – ერთგვარი საჭმელია, რომელიც სამკუთხედებად დაჭრილ ცომში მოთავსებული ხორცისა და დაცხვნილი ბარდისგან მზადდება

სამბუსეს მომზადება სად ისწავლა? იმის გემო ახლაც მაქვს პირში...

– მის დეიდაშვილს, რაზის, სამბუსეს მალაზია ჰქონდა, – მიპასუხა ზაიერმა.

– ერთხელაც დააგვიანდა, – განვაგრძე, – ეზოში ვიყავით გამოსულები და დავინახე, როგორ მორბოდა ქვაბიანი სალიმე ოროთახიანების მხრიდან. სანამ დავინახე, რაღაცას ფეხი წამოჰკრა და პირქვე დაეცა. ქვაბი დავარდა და სამბუსეები მიწაზე დაცვივდა. სალიმეს ცხვირ-პირი ერთიანად დასისხლიანებოდა. იქვე დაჯდა და ატირდა. იმავე წუთას სკოლის ზარის ხმაც გაისმა. შენ ლობის იქიდან აყვირდი და არაბულად აგინე. ასე არ იყო?

სამერმა ტურები აიბზუა. სიგარეტს მოუკიდა და მითხრა:

– მისმინე, მანსურ. რაც იყო, იყო. მაგრამ არ ვიცი, რაში გჭირდება ამ ტყუილებისა და სიცრუის როშვა.

ზაიერმა გამკიცხავი მზერა მომაპყრო და დაიძახა: “სალიმე, საფერფლეები მოიტანე!” და სიგარეტს მოუკიდა.

თახჩაზე ჩარჩოში ჩასმულ ფოტოს შევხედე. შავ-თეთრი ფოტო იყო, ძველი. არაბულ ჩადრში გამოხვეულ ქალს ხუთიოდე წლის ბიჭუნა ეჭირა ხელში. კედელზე მეორე ფოტოზე ჯარისკაცის ფორმაში გამონყოფილი სამერი იყო, საჰაერო თავდაცვის დანადგართან მჯდარი, სახეზე ღიმილი ეფინა, თმა აჩეჩვოდა. მარცხენა კედელზე დაკიდებულ ჩარჩოში კი ზაიერ იასინის ახალგაზრდობის ფოტო იყო, რომელსაც იგივე ბიჭუნა ეკავა. ვთქვი:

– როცა გაცივდებოდი ხოლმე, სალიმე მეორე დასვენებაზე სკოლის ლობესთან იყო ატუზული. ლურჯი ფერის პატარა ნაჭერი ეჭირა ხელში. შენ ლობესთან მიდიოდი, დაიჩოქებდი, ცხვირს წინ გამოსწევდი, სალიმე წვინტლებს გწმენდა. მერე კიდევ წამალს გასმევდა. თუ პირი გაგიმწარდებოდა, უყვიროდი, ლი-

მონათი რატომ არ მომიტანეო და არაბულად აგინებდი. ასე არ იყო?..

სამერმა სკამის სახელურს მუშტი დაჰკრა და სახე მიაბრუნა. შემოვიდა სალიმე. ხილის დიდი ლანგარი, თეფშები და საფერფლეები ხალიჩაზე დაალაგა. საფერფლე კი, რომელიც სამერს ფეხებზე ედო, ვედროში ჩაცალა და გაიტანა. ზაიერ იასინმა მითხრა:

– აქ მოხვედი, რომ სამერი გაახაროთ გინდა, ხასიათი გაუფუჭო, თანაც, ხუთი-ექვსი წლის უნახაობის მერე?

ვუპასუხე:

– განა არ მეუბნებოდით, თავში რაღაც მოგხვედრიაო, გარეკეო? განა სამერი არ ამბობს, რომ ეს ყველაფერი ტყუილია და სიცრუე?.. სალიმე ხომ აქ არის...

– ჰო, კარგი, კარგი, – მითხრა ზაიერმა, – გვითხარი რამე ისეთი, რომ გავიცინოთ, გვესიამოვნოს... შვიდი-რვა წლის უნახაობის მერე...

და თვალი ჩამიკრა.

– კარგი... რამე სასაცილო?.. ჰო!.. სალიმე საიდან ხვდებოდა, რომ მეორე დასვენებაზე წვინტლი წამოგივიდოდა?..

ზაიერმა გაცივება დააპირა, მაგრამ სამერის ღუმილი რომ შეამჩნია, მოილუშა. მითხრა:

– გუნება ნაგვიხდინე.

სამერი წამდაუნუმ სიგარეტს უკიდებდა. უცებ მომიბრუნდა, თვალი თვალში გამიყარა და მითხრა:

– იქნებ სხვა ადამიანი ხარ, ჰა?

– იქნებ... – მივუგე.

– თუ მართაღს ამბობ, რაიმე ისეთი მითხარი, რომ მეც მომაგონდეს... ოღონდ ტყუილი – არა! მართალი მითხარი... შაჰაბადის რომელიმე მოგონება მიაბე, იმ ხანიდან, დაწყებით სკოლაში რომ დავდიოდით. სკოლის ამბები კი არა, რაიმე სხვა.

– კეთილი... რაიმე სხვა... რაიმე

სხვა... აჰა!.. შენ ქვეების სროლა ძალიან გემარჯვებოდა. როცა დაუმიზნებდი და ისროდი, არ არსებობდა, რომ აგეცილებინა. ამიტომ იყო, რომ ყველა ბავშვს ეშინოდა შენი. ყოველ დილას მე და შენ დავდიოდით თონეში, პურს ვყიდულობდით. ჯიბეები მუდამ კენჭებით გქონდა სავსე, ასე არ იყო?.. მე არხეინად ვიყავი, ვერც ერთი ძალი ვერ ბედავდა ჩვენთან მოახლოებას. შაჰაბადის ძალებიც კი გცნობდნენ. მტრედები გუნდგუნდად მოდიოდნენ პალმების ბაღებიდან, თონის წინ რომ ასფალტიანი მოედანი იყო, იქ პურის ნამცეცებს კენკავდნენ. შენ ამოიღებდი ჯიბიდან კენჭს და ესროდი. ერთ-ერთი ეცემოდა და დანარჩენები გაფრინდებოდნენ ხოლმე. შენ მიიბრუნდი და მოფართხალე მტრედს ხელით თავს წააცლიდი ხოლმე. იტყობდი: სალიმეს მივცემ, ვახშმად შემინვასო. მე არასოდეს მიჭამია. ცუდად ვხდებოდი, როცა ხელით თავს აცლიდი. დღეში ერთ-ორს კლავდი, ასე არ იყო?.. მტრედების გუნდი წლიდან წლამდე მეჩხერდებოდა. ბოლო წლებში თითო-ოროლა თუ მოფრინდებოდა და შენ მაინც ხოცავდი. ჩვენი მამები პენსიაზე რომ გავიდნენ და ქარუნში გადავედით, ერთი მტრედიც კი აღარ იყო დარჩენილი, ასე არ არის?.. განყვიტე მათი ჯიში. ახლაც მახსოვს მწვანე რკალი, ყელზე რომ ფარშავანგის ბუმბულივით უელვარებდათ და სისხლით იყო მოთხვრილი...

სამერმა სკამის სახელურს მუშტი დასცხო. ინვალიდის ეტლი კედლისკენ მიაბრუნა. თავი ჩალუნა, სახე ხელებში ჩამალა და განიერი მხრები აუცახცახ-

და. ავდექი. ზაიერ იასინიც წამოდგა. სახეზე ცეცხლი ეკიდა. მითხრა:

– აფსუს, რომ სტუმარი ხარ!

ვუპასუხე:

– შენი და სამერის დაყინება იყო...

– გითხარი, კაცობა გამოიჩინე-მეთქი და არაკაცივით მოიქეცი!

გარეთ გამოვედი. ინდური ოსპის შეჭამანდის, ფელაფელისა<sup>1</sup> და სამბუსეს სურნელი ეზოს მოსდებოდა. ვაზის ტალავერქვეშ რომ გავიარე, წამით სალიმეს სახეს მოვკარი თვალი, რომელიც თავისი ოთახის ფანჯრის მინიდან ეზოს გასცქეროდა და ხედავდა, როგორ მივდიოდით. რადიოს ხმაც იმავე მხრიდან მოისმოდა. აბდულჰალიმ ჰაფეზი<sup>2</sup> მღეროდა: “ნუ დალონდები, ჩემო ბიჭუნა“. ხმა შორიდან და ხრიალით ისმოდა.

კარი გამოვიარე. სიგარეტს მოვუკიდე. შუკაბანდებით ვიარე. არ ვიცი, რატომ დაიყინეს ზაიერ იასინმა და სამერმა ამ მოგონებების გაცოცხლება. მოგონებებისა, რომლებიც გულს გვიკოდავდა და გუნებას გვინამლავდა. ამიტომაც იყო, რომ არ ვინდომე ზაფხულის იმ საღამოების გახსენება, როცა სალიმე მათი ალიზის ბანს რწყავდა, შვიდფერა ჭილოფს აფენდა, რადიოს იმ ტალღაზე აყენებდა, რომელზეც აბდულჰალიმ ჰაფეზი სატრფიალო სიმღერებს მღეროდა, ჩაის და ფინიკს გაანყობდა და ეზოში იცდიდა. სამერიც, თხუთმეტიოდე წლის ბიჭი, ბანის პირზე მოდგებოდა და, როცა დამინახავდა, როგორ ვახტებოდი ნაკადულს და ბოლო პალმას ვუახლოვდებოდი, ხელს ამინევდა და ხმამალა დამიძახებდა: „კეთილი იყოს სტუმრის მობრძანება...“

სპარსულიდან თარგმნა

**თეა შურლაიამ**

<sup>1</sup> ფელაფელი – კოტლეტის მსგავსი საჭმელი, რომელიც მზადდება ხორცის, მუხუდოს, ხახვისა და სუნელებისაგან. ხშირად სამბუსესთან ერთად იჭმევა.

<sup>2</sup> აბდულჰალიმ ჰაფეზი – პოპულარული ეგვიპტელი მომღერალი (1929-1977)

## სარჩევი

### არაბული ლიტერატურა

<b>ჯიბრან-ხალილ ჯიბრანი</b> , ამპარტავანი ია. თარგმანი გოგა ასლამაზიშვილისა.....	6
<b>ნაჯიბ მაჰფუზი</b> , ზაბალავი. თარგმანი დარეჯან გარდავაძისა .....	9
<b>ლასან ქანაფანი</b> , სევდიანი ფორთოხლების მინა. თარგმანი მისივე .....	18
<b>იბრაჰიმ ალ-ქუნი</b> , ერთი ყლუპი სისხლი. თარგმანი იზოლდა გრძელიძისა .....	23

### თურქული ლიტერატურა

<b>თევფიქ ფიქრეთი</b> , ნისლი. თარგმანი ასმათ ჯაფარიძისა .....	31
<b>ილჰან ბერქი; ათილა ილჰანი; აჰმეთ თელი</b> , ლექსები. თარგმანი მაყვალა ხარებავასი, ამირან (პაკო) სვიმონიშვილისა და ალექსანდრე ელერდაშვილისა .....	35
<b>აჰმეთ ეფე</b> , ეჭვი. თარგმანი მერი ნიკლაურისა .....	39
<b>ქევსერ რუჰი</b> , ახალი პურის სურნელი. თარგმანი ნანა ჯანაშიასი .....	41

### საქარსული ლიტერატურა

<b>სანაი ლაზნელი</b> , იგავები. თარგმანი მაგალი თოდუასი .....	46
<b>ფარიდ ად-დინ ათთარი</b> , არაკები. თარგმანი მისივე .....	52
<b>ნიზამი განჯელი</b> , ლირიკული წიაღსვლები. თარგმანი მისივე .....	57
<b>რეზა-ალი დივანბეგი</b> , მოგზაურობა პირველი მსოფლიო ომის დროს. თარგმანი მარინა ალექსიძისა .....	63
<b>ჯალალ ალ-ე აჰმადი</b> , მხიარული დღესასწაული. თარგმანი თამარ ლეკვეიშვილისა .....	70
<b>აჰმად შამლუ</b> , ლექსები. თარგმანი ნინო თუშიშვილისა .....	81
<b>სამად თაჰერი</b> , კაცი, რომელიც მტრედებს ქვებით ხოცავდა. თარგმანი თეა შურღაიასი .....	84

ყდაზე: ირანული მხატვრობა. ქამალ ად-დინ ბეჰზადი (XV-XVI სს.),  
„შაიბაქ-ხანის პროგრეტი“. კერძო კოლექცია.

ტირაჟი 30 (ოცდაათი) ცალი

რედაქტორი 593464565; E-mail: mzivditi@yahoo.com  
სწავლული მდივანი 599160619; E-mail: nanio@yahoo.com



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge